# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 8 დეკემბერი 2000 №237 (1259) | ფასი 50 თეთრი


# ფიგუ! თქვა ხალხმა




რას იტყვიან მწვრთნელები და ჟურნალისტები, ჯერ უცნობია, აი, ხალხმა კი ლუიშ ფიგუ ირჩია — ჟურნალ „უორლდ სოკერმა“ 2000 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად გუშინ სწორედ პორტუგალიელი დაასახელა.

მსოფლიოს უძვირეს ფეხბურთელს გამოკითხულთა 26-მა პროცენტმა მისცა ხმა. მეორე ადგილზე ზინედინ ზიდანი გავიდა, მესამეზე კი უკრაინელი ანდრეი შევჩენკო.

პოპულარული გამოცემის მკითხველებმა, ტრადიციულად, წლის მწვრთნელი და გუნდიც გამოავლინეს. მწვრთნელებში იტალიის ნაკრების აწ უკვე ყოფილ თავკაცს დინო ძოფს ერგო პირველობა, ევროპის ჩემპიონატის მომგებმა საფრანგეთის ნაკრებმა კი ოლიმპიურ ჩემპიონ კამერუნს აჯობა და საუკუნის ბოლო „წლის გუნდის“ სახელიც დაიგდო.

მაშ ასე, ხალხმა თავისი რჩეული დაასახელა. ახლა ჯერი მწვრთნელებზეა, რომლებიც ორშაბათს, 11 დეკემბერს რომის გალა-წარმოდგენაზე ფიფას ეგიდით დაასახელებენ საუკეთესოს.

21 დეკემბერს კი „ფრანს ფუტბოლი“ გამოკითხულ ევროპელ ჟურნალისტთა რჩეულს დაასახელებს.

## სინი ჩვენი, ქინი თქვენი!

**რაც** კი რამ იყო მოსაგები წლევანდელ სარაგბო ჭიდილში თბილისის „ლოკომოტივმა“ არავის დაუთმო: პირველად გათამაშებული საქართველოს თასი ბათუმელ „დათვებს“ აართვა, ჩემპიონატის ფინალში კი ვაჰ (!) როგორ ბრძოლაში სძლია „ყოჩებს“ და ასევე ახალდაწესებულ და ხელქმნილ „ბზის თასს“ დაეუფლა.

ეს დიდებული ჯილდონი და გასრულებული საკლუბო სეზონი, დიახაც, ეუბნებიან გამარჯვებულს და მისგან ძლეულებსაც, ამოისუნთქეთ, ჩაიმუხლეთ და მძიმე ზამთარიც როგორმე გადააგორეთ, რათა ახალი გაქანებით შევეგებოთ გაზაფხულსო, მაგრამ „სარბიელი“...

მაგრამ „სარბიელი“ პატივდებითა და იმედით შეახსენებს ქართულ სარაგბო თემს, რომ „ყოჩების“ ხელშია რუსთაგან დამოუკიდებელი ქართული რაგბის ძველი, უხმაურო და ალალი ჯილდო — „სარბიელის“ სინი, რომლის გათამაშებასაც ბევრი არაფერი უდგას წინ. სინის სურვილი რკინიგზელებისა და ყოჩების გიჟმაჟმა ფინალმა გამოაღვიძა.

ყოველ ქართულ კლუბს შეუძლია გამოიწვიოს ყოჩები და მათთვის სინის ართმევა სცადოს, მაგრამ გვგონია, რომ თუ გამოწვევა იქნება, მფლობელნი უპირველესად დათვებმა და რკინიგზელებმა უნდა გამოიწვიონ.

პირველნი, რომელნიც წინა სეზონის ჩემპიონები გახლავან, სინის მოგებით წლეულს ერთ ჯილდოს მაინც მოიგდებენ ხელთ. მეორენი კი, თუ ყოჩებს სძლევენ, ამ მათთვის ზე-სეზონს ტრიფლით — სამმაგ ჯილდოთი გაასრულებენ.

თავად „ყოჩები“ კი, არა გვგონია, სინის დამთმობნი იყვნენ.

ჩვენ კი, მოსეირეთ, კარგის მეტი რა? ცეცხლოვანი თამაში, ღირსეულ კაცთა ღირსეული ჭიდილის ცქერა-დაფასება და შინაც გემრიელ გუნებაზე წასვლა სტადიონიდან.

გაათამაშეთ, ძმანო!

სეზონს ერთი კაი რამეც დაუმატეთ.




ჰამბურგი — რომა 0:3. გერმანელი თომას დოლი (№10) და იტალიელი ჯანი გიგუ



## და გააქანა ჰაქან შუქურმა...

UEFA CUP

კაპუტ! შვიდი გერმანული გუნდიდან ხუთი გავარდა; ბრავო! სამი იტალიური გუნდიდან სამივემ იმარჯვა; ვაიო! ყოფილი საბჭოეთის გუნდები უეფას თასს გამოეთხოვნენ, მათ შორის ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივიც“; მაშალა! დღის გოლი მილანში გავიდა, სადაც ჰაქან შუქურმა ბოლოსწინა წუთზე შეაგდო და „ინტერს“ უშველა.


იხილეთ მეორე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი.
საპასუხო მატჩები. 7 დეკემბერი

UEFA CUP

### *რაიო ვალეკანო (ესპანეთი)* 2:0 ლოკომოტივი (რუსეთი) (0:0)
1:0 ბოლიჩი (65), 2:0 ალკასარი (68)
რაიო ვალეკანო: კელერი, ალკასარი, ბალესტეროსი, დე კინტანა, მინგო, პელდერი (მაურო 46), ბოშნერი, კევედო, მიჩელი, ბოლიჩი, ბოლო
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, ჩუგაინოვი, ჩერეშჩენკო, სენნიკოვი, ევსეევი, სარქისიანი, დროზდოვი, მამინოვი, ხარლაჩევი, ბულიკინი
მსაჯი: სორინ კორპოდინი (რუმინეთი)
6 500 მაყურებელი

### *აეკ (საბერძნეთი)* 2:0 ლევერკუზენი (გერმანია) (4:4)
1:0 ნავასი (17), 2:0 ცარტასი (49)
აეკ: ატმაციდისი, ფერუზემი, კაპსისი, კოსტენოგლუ, ზაგორაკისი (პეტკოვი 71), კასაპისი, ზიკოსი, ლაკისი, ნავასი, ცარტასი (მალადენისი 82), ნიკოლაიდისი
ლევერკუზენი: მატიშეკი, რ. კოვაჩი, ნოვოტნი, ტ. ჰოფმანი (ბ. შნაიდერი 65), ჟივკოვიჩი, ვრანიეში, ნოინდორფი (ოჯიგვე 46), ნოივილი, ზე რობერტო, რინკი (დაუნი 54), კირსტენი
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
32 200 მაყურებელი

### *კაიზერსლაუტერნი (გერმანია)* 3:0 რეინჯერსი (შოტლანდია) (0:1)
1:0 კლოსე (8), 2:0 ბუკი (65), 3:0 ლოკვენცი (79)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, იაკინი, ჰ. კოხი, რამზი, ბუკი, კომლიენოვიჩი (შტრასერი 4), ხრისტოვი (ბასლერი 87), კლოსე (მარშალი 69), გრამოცისი, ჯორკაეფი, ლოკვენცი
რეინჯერსი: შ. კლოსი, რიკსენი (მოლსი 46), უილსონი, ნუმანი, ლ. ამორუზო, კონტერმანი, რეინა, თუგაი (დოდსი 76), ალბერტცი, მილერი (მაკკანი 46), უოლესი
მსაჯი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)
29 000 მაყურებელი

### ვერდერი (გერმანია) 0:0 *ბორდო (საფრანგეთი)* (1:4)
ვერდერი: როსტი, ვიკი, ერნსტი, ბაუმანი, კრისტაიჩი, აილტსი (მაქსიმოვი 57), სტალტერი (ბანოვიჩი 33), ჰერცოგი, ბოდე, პიზარო, ბოგდანოვიჩი
ბორდო: რუ, გრენე, როში, სომილი, ბონისელი, ლევეინსკი, სმერტინი, დიაბატე, ბატლე (ბასტო 88), ლასლანდი, პაულეტა (ვილმოტსი 78)
მსაჯი: ოგიუზ სარვანი (თურქეთი)
16 166 მაყურებელი

### რუსენბორგი (ნორვეგია) 1:3 *ალავესი (ესპანეთი)* (1:1)
0:1 ბ. იონსენი (18ს.კ.), 0:2 ვუკო (37), 0:3 ხავი მორენო (62), 1:3 სკამელსრუდი (89პ)
რუსენბორგი: არასონი, ბასმა, ჰოფტუნი, ბ. იონსენი, სტენსაასი, ვინსნესი (ჯორჯი 76), სკამელსრუდი, ბერგი, სორენსენი, ფ. იონსენი, კნუდსენი (ბერნესი 76)
ალავესი: ერერა, კონტრა, ეგენი, ტელიესი, ჯელი, კრუიფი, ტომიჩი (პაბლო 82), დესიო, ასტუდილიო, ივან ალონსო (მაგნო 67), ვუკო (ხავი მორენო 59)
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
9 556 მაყურებელი

### ჰამბურგი (გერმანია) 0:3 *რომა (იტალია)* (0:1)
0:1 ალდაირი (29), 0:2 დელვეკიო (58), 0:3 სამუელი (60)
ჰამბურგი: ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა (პაინცი 46), ბერჩი, ტოფტინგი, ნ. კოვაჩი, ჰოლერბახი, კარდოზო (დოლი 75), მაჰდავიკია (ილმაზი 46), ბარბარესი, პრეგერი
რომა: ლუპატელი, მანჩინი, სამუელი, ალდაირი, კაფუ (გურენკო 90), ტომაზი, გიგუ, კანდელა, ნაკატა, დელვეკიო, მონტელა
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
46 000 მაყურებელი

### ლოზანა (შვეიცარია) 1:3 *ნანტი (საფრანგეთი)* (3:4)
0:1 ზიანი (25), 1:1 ლომბარდო (51), 1:2 მოლდოვანი (60), 1:3 კარიერი (90)
ლოზანა: რაპო, მაიერი, კრისტი, ლომბარდო, მაცონი, ბაუდრი, კუცბა, პუჩე, ზამბაზი, კარლენი, პელებიუკი
ნანტი: ლანდრო, ფაბრი, ლასპალი, ჟილე, ოლემბე, და როშა, მოლდოვანი, კარიერი, ბერსონი, არმანი, ზიანი
10 000 მაყურებელი

### *სელტა (ესპანეთი)* 1:0 შახტარი (უკრაინა) (0:0)
1:0 კატანია (28)
სელტა: კავალიერო, იაგო, კასერესი, ჯოროვიჩი, ხუანფრანი (ველასკო 88), კარპინი (ვაგნერი 75), გვიდონი, ჯოვანელა, გუსტავო ლოპესი, მაკკარტი (ხესული 63), კატანია
შახტარი: ვირტი, ოკორონკვო, სტაროსტიაკი, გლევეცკასი, შევჩუკი, პოპოვი, კოვალევი (ალიუტა 55), ბახარევი, ზუბოვი (სავუ 55), ვორობეი, ბიელიკი (აბრამოვი 73)
მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)
14 000 მაყურებელი

### *ბარსელონა (ესპანეთი)* 1:1 ბრიუგე (ბელგია) (2:0)
1:0 რივალდო (17პ), 1:1 ვერჰეინი (27)
ბარსელონა: რეინა, გაბრი, აბელარდო, პეტი, სერხი, გვარდიოლა (ხავი 69), კოკუ, სიმაო (ალფონსო 46), ოვერმარსი, რივალდო (ხერარდი 75), კლუივერტი
ბრიუგე: ნემეცი, დე კოკი, სიმონსი, ვან დერ ჰიდენი, ვერჰეინი, ენგელბერტი, დე ბრული, ლემბი, მენდოსა, იანსენი (ლესნიაკი 73), სმოლდერსი (კლემენტი 76)
გაძევება: ვან დერ ჰიდენი (68)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
35 000 მაყურებელი

### *ინტერი (იტალია)* 2:1 ჰერტა (გერმანია) (0:0)
1:0 რეკობა (6), 1:1 ტრეჩოკი (54), 2:1 ჰაქან შუქური (89)
ინტერი: ფრეი, ფერარი, ბლანი, კორდობა, ჩირილო (მაჩელარი 64), ხ. ძანეტი, დი ბიაჯო, იუგოვიჩი, ფარინოსი (ჰაქან შუქური 66), რეკობა, ვიერი (კოუ 90)
ჰერტა: კირალი, რემერი, შმიდტი, კ. კონსტანტინიდისი, დაისლერი (ვაიტი 79), დარდაი, სვერისონი, ტრეჩოკი, ჰარტმანი, დაეი, პრეეცი
მსაჯი: კარლოსო კორტეს ბაპტისტა (პორტუგალია)
12 693 მაყურებელი

### *პორტუ (პორტუგალია)* 0:0 ესპანიოლი (ესპანეთი) (2:0)

### *ლივერპული (ინგლისი)* 2:0 ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) (2:2)
1:0 ჰესკი (28), 2:0 ბარმბი (60)
35 484 მაყურებელი

### პაოკ (საბერძნეთი) 0:1 *პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)* (0:3)
0:1 ბრუგინკი (44)
34 300 მაყურებელი

### *სლავია (ჩეხეთი)* 5:1 ოსიეკი (ხორვატია) (0:2)
1:0 ტ. დოშეკი (15), 2:0 ზელენკა (28), 2:1 ტურკოვიჩი (45), 3:1 ტ. დოშეკი (53), 4:1 ზელენკა (90), 5:1 კუჩარი (90)
4 125 მაყურებელი




ინტერი — ჰერტა 2:1. ბოლოსწინა წუთზე ჰაქან შუქურმა ბერლინელები დაამწუხრა



ლივერპული — ოლიმპიაკოსი 2:0. ბერძენმა ელიას პურსანიდისმა ლივერპულელი დენი მერფი ასეც ვერ დაიკავა და შედეგად მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის დარად, უეფას თასიდანაც გავარდა



ბარსელონა — ბრიუგე 1:1. გერტ ვერჰეინმა ბევრი იბრძოლა, გოლიც გაიტანა, მაგრამ მერვედფინალში მაინც სერხი ბარხუანის (№2) „ბარსელონა" გავიდა



როცა გოჩა ჯამარაული ხასიათზეა... ოთხ თამაშში სამი გოლი

# შვეიცარიული პარტიის ქართული ენდშპილი

## სადაც წახვალ, იქაური ყველი ჭამე

*კარგა ხანია, საქართველოს ნაკრებისა და „ციურიხის" ნახევარმცველ გოჩა ჯამარაულთან არ გვისაუბრია.*

*„ციურიხი" მაშინ იგებს, როცა გოჩა ჯამარაული თამაშის ხასიათზეა. ვერ გეტყვით, რომ „ლოზანას" მარტომ მოუგო, მაგრამ როცა ქართველი იშტაზეა, მაშინ გამარჯვება ძალიან ახლოსაა" — წერენ ჩვენი შვეიცარიელი კოლეგები და ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის მიმოხილვას ასე ასათაურებენ — როცა ჯამარაული ხასიათზეა.*

*ბოლო ოთხ მატჩში ჩვენებურმა სამი გოლი გაიტანა, როგორც ამბობენ, სამივე ერთიმეორეზე ლამაზი. ჯამარაულმა და ყაველაშვილმა „ბაზელის" დაცვა შვეიცარიული ყველივით დახვრიტეს (ძველი შედარებაა, გვეპატიოს) და თითოთითო შეგდეს.*

*და, ბუნებრივია, გოჩა კარგ ხასიათზეა. მის ასეთ ჩინებულ თამაშს ხომ გუნდის წარმატებაც მოჰყვა, „ციურიხმა" პირველი წრის დამთავრებამდე ტურით ადრე შვეიცარიის ჩემპიონატის რვა საუკეთესო გუნდს შორის დაიბევა ადგილი და ახლა მეორე წრიდან ევროთასების საგზურისთვის იბრძოლებს.*

*გოჩა გუშინაც ჩინებულ ხასიათზე დაგვიხვდა. მას შინ, ციურიხში შევეხმიანეთ და სამშობაო არდადეგებზე თბილისში წამოსვლამდე ეს ინტერვიუ ვთხოვეთ.*

— უკვე ყველაფერი გარკვეულია, როგორც იქნა ჩვენი კონკურენტი, ლევან ხომერიკის „არაუ" მოვიტოვეთ და რვა უძლიერესში მოვხვდით — გვითხრა გოჩა ჯამარაულმა — კვირას ჩვენ „ბაზელი" დავამარცხეთ, „არაუმ" კი წააგო.

**— გოლებს მოუხშირე. ამპლუა ხომ არ შეგიცვლია? სულ რვა გოლი კი გაიტანე, მაგრამ აქედან სამი ამ ბოლო დროს, ოთხ თამაშში.**

— არა, ძველებურად თავდამსხმელების უკან ვთამაშობ. მხოლოდ ახლა, „ბაზელთან", მწვრთნელმა წინ წამწია. ესეც იძულებითი ნაბიჯი იყო, თავდამსხმელები გვაკლია. რამდენიმე დღის წინ ბარტლეტი ინგლისურ „ჩარლტონში" გაიყიდა და... ჩვენ საერთოდ სამი თავდამსხმელით ვთამაშობთ.

**— „ციურიხს" ორი ქართველი ჰყოლია თავდასხმაში...**

— ჰო, და ორივემ გავიტანეთ. მიშა ყაველაშვილი მარცხნივ თამაშობდა, მე — ცენტრალურ თავდამსხმელად. გოლი კი, თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ, მართლაც ლამაზი გამოვიდა — შორიდან, ცხრიანში.

**— მერედა, თავდამსხმელად როგორ თამაშე? ეგებ შენთვის ნახევარმცველობას ფორვარდობა სჯობს?**

— რა ვიცი, ვერ წარმომიდგენია ჯამარაული — თავდამხსმელი. მთელი ჩემი კარიერა ნახევარმცველი, უფრო ხშირად გამთამაშებელი ვიყავი და ახლა რომ ამპლუა შევიცვალო, იქნებ ცოტა უცნაურიც იყოს. „ბაზელთან" ჩემი თავდამსხმელობა, ხომ გითხარით, ვითარებიდან გამომდინარე იყო, ფორვარდი არ გვყავდა.

**— „ბაზელამდე" „ქსამაქსთან" თამაში დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვე...**

— ოთხი ყვითელი მქონდა.

**— უხეშობისთვის?**

— ორი უხეშობისთვის, თითოც მსაჯთან კამათისთვის და ბურთის გადაგდებისთვის. შვეიცარიაში ყოველი მეოთხე გაფრთხილების შემდეგ ერთი თამაშის გამოტოვებით ისჯები.

**— ბოლო ტურში გოლის გამტანი ყაველაშვილი რატომ შეცვალეს?**

— მწვრთნელმა ასე ჩათვალა საჭიროდ. ორბურთიანი სხვაობით ვიგებდით და მიშა მცველით შეცვალა. წმინდა ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო. იმ მატჩში მიშამ ძალიან ძლიერად ითამაშა.

**— ახლა რა მიზანი გაქვთ? რვა საუკეთესო გუნდში მოხვდით.**

— ახლა მინიმუმ მესამე ადგილი ან თასი უნდა მოვიპოვოთ. კლუბის ხელმძღვანელობამ პირდაპირ გვითხრა, რომ ევროტურნირებზე უნდა ვითამაშოთ.

**— ეს რეალურია?**

— რატომაც არა? გააჩნია მეორე წრისთვის როგორ მოვემზადებით. დაწინაურებულ გუნდებთან ქულებში სხვაობა არც ისე დიდია. თანაც, როგორც გავიგე, რამდენიმე კარგი ფეხბურთელის დამატებასაც აპირებენ.

**— შენ არ ფიქრობ „ციურიხიდან" წასვლაზე?**

— კი მინდა, მაგრამ რა გამომივა, არ ვიცი. „ციურიხის" პრეზიდენტსაც ველაპარაკე, თუმცა მისგან კონკრეტული ვერაფერი გავიგე. არადა, რამდენიმე გუნდი, მგონი, მიწვევს და ესენი არაფერს მეუბნებიან.

**— რატომ გსურს „ციურიხიდან" წასვლა? პირობებით ხარ უკმაყოფილო?**

— პირიქით, პირობებზე საწუწუნო არაფერი მაქვს. ციურიხში ჩემი ოჯახი მშვენივრად გრძნობს თავს. საქმე ის არის, რომ უკვე ისეთი ასაკი მაქვს, უკეთესს ჩემპიონატში მინდა, ვითამაშო. ბუნებრივია, კონტრაქტის გაუმჯობესებაზეც არ ვიტყვი უარს.

**— ბოსკამპიდან და ბელგიური გუნდებიდან არაფერია ახალი?**

— ვიცი, რომ რამდენიმე გუნდი არის დაინტერესებული, მათთან ვითამაშო, მაგრამ ხომ გითხარით, კონკრეტულად არაფერს მეუბნებიან.

**— დაბოლოს, არ გკითხო, არ იქნება. ორი თვე გავიდა საქართველოს ნაკრების ლიტვასა და იტალიაში თამაშების შემდეგ. შენ ორჯერვე სათადარიგოდ მოგიტოვეს, ეს ჩვენთვის მოულოდნელი იყო. რა მოხდა?**

— აბა, რა ვთქვა? ყველა მწვრთნელს თავის აზრი, ფეხბურთელზე თავის შეხედულება აქვს. მე კი ახლაც ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, რომ ორივე მატჩში ძირითადი შემადგენლობის ღირსი ვიყავი. მომზადება, მგონი, არ დამეწუნებოდა. ძალიან მინდოდა, ძირითადში მეთამაშა.

**— მიზეზზე მწვრთნელებს არაფერი უთქვამთ?**

— სულ არაფერი. ველოდი, რომ მეტყოდნენ ამის და ამის გამო, სჯობს, სათადარიგო იყოო, მაგრამ ციურიხში ისე დავბრუნდი, ამის თაობაზე სიტყვა არ მსმენია.

**კობა ინასარიძე**

# გორდა ბჭობს და იტოვებს

**გუშინ** „გორდას" მწვრთნელ-ფეხბურთელები და ხელმძღვანელები სათათბიროდ შეიყარნენ. რუსთაველებმა საშემოდგომო ეტაპის შედეგები შეაჯამეს და რა გასაკვირია, რომ ყოველივეს უარყოფითი შეფასება მისცეს. გუნდმა ხომ პრაქტიკულად დაკარგა ექვსეულში მოხვედრის შანსი და დღეისათვის 16 ქულით მეცხრე ადგილზეა. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ გაზაფხულიდან „გორდას" მთავარი საზრუნავი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება.

ბოლო დროს გავრცელებული ხმების თანახმად, დღის წესრიგში იდგა გუნდის მთავარი მწვრთნელის, იასონ ალადაშვილის, განთავისუფლების საკითხიც. ამაზე კითხვა გუშინდელ შეხვედრას უნდა გაეცა. ჩვენც მისი დამთავრებისთანავე „გორდას" პრეზიდენტ თემურ ბეილლიშვილს დავუკავშირდით. მან გვითხრა: „იასონ ალადაშვილი გუნდში დარჩება და სამეორეეტაპოდაც „გორდას" მთავარი მწვრთნელი ის იქნება. მწვრთნელ-ფეხბურთელები ორი კვირით შვებულებაში გავუშვით.მერე კი კვლავ შევიკრიბებით და მზადებას დავიწყებთ. სავარაუდოდ, გასვლით შეკრებასაც მოვაწყობთ ბაკურიანში. ისე, სხვა ვარიანტებიც არ არის გამორიცხული, ამ მხრივ კვლავაც ვმუშაობთ. ჩვენი მიზანია, გუნდი გაძლიერდეს და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს".

ბეილლიშვილმა ისიც გვითხრა, „გორდადან" წასვლის სურვილი არც ერთ ფეხბურთელს არ გამოუთქვამსო.

**ბაადა ძგანტალიანი**

# ფოცხვერია კარგად იქნება...

## პოდლესნიც, მუხინიც და მერანიც

**საფეხბურთო** კლუბ თბილისის „მერანმა" ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი ფაქტობრივად ჩაამთავრა. მხოლოდ ერთი, საკვირაო სათასო მატჩი-ლა დარჩა შინ გორის „დილასთან" და მერე დასვენებაც შეიძლება.

გუნდის 14 ფეხბურთელს სხვადასხვა სახის ტრავმა აწუხებდა. ამათგან ყველასთვის საფიქრალი კი მეხეილ ფოცხვერიას მტკივანი მუხლი იყო. ავჭალელთა ფორვარდი საოპერაციოდ რომ ემზადებოდა, უკვე მოგახსენეთ. მართლაც გუშინწინ ფოცხვერიამ ოპერაცია გაიკეთა.

კლუბის თავკაცთა თქმით, ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. თავდამსხმელს დაზიანებული მყესებიც ალუდგება და არც „მენისკი" შეაწუხებს. ექიმთა რჩევით, მიშა პარალელურად მენისკის ოპერაციაზეც დათანხმებულა.

ფოცხვერია თურმე ერთ თვეში ვარჯიშს დაიწყებს სარეაბილიტაციო პერიოდის გასვლისთანავე (თვე, თვენახევარი) მთელი დატვირთვით ივარჯიშებს.

„მერანის" ერთ-ერთი უკრაინელი ნიკოლაი პოდლესნი ბოლო ბროს არც ვარჯიშზე გამოჩენილა და არც მატჩის ოქმში მოგვიკრავს მისი გვარსახელისთვის თვალი. მისი გაუჩინარების მიზეზი რომ ვიკითხეთ, კლუბის წარმომადგენელმა მოგვიგო, ბათუმშიაო.

ფეხს იტკიებდა პოდლესნი, ტრავმა რომ არ გაუმიზეზდეს, „მერანის" საფეხბურთო სკოლის (1984 წელს დაბადებული თექვსმეტწლამდელები) მოთამაშეებთან ერთად ბათუმში გაუშვეს. ნიკოლაი იქ გუნდის ექიმთან იმკურნალებს და თან მოლონიერდება.

ანდრეი მუხინს კი არც არაფერი სტკივა და არც არაფერი აწუხებს, მაგრამ ბოლო თამაშებში ისიც სათადარიგო იყო.

მუხინს ძალები გამოელიაო, გვითხრეს. დიდი ხნის უთამაშებელსა და უვარჯიშებელს ერთბაშად დიდმა დატვირთვებმა უწია და... ახლა მუხინი ნაყოფიერ მოსამზადებელ ეტაპს გაივლის და თურმე ძალებსაც აღიდგენს.

დანარჩენი მიკროტრავმებიანი ფეხბურთელები კი საკვირაო, სათასო მატჩის შემდეგ აპირებენ ჯანზე მოსვლას. მოკლედ, „მერანი" ნაყოფიერი შვებულებისთვის ემზადება.

**დათო დანელია**



მიხეილ ფოცხვერია

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
◆ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
◆ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
◆ კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

საქართველოს 12 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე წრე
საშემოდგომო ეტაპი

# ბატონი 1:0

## აბა, ტაბლოს ვინ აგვინთებს...

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ახალი რეგლამენტის პირმშო, თორმეტგუნდა პირველი ლიგის ჩემპიონატს ბევრი თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდა. რა არის უმაღლესი ლიგა და რა უნდა იყოს პირველი, სოფლის დონის ფეხბურთი, რა სარგებლობას მოიტანსო, ამბობდნენ ოპონენტები.

ფედერაციის გადაწყვეტილებით, უმაღლესმა ლიგამ სეკვესტრი განიცადა. თექვსმეტს ოთხი მოაკლდა, შესაბამისად ბევრი ფეხბურთელი უგუნდოდ დარჩა. ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ როგორმე შექმნილიყო ისეთი ლიგა, სადაც გათამაშების ფორმატი მეტ სტიმულს მისცემდა გუნდებს და თანაც იგი ცოტათი მაინც მიუახლოვდებოდა უმაღლესს. სფფ-მაც მარტივად გადაწყვიტა, შექმნა რეგიონული, ჩვენში ყველაზე დაბალი ლიგა, ანუ პირველ ლიგას გარკვეულწილად ხარისხი შეჰმატა, თანაც ჩემპიონატის იგივე ფორმატით გამართვა ბრძანა, როგორც უმაღლეს ლიგაში, ანუ შეირჩა 12 გუნდი. უმაღლეს ლიგიდან ოთხ გავარდნილს, 8 გუნდი შეემატა (მაშინდელი ოთხზონიანი მეორე ჯგუფის 2-2 საუკეთესო). დებულების თანახმადაც პირველ ეტაპზე თორმეტეულს ორ წრედ უნდა ეთამაშა, შემდეგ კი პირველი ექვსეული უმაღლესი ლიგის სამი საგზურისთვის (ორი ავტომატური და ერთიც გადათამაშების უფლებით) გააგრძელებდა მეორე ეტაპიდან ასპარეზობას. ბოლო ექვსეული კი ლიგაში დამრჩენი სამი ადგილისთვის იბრძოლებდა.

თორმეტეული შემდეგმა გუნდებმა შეადგინეს: „თბილისი", „ხობი", „სამგურალი", ასკ (სახელშეცვლილი „არსენალი"), „ცხინვალი", „მეტალურგი", „გურია", „თორი", „ოკეანე", „შუქურა", „მილანი", „ზუგდიდი".

ჩემპიონატი აგვისტოს ბოლოს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ფინანსური პრობლემა წარმოიშვა. პირველი ტურის წინ გაირკვა, რომ გუნდების უმრავლესობას ჯერაც არ ჰქონიათ შეტანილი ფედერაციის სალაროში საწევრო თანხა, სფფ-მ ულტიმატუმი წამოაყენა, გუნდებს ერთი კვირის ვადა მისცა და ჩემპიონატის დაწყება მეორე ტურიდან ბრძანა. საჭირო თანხის მოძიება მხოლოდ არმიელებმა ვერ შეძლეს და ასკ-ს უბოდიშოდ შეუნაცვლეს პირველ ლიგაში თამაშის მოსურნე ხაშურის „ივერია"... და ჩემპიონატიც დაიწყო. დაიწყო და ნელ-ნელა ინტერესიც გაჩნდა. პირველივე ტურმა ცხადყო, რომ გათამაშებას ინტრიგა არ მოაკლდებოდა, ტურიდან ტურამდე იხლართებოდა სატურნირო ცხრილი, ვერაფრით განსაზღვრავდი წინასწარ, ვინ ვის მოუგებდა, სად გველოდა სიურპრიზი. რა თქმა უნდა, აქ ზედმეტია ლაპარაკი თამაშის ხარისხზე (თუმც დიდად არ ჩამორჩება უმაღლეს ლიგას), მაგრამ გამუდმებული დაძაბულობა და სატურნირო ორომტრიალი დიდ ინტერესს იწვევდა და, რაც მთავარია, მაყურებელი არ იზარებდა თამაშზე მისვლას. ყოფილა შემთხვევა, როცა ერთ მატჩს სამი ათასზე მეტი გულშემატკივარი ყოლია. თამაშებზე მაყურებელთა დასწრების მაჩვენებლით სხვათაგან ქიზიყური „მილანი" გამოირჩევა. ამ გუნდის საშინაო მატჩებს ძველ ანაგაში 1000 ქომაგზე ნაკლები არასდროს დასწრებია.

დღეს უკვე პირველ ლიგაში 17 ტურია განვლილი, ჩემპიონატში შესვენებაა გამოცხადებული სამ მარტამდე. ამ დღიდან 25 მარტამდე გუნდები ხუთ ტურსაც მოილევენ და უმაღლესი ლიგის საგზურისთვის მაძიებელთა ვინაობაც გაირკვევა, მანამდე წინ უშუქო ზამთარია და ჩვენც განვლილი 17 ტურის ამბები მოკლედ მიმოვიხილოთ, შეძლებისდაგვარად თორმეტივე გუნდის შესაძლებლობებზეც ვთქვათ.

3 სექტემბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით 17 ტურში 102 მატჩი გაიმართა, მაგრამ აქედან ორი შეხვედრა არ დასრულებულა. პირველი ტურის მატჩი წყალტუბოში ჩაიშალა. „სამგურალ" — „მეტალურგის" შეხვედრა დიდი ვნებათა ღელვით გამოირჩა. მასპინძლები 3:2-ს იგებდნენ ბოლო წუთამდე, როცა სტუმრებმა უარი თქვეს შეხვედრის გაგრძელებაზე. მიზეზი ბანალურია და მსაჯებს უკავშირდება. მოგვიანებით ასეთი საქციელისთვის ზესტაფონელები ტექნიკური მარცხით 0:3 დაისაჯნენ. ალბათ, იგივე ბედი ელის „ზუგდიდსაც". საუკუნის ბოლო მატჩი ზუგდიდში სკანდალურად დასრულდა — ბოლო წუთზე „შუქურას" საპასუხო გოლით წონასწორობადაკარგული „ზუგდიდის" პრეზიდენტი გელა ბუკია მსაჯებს დაერია, ვაი-გულშემატკივრებიც აიყოლა და ფეხბურთს ვინ დაეძებდა, ლამის მსხვერპლით დამთავრდა ყველაფერი. საბედნიეროდ, მსაჯები სიმკვირცხლემ იხსნა, საგულდაგულოდ ჩაიკეტნენ შავოსნები გასახდელში და რამდენიმე საათი იქ იყურყუტეს. ბუნებრივია, შეხვედრის საბოლოო ანგარიში 1:1 მომავალ ოთხშაბათს სადისციპლინო კომიტეტის სხდომამდე ძალაშია, მაგრამ აქაც 0:3-ია მოსალოდნელი.

ასერთი მატჩიდან 67 მოიგეს მასპინძლებმა, 14 სტუმრებმა, ხოლო 20 შეხვედრა ფრედ დასრულდა. მოგების მხრივ საუკეთესო მაჩვენებელი სამ გუნდს აქვს. „გურიამ", „მილანმა" და „ცხინვალმა" ათ-ათჯერ იმარჯვეს და, ბუნებრივია, პირველ სამ ადგილზეც ეს გუნდები არიან. ამათგან „მილანს" გამოვარჩევთ. წნორელებმა ჩვიდმეტიდან ცხრა შეხვედრა ძველ ანაგაში („მილანის" საშინაო სარბიელია) გამართეს და ზუსტად ამდენი გამარჯვება მოიპოვეს. შთამბეჭდავია საშინაო შეხვედრებში „მილანის" გატანილ-მიღებული ბურთების ბალანსიც — 20:3.

სტუმრად მოგებულებში პირველი „გურიაა". პირველი ლიგის მატჩების დაძაბულობაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ მაჩვენებლით საუკეთესო პირველადგილოსანმა გურულებმა მხოლოდ სამჯერ მოახერხეს სტუმრად გამარჯვება.

ფრეების ოსტატები კი „მეტალურგი" და „ხობი" არიან. ზესტაფონელები ექვსჯერ დაუზავდნენ მეტოქეებს, ხობელები კი ხუთჯერ და რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ხუთჯერვე შინაურ სარბიელზე.

101 მატჩში 249 გოლი გავიდა. 181-ჯერ მასპინძლებმა გაიხარეს, 68-ჯერ კი სტუმრებმა მიაღწიეს წარმატებას. გოლების მაჩვენებლით საუკეთესო „ცხინვალია". შიდაქართლელებმა 17 მატჩში 40-ჯერ შეძლეს მეტოქის კარის აღება. „ცხინვალს" საშინაო-საგარეო მაჩვენებელიც სხვებზე უკეთესი აქვს. 31 გოლი შინ, 9 — სტუმრად. საინტერესოა ისიც, რომ ჩემპიონატის მეხუთე ტურში ცხინვალელებს საშემოდგომო ეტაპის გამარჯვებული ლანჩხუთის „გურია" 7:0 ჰყავთ დამარცხებული.

ჩემპიონატის ყველაზე უხვგოლიანი მატჩი 10 ნოემბერს გაიმართა ზესტაფონში. ამ შეხვედრაში 9 გოლი გავიდა და „მეტალურგმა" 7:2 მოუგო „ზუგდიდს".

პირველი ლიგის საშემოდგომო ეტაპის ყველაზე პოპულარული ანგარიში 1:0 იყო. ოქმებში (აბა, ამ უშუქობაში ტაბლო სად ანთია) ეს ანგარიში ოცჯერ დაფიქსირდა.

განვლილ მატჩებში მსაჯებმა 276-ჯერ ააფრიალეს ყვითელი ბარათი (136 მასპინძლის წილია, 140 სტუმრისა), 19-ჯერ კი გასახდელისკენ მიუთითეს ფეხბურთელებს. ხუთ შემთხვევაში მასპინძელი „გაწითლდა", 14-ჯერ — სტუმარი. ბუნებრივია, ამის გარდაც მრავლად იყო დარღვევები, მსაჯებიც ბევრჯერ დამდგარან საშიშროების წინაშე, მაგრამ თუკი პარალელს გავავლებთ უმაღლეს ლიგასთან, 176 ყვითელი და 19 წითელი ბარათი ბევრი სულაც არ არის. საგანგაშო უფრო ისაა, რომ ბევრ შემთხვევაში პოლიცია სათანადოდ მობილიზებული არაა და შესაბამისად დიდი შანსიცაა, ექსცესები მოხდეს სტადიონებზე.

პენალტებზეც ვთქვათ. 17 ტურში 28-ჯერ მოუხდათ მსაჯებს თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ მითითება. 23 პენალტი მასპინძელთა სასარგებლოდ დაინიშნა, 5-ჯერ მსაჯებმა გარისკეს და სტუმრებს მისცეს შანსი. 28 პენალტიდან ოცდაერთია რეალიზებული, 17 მასპინძლებმა გამოიყენეს, 4 — სტუმრებმა.

დაბოლოს, მოკლედ გაგაცნობთ იმ თორმეტი გუნდის შანსებს, რომელთაგან ორი, ეგებ სამიც, XIII ეროვნულ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში გადაინაცვლებს.

„გურია" — სეზონის წინ ლანჩხუთელებს მძლავრი ბერკეტი გამოუჩნდა რკინიგზის სახით. „ლოკომოტივი 2" წყალწაღებულ „გურიას" შეუერთდა. ბუნებრივია, ფინანსებიც გაჩნდა და სავსებით ლოგიკურია ის, რომ ლანჩხუთელები დღეისთვის სათავეში მოექცნენ სატურნირო ცხრილს. სავარაუდოდ, პირველ ეტაპს „გურია" პირველ ადგილზე ჩაამთავრებს ქულების სოლიდური მარაგით. ამის თქმის საფუძველს ლანჩხუთელთა დარჩენილი საგაზაფხულო კალენდარი გვაძლევს. ხუთიდან სამ მატჩს „გურია" შინ გამართავს „ივერიასთან", „თორთან" და „თბილისთან", თითოჯერ კი წყალტუბოსა და ზესტაფონს ესტუმრება. ერთი შეხედვით ორივე საგარეო შეხვედრა მძიმე ჩანს გურულთათვის, მაგრამ საშინაო მატჩების მეტოქეების გათვალისწინებით, გაზაფხულზე ყველაზე მეტი ქულის ამღები სწორედ რკინიგზის შვილობილი ჩანს. „გურიას" არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი, მაგრამ ერთობ შეთამაშებული და ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს.

„მილანი" — ძალ-ღონეს არ იშურებს სახელოვანი იტალიური კლუბის სეხნია უმაღლეს ლიგაში ასასვლელად და ამაში ლომის წილი გუნდის პრეზიდენტ ავთანდილ მანგოშვილს მიუძღვის. ამ პიროვნებამ ყველანაირი პირობა შეუქმნა ფეხბურთელებს (ტექნიკური ბაზის ჩათვლით) და შედეგიც სახეზეა. გუნდმა უპრობლემოდ მოიგო უკლებლივ ყველა საშინაო შეხვედრა და თუ გასვლით მატჩებშიც მეტ ყურადღებას გამოიჩენს, კახელთა მიზანს წინ ვერაფერი დაუდგება. „მილანის" გამოკვეთილი ლიდერი გიორგი ტოკლიკიშვილია. 17 მატჩში მის ანგარიშზე 9 გოლია. სტაბილურობით გამოირჩევა აგრეთვე ექსგორდელი დავით ინასარიძე, მაგრამ „მილანის" ფავორიტობა და სტაბილურობა მაინც მყარი ფინანსური რესურსებითაა განპირობებული.

„ცხინვალი" — შიდაქართლელებს ნამდვილად ძალუძთ რჩეულთა ელიტაში ალზევება, მაგრამ ბოლო დროს გავრცელებული ხმების თანახმად, „ცხინვალს" საუმაღლესლიგო ამბიცია არ ამოძრავებს. ამის მთქმელნი იმ ფაქტორს ეყრდნობიან, რომ გუნდს გორის გამგეობა ინახავს, ისევე როგორც „დილას" და ორი გუნდის ყოლა უმაღლეს ლიგაში მათთვის დიდი ტვირთი იქნება. ეს ვერსია რეალობას მოკლებული არ უნდა იყოს, მაგრამ ისიც სათვალავშია ჩასაგდები, რომ „დილასაც" ვერა აქვს საქმეები კარგად და შესაძლოა, ქვედა ლიგაში დაქვეითდეს. „ცხინვალი" კი ჯერჯერობით იბრძვის და პრაქტიკულად ექვსეულში მოხვედრის პრობლემაც გადაჭრილი აქვს. გუნდში ბევრი გამოცდილი ფეხბურთელია, მათგან ლიგის ბომბარდირები — პაატა გვირჯიშვილი და ბესან ბოჭორაძე გამოირჩევიან.

„მეტალურგი" — ამბიცია არც ზესტაფონელებს აკლიათ. ვასილ ჭეიშვილის შეგირდები ტურიდან ტურამდე აუმჯობესებენ თამაშს. „მეტალურგი", „გურიას" მსგავსად, სულ სამჯერ დამარცხდა საშემოდგომო ეტაპზე, გუნდში ბევრი ექსუმაღლესლიგელი თამაშობს. 11 გოლით ბომბარდირთა შორისაა გრიგოლ გვაზავა. ზესტაფონელთა მთავარი კოზირი კი საშინაო მატჩებში სტაბილურობაა — 7 მოგება, ერთი ფრე. თუმც ისიც სათქმელია, რომ ამ გუნდს მოულოდნელად ქულების დაკარგვაც სჩვევია. მიუხედავად ამისა, „მეტალურგს" ალბათ სამეორე ეტაპზე ექვსეულში ვიხილავთ, მერე კი უმაღლესი ლიგის საგზურზეც შესაძლებელია ფიქრი.

„შუქურა" — რიხით დაიწყეს ზღვისპირელებმა ჩემპიონატი. ფინანსურად ახლაც წელგამართულნი არიან, მაგრამ კარგა ხანს პირველ ადგილზე მყოფმა ქობულეთურმა გუნდმა საშემოდგომო ეტაპის შუაგზაზე წაიფორხილა, ქულებიც უმოწყალოდ ფლანგა და ჯერჯერობით მხოლოდ მეხუთე ადგილზეა. გუნდს გამოცდილი სპეციალისტი ვალერიან ჩხარტიშვილი თავკაცობს და მის მარიფათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ოთხშაბათის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა ზუგდიდში მომხდარი არეულობისთვის სავარაუდოდ ტექნიკურ მოგებას ქობულეთელებს უბოძებს. და „შუქურას" ქულათა რაოდენობაც 30-ს მიაღწევს, რაც ალბათ ექვსეულში მოხვედრას გაუადვილებს. საინტერესოა, რომ ამ გუნდს რვა საშინაო მატჩში ერთადერთი გოლი აქვს გაშვებული, თუმც სტუმრად რომ ვერ ყოჩობს, ამაზე ხუთი მარცხი და 13 გაშვებული გოლი მეტყველებს.

„სამგურალი" — გუნდს ჰყავს მეგოლე ზვიად ქუთათელაძე და მობილური შუახაზი, სამაგიეროდ, პრობლემები აქვს დაცვაში. რამდენადაც კარგად თამაშობს შინაურ კედლებში, იმდენად უსუსურია სტუმრად — ერთი მოგება, ორი ფრე, ექვსი წაგება. ექვსეულში მოსახვედრად წყალტუბოელთა მთავარი საზრუნავი სტუმრად უკეთ თამაშია.

„ზუგდიდი" — წყალტუბელთა მთავარი კონკურენტია, თუმც ბოლო ტურის მატჩში მომხდარმა ინციდენტმა შესაძლოა გვარიანად აზარალოს. დისციპლინარებმა თუ დისკვალიფიკაცია მისცეს, დარჩენილი საშინაო მატჩების ნეიტრალურ მოედანზე გამართვა მოუწევს. არადა, „ზუგდიდის" მთავარი ძალა მშობლიური „ცენტრალურია", 24-დან 20 ქულა სწორედ შინაურ კედლებში აქვთ მოპოვებული ბადრი თუთბერიძის შეგირდებს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, დიდი შანსია, ზუგდიდელები ექვსეულს მიღმა დარჩნენ.

„თორი" — ქულების ფანტვას დაჩვეული გუნდია, მაგრამ ერთეულების ძალისხმევით (დავით თალაკვაძე, კახა ჯანაშია, დავით ვარდიაშვილი) შესაძლებლობების ზღვარზე თამაშობს და 23 ქულასაც მოუყარა თავი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბორჯომელებს ექვსეულისთვის ბრძოლაც ხელეწიფებათ, მაგრამ მიზნის მისაღწევად გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევთ.

„ხობი" — სავალალო დღეშია ყოფილი უმაღლესლიგელი. გუნდმა ექვსეულში მოსახვედრი პრაქტიკულ-თეორიული შანსი დაკარგა და გაზაფხულიდან იმასღა თუ ეცდება, იმდენ ქულას მაინც მოუყაროს თავი, ლიგაში დარჩენა გაინაღდოს. საინტერესოა, რომ ხობელებმა ხუთჯერ ითამაშეს ფრედ და ხუთივეჯერ ერთნაირი ანგარიშით — 0:0.

„ივერია" — არმიულ კლუბს ბოლო წამს ჩანაცვლებული კიდევ ერთი ყოფილი უმაღლესლიგელი ერთობ სუსტად თამაშობს. „ივერიამ" ბოლო ტურებში გამოისწორა მდგომარეობა და როგორღაც 15 ქულას მოუყარა თავი. საკვირველია, რომ ხაშურელებს ერთი ქულაც ვერ აუღიათ საგარეო შეხვედრებში. რვაჯერ დამარცხდნენ და მხოლოდ 3 ბურთის გატანა მოახერხეს ამ მატჩებში.

„ოკეანე" — სამტრედიული გუნდის საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილია. მომავალ ჩემპიონატში გუნდი რეგიონულ ლიგაში ითამაშებს. მიუხედავად ამისა, სამაგალითო საქმე გააკეთა კლუბის აწგანსვენებულმა პრეზიდენტმა მურმან ძნელაძემ. სწორედ მისი მონდომების შედეგად ჩაერთნენ ახალგაზრდა, ჯერაც დაუღვინელები ყმაწვილები პირველი ლიგის ჩემპიონატში და ერთგვარი გამოცდილებაც შეიძინეს.

„თბილისი" — სამტრედიელთა მსგავსად ამ გუნდის ბედიც გარკვეულია. რევაზ გაგუას შეგირდები უიმედო აუტსაიდერები არიან. მათ აქტივში მხოლოდ ათი ქულაა და რა გასაკვირია, რომ 17 მატჩში მხოლოდ 7 გოლის გამტანმა გუნდმა რეგიონულ ლიგაში ჩაინაცვლოს.

**ბაატა ძვანტალიანი**



ჩემპიონატის სტარტზე „მეტალურგ" — „შუქურას" მატჩში ყველაფერი მასპინძელთა ერთმა გოლმა გადაწყვიტა

მამუკა ფაჩუაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი 12 პირველი ლიგა მეორე წრე

# საშემოდგომო ეტაპი

სტატისტიკა

**უმაღლესის მსგავსად მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი პირველ ლიგაშიც მორჩა. დღეს ამ 17 ტურის სტატისტიკას გთავაზობთ.**

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 17 |
| მატჩი | 101 |
| გოლი | 249 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,44 |
| გოლი საშუალოდ ერთ ტურში | 14,67 |
| მასპინძელთა მოგება | 67 (68%) |
| ფრეები | 20 (19%) |
| სტუმართა მოგება | 14 (13%) |
| უხვგოლიანი ტური | XIV: 22 |
| გოლმწირი ტური | III: 6 |

## ბომბარდირები

| № | ბომბარდირი | გუნდი | გოლი | გუნდის % |
|---|---|---|---|---|
| 1 | პაატა გვირჯიშვილი | ცხინვალი | 13 | 32 |
| | ზვიად ქუთათელაძე | სამგურალი | 13 | 46 |
| 3 | ბეჟან ბოჭორაძე | ცხინვალი | 11 | 27 |
| | გრიგოლ გვაზავა | მეტალურგი | 11 | 42 |
| 5 | გია ტოკლიკიშვილი | მილანი | 9 | 36 |

## უპოპულარესი ანგარიშები

| № | ანგარიში | რაოდენობა | % | № | ანგარიში | რაოდენობა | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1:0 | 20 | 19 | 7 | 3:1 | 7 | 6 |
| 2 | 0:0 | 11 | 10 | 8 | 3:0 | 5 | 4 |
| 3 | 2:1 | 10 | 9 | 9 | 0:1 | 5 | 4 |
| 4 | 2:0 | 9 | 8 | 10 | 1:2 | 4 | 3 |
| 5 | 1:1 | 9 | 8 | 11 | 3:2 | 3 | 2 |
| 6 | 4:0 | 7 | 6 | 12 | 0:2 | 3 | 2 |



ბომბარდირი უბურთოდ 13 გოლის გამტანი სამგურალელი ზვიად ქუთათელაძე (მარჯვნივ)

## მოგებათა სერია

| № | გუნდი | მოგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შუქურა | 4 | დ | 5 | 8 |
| 2 | ცხინვალი | 3 | დ | 11 | 13 |
| | გურია | 3 | დ | 14 | 16 |
| | მეტალურგი | 3 | დ | 14 | 16 |
| | მილანი | 3 | დ | 7 | 9 |
| | ზუგდიდი | 3 | დ | 3 | 5 |
| 7 | ივერია | 2 | მ | 16 | 17 |
| | ხობი | 2 | დ | 9 | 10 |
| | სამგურალი | 2 | დ | 13 | 14 |
| | თორი | 2 | დ | 9 | 10 |
| 11 | თბილისი | 1 | დ | 16 | 16 |
| | ოკეანე | 1 | მ | 17 | 17 |

## უფრეო სერია

| № | გუნდი | უფრეოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოკეანე | 14 | მ | 4 | 17 |
| 2 | ცხინვალი | 13 | დ | 4 | 16 |
| 3 | ზუგდიდი | 9 | დ | 3 | 11 |
| 4 | თბილისი | 8 | მ | 10 | 17 |
| 5 | ივერია | 7 | დ | 2 | 8 |
| | თორი | 7 | დ | 1 | 7 |
| 7 | მილანი | 6 | დ | 4 | 9 |
| 8 | გურია | 5 | დ | 3 | 7 |
| | სამგურალი | 5 | მ | 13 | 17 |
| | შუქურა | 5 | დ | 5 | 9 |
| 11 | ხობი | 4 | მ | 14 | 17 |
| 12 | მეტალურგი | 3 | დ | 14 | 16 |

## ფრეთა სერია

| № | გუნდი | ფრე | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოკეანე | 3 | დ | 1 | 3 |
| 2 | გურია | 2 | დ | 8 | 9 |
| | მეტალურგი | 2 | დ | 12 | 13 |
| | ზუგდიდი | 2 | დ | 12 | 13 |
| 5 | თბილისი | 1 | დ | 9 | 9 |
| | ცხინვალი | 1 | მ | 17 | 17 |
| | ივერია | 1 | დ | 12 | 12 |
| | ხობი | 1 | დ | 13 | 13 |
| | მილანი | 1 | დ | 13 | 13 |
| | სამგურალი | 1 | დ | 12 | 12 |
| | შუქურა | 1 | მ | 17 | 17 |
| | თორი | 1 | დ | 11 | 11 |

## წაუგებელი სერია

| № | გუნდი | არწაგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გურია | 11 | დ | 6 | 16 |
| 2 | მილანი | 9 | დ | 7 | 15 |
| 3 | მეტალურგი | 7 | მ | 11 | 17 |
| | შუქურა | 7 | დ | 2 | 8 |
| 5 | ცხინვალი | 5 | დ | 1 | 5 |
| | თორი | 5 | დ | 8 | 12 |
| 7 | ზუგდიდი | 4 | დ | 2 | 5 |
| 8 | ხობი | 3 | დ | 9 | 11 |
| | ოკეანე | 3 | დ | 1 | 3 |
| | სამგურალი | 3 | დ | 12 | 14 |
| 11 | ივერია | 2 | მ | 16 | 17 |
| 12 | თბილისი | 1 | დ | 16 | 16 |

## წაგებათა სერია

| № | გუნდი | წაგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ივერია | 7 | დ | 2 | 8 |
| | ოკეანე | 7 | დ | 6 | 12 |
| 3 | თბილისი | 6 | დ | 10 | 15 |
| 4 | ხობი | 3 | დ | 14 | 16 |
| | თორი | 3 | დ | 13 | 15 |
| 6 | შუქურა | 2 | დ | 11 | 12 |
| 7 | ცხინვალი | 1 | დ | 16 | 16 |
| | გურია | 1 | მ | 17 | 17 |
| | მეტალურგი | 1 | დ | 10 | 10 |
| | მილანი | 1 | დ | 16 | 16 |
| | სამგურალი | 1 | მ | 17 | 17 |
| | ზუგდიდი | 1 | დ | 16 | 16 |

## უგოლო სერია

| № | გუნდი | უგოლოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხობი | 4 | დ | 5 | 8 |
| | ოკეანე | 4 | დ | 9 | 12 |
| 3 | თბილისი | 3 | დ | 11 | 13 |
| | ივერია | 3 | დ | 8 | 10 |
| 5 | ცხინვალი | 2 | მ | 16 | 17 |
| | გურია | 2 | დ | 2 | 3 |
| | მილანი | 2 | დ | 3 | 4 |
| | თორი | 2 | დ | 14 | 15 |
| 9 | მეტალურგი | 1 | მ | 17 | 17 |
| | სამგურალი | 1 | მ | 17 | 17 |
| | შუქურა | 1 | დ | 16 | 16 |
| | ზუგდიდი | 1 | დ | 12 | 12 |

## მოუგებელი სერია

| № | გუნდი | უმოგებოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ივერია | 10 | დ | 1 | 10 |
| 2 | თბილისი | 9 | დ | 7 | 15 |
| 3 | ოკეანე | 7 | დ | 6 | 12 |
| 4 | ხობი | 6 | დ | 11 | 16 |
| 5 | შუქურა | 5 | დ | 9 | 13 |
| 6 | ზუგდიდი | 4 | დ | 11 | 14 |
| 7 | მილანი | 3 | დ | 2 | 4 |
| | თორი | 3 | დ | 13 | 15 |
| 9 | ცხინვალი | 2 | მ | 16 | 17 |
| | გურია | 2 | დ | 8 | 9 |
| | მეტალურგი | 2 | დ | 12 | 13 |
| | სამგურალი | 2 | დ | 11 | 12 |

## მშრალი სერია

| № | გუნდი | მშრალად | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შუქურა | 7 | დ | 2 | 8 |
| | თორი | 4 | დ | 9 | 12 |
| | ცხინვალი | 3 | დ | 3 | 5 |
| | ხობი | 3 | დ | 9 | 11 |
| | მილანი | 3 | დ | 8 | 10 |
| | სამგურალი | 3 | დ | 2 | 4 |
| | გურია | 2 | დ | 15 | 16 |
| | მეტალურგი | 2 | მ | 16 | 17 |
| | ოკეანე | 2 | დ | 2 | 3 |
| | თბილისი | 1 | დ | 16 | 16 |
| | ივერია | 1 | მ | 17 | 17 |
| | ზუგდიდი | 1 | დ | 15 | 15 |

## ყველა ანგარიში და სატურნირო ცხრილი

| | თბ | ცხ | გურ | ივე | ხობ | მეტ | მილ | ოკე | სამ | შუქ | თორ | ზუგ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | № |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | ● | | 1:2 | | 1:0 | | 0:1 | 2:0 | 1:0 | 1:2 | 0:1 | 0:2 | 17 | 3 | 1 | 13 | 7:30 | 10 | 12 |
| ცხინვალი | 5:0 | ● | 7:0 | 2:1 | 5:1 | 0:0 | 2:1 | 4:0 | | 4:1 | 2:1 | | 17 | 10 | 2 | 5 | 40:19 | 32 | 3 |
| გურია | | 2:0 | ● | | 3:1 | 1:1 | 3:1 | 3:2 | 1:0 | 3:1 | | 1:0 | 17 | 10 | 4 | 3 | 25:20 | 34 | 1 |
| ივერია | 0:0 | 0:2 | 1:2 | ● | 1:0 | | 2:1 | 1:1 | | 2:1 | 1:0 | 0:0 | 17 | 4 | 3 | 10 | 11:28 | 15 | 10 |
| ხობი | 2:0 | 0:0 | 0:1 | 1:0 | ● | 0:0 | 1:1 | | 0:0 | | 0:0 | 1:0 | 17 | 4 | 5 | 8 | 11:20 | 17 | 9 |
| მეტალურგი | 1:0 | 1:0 | | 4:0 | 3:0 | ● | | 2:1 | 1:1 | 1:0 | | 7:2 | 17 | 8 | 6 | 3 | 26:15 | 30 | 4 |
| მილანი | | 3:0 | 2:1 | 4:0 | 1:0 | 2:1 | ● | 3:0 | 1:0 | | 1:0 | 3:1 | 17 | 10 | 3 | 4 | 25:13 | 33 | 2 |
| ოკეანე | 3:1 | | 0:0 | 2:1 | 0:4 | 1:2 | 0:0 | ● | 2:0 | 0:1 | 0:2 | | 17 | 3 | 3 | 11 | 15:33 | 12 | 11 |
| სამგურალი | 4:0 | 3:2 | | 4:0 | | 3:0 | | 4:2 | ● | 0:0 | 1:0 | 5:3 | 17 | 8 | 3 | 6 | 28:17 | 27 | 6 |
| შუქურა | 4:0 | | 1:0 | | 4:0 | 1:1 | 0:0 | | 1:0 | ● | 1:0 | 2:0 | 17 | 8 | 4 | 5 | 21:15 | 28 | 5 |
| თორი | 1:0 | 3:4 | 1:1 | 1:0 | | 2:0 | 2:0 | | 0:1 | 2:0 | ● | | 17 | 7 | 2 | 8 | 16:15 | 23 | 8 |
| ზუგდიდი | 2:0 | 2:1 | 1:1 | 3:1 | | 1:1 | | 3:1 | 3:2 | 1:1 | 3:0 | ● | 17 | 7 | 4 | 6 | 27:27 | 25 | 7 |

შენიშვნა: სერიათა ცხრილებში დ: დასრულებული, მ: მიმდინარე

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. A ჯგუფი

### შტურმი 0:2 მანჩესტერი

**0:1 სქოულზი (17), 0:2 გიგზი (89)**
**შტურმი:** სიდორჩუკი, ნოიკირხნერი (შტრაფნერი 82), მამედოვი (მაელიხი 85), პოპოვიჩი, შოპი, კორსოში (რაინმაიერი 70), ფლურკინი, პრილასნიგი, მინავანდ ჩალი, ვასტიჩი, კოციანი
**მწვრთნელი:** ივიცა ოსიმი
**მანჩესტერი:** ბარტეზი, სილვესტრი, გ. ნევილი, ბრაუნი, ირვინი (ფ. ნევილი 90), ბათი (გიგზი 80), ბექჰემი, კინი, სქოულზი, იორკი (სოლსკიაერი 90), შერინგემი
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**მსაჯი:** ანდერს ფრისკი (შვედეთი)
**16 500 მაყურებელი**

**ავსტრიული** „შტურმის" შთამბეჭდავ საშინაო სერიას ოთხშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედმა" დაუსვა წერტილი. გრაცელებმა ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე შინ ყველას შავი დღე აყარეს, ინგლისელებთან კი არაფერი გამოუვიდათ.

62 პროცენტი 38-ის წინააღმდეგ — აი, ასეთი უპირატესობა ჰქონდა „მანჩესტერს" ბურთის ფლობის მხრივ. თუმცა ინგლისელები ყველაფრით, გინდ მომენტებით, გინდ კლასით თუ სხვა ნებისმიერი კომპონენტით, აშკარად სჯობდნენ მეტოქეს, რომელსაც „არნოლდ შვარცენეგერზე" შარშანაც დაუპირისპირდნენ და 3:0 გაანადგურეს.

მანჩესტერელები მალევე დაწინაურდნენ: მატჩის დაწყებიდან სულ 17 წუთი იყო გასული, სქოულზმა რომ თანაგუნდელთა ლამაზი კომბინაცია დააგვირგვინა და ევროთასებზე თავისი მე-14 გოლი გაიტანა. სტუმრებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ შეტევები. „შტურმის" მეკარე კაზიმირ სიდორჩუკსაც არ მოუწყენია, თუმც ავსტრიელთა პოლონელი გოლკიპერი, ალბათ, მოწინაალმდეგე კოლეგის ფაბიენ ბარტეზის ბედს შენატროდა, რომელსაც საქმე, ფაქტობრივად არ ჰქონია. პირველ ნახევარში ბარტეზს მხოლოდ ერთხელ მოუხდა თავისი კლასის ჩვენება, როცა 35-ე წუთზე ვასტიჩის დაახლოებით 25-28 მეტრიდან დარტყმული ჯარიმა აუღო.

თამაში შესვენების შემდეგაც „იუნაიტედის" კარნახით წარიმართა, ოღონდ „შტურმი" პირველ ტაიმთან შედარებით უკეთ გამოიყურებოდა. აღარც მეტოქეს აძლევდა თავის საჯარიმოში სეირნობის საშუალებას და ბარტეზსაც უფრო მეტად აწუხებდა. არავინ იცის, მოიგებდა თუ არა „მანჩესტერი", 72-ე წუთზე კოციანის დარტყმული ხარიხას რომ არ მოხვედროდა, ანდა ათი წუთის შემდეგ ვასტიჩის ჩაწოდებული ბურთი, რომელიც კინს საკუთარი კარისკენ აეჭრა, ბარტეზს ხელთ არ ეგდო. სამჯერ სიდორჩუკმაც გამოიჩინა თავი — სქოულზი, შერინგემი და იორკი გააწბილა.

აი, მატჩის მიწურულს კი მანაც ვეღარაფერი გააწყო — შეცვლაზე შესულმა რაიან გიგზმა იორკისგან მიიღო ბურთი და სიდორჩუკს ძლიერი დარტყმით ახლო კუთხეში გაუტანა. თამაშიც 2:0 მორჩა და „მანჩესტერიც" A ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

„პირველი ტაიმი ძალიან მომეწონა, ტემპიც და თამაშიც ისეთი იყო, როგორიც მე მინდოდა. მხოლოდ თავდამსხმელების გარჯით დავრჩი უკმაყოფილო. თუმცა კარგია, რომ საქმე ფორვარდების გარეშეც გავაკეთეთ" — აღნიშნა ინგლისელთა შოტლანდიელმა დამრიგებელმა ალექს ფერგიუსონმა. „შტურმის" თავკაცმა ივიცა ოსიმმა კი თქვა, „მანჩესტერმა" ისე ითამაშა, როგორც ამ გუნდის ქომაგები მისგან ელიან, ჰოდა, გამარჯვებაც დაიმსახურაო. თუმც დანანებით ის მომენტიც გაიხსენა, როცა კოციანმა ბურთი ძელს გაარტყა — იმ ეპიზოდში მეტოქეს გაუმართლაო.

სადაც შენი დაიკვეხნო, იქ ჩვენიცა თქვიო, ეს სიტყვები ინგლისელებს ხმამაღლა არ უთქვამთ, გულში კი უეჭველად გაიფიქრებდნენ და იმ მომენტებსაც დაითვლიდნენ, რომელიც სიდორჩუკის კართან შეიქმნა.

### პანათინაიკოსი 0:0 ვალენსია

**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, ვოკოლოსი, სარიჩი, ფისასი (ოლივარესი 64), კუცურესი (სიპნიევსკი 74), გუმასი, კარაგუნისი, ბასინასი, ლიბეროპულოსი, ვარჟიხა (ვლაოვიჩი 71)
**მწვრთნელი:** ანგელოს ანასტასიადისი
**ვალენსია:** კანისარესი, პელეგრინო, ჯუკიჩი, ანგულო (ილიე 74), კარბონი, კილი გონსალესი (ვისენტე 74), ბარახა, ანგლომა, ალბელდა, მენდიეტა, კარეუ (დიეგო ალონსო 86),
**მწვრთნელი:** ექტორ რაულ კუპერი
**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)
**48 000 მაყურებელი**

**„უნდა** მოგვეგო, მაგრამ არც ფრეთი ვარ უკმაყოფილო. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, დღეს არ წაგვეგო. მიზანს მივაღწიეთ. ისე, ფრე კი არა, იღბალს რომ ოდნავ გადმოეხედა, სამ ქულას ჩავიჯიბავდით. არა უშავს, ასეთია ფეხბურთი" — „ვალენსიას" არგენტინელი მთავარი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი „პანათინაიკოსთან" შეხვედრის შემდეგ აშკარად კმაყოფილი იყო, თუმც ეტყობოდა, რომ გული მაინც სწყდებოდა.

ან კი როგორ არ დასწყდებოდა — მისმა შეგირდებმა მატჩის მიწურულს მოგების ისეთი შანსი დაკარგეს, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა:



REUTERS

შტურმი — მანჩესტერი 0:2. გრაცელი ივიცა ვასტიჩი და მანჩესტერელი ნიკი ბათი (№8)

ჯერ ბარახა დატოვა ანგულომ მეტად ხელსაყრელ პოზიციაში, 85-ე წუთზე კი მენდიეტამ გაიყვანა ნორვეგიელი იონ კარეუ მეკარესთან პირისპირ. ნიკოპოლიდისმა ივაჟკაცა, მომხვდურებს მედგრად დაუხვდა და არ გაატანინა.

სტადიონზე შეკრებილი 48 ათასი ბერძენი გულმხურვალედ ქომაგობდა „პანათინაიკოსს", რომელიც თავს არ ზოგავდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. „ვალენსია" დაცვაშიც მაგრად იდგა და დროდადრო სახიფათოდაც უტევდა, თუმცა უშედეგოდ. ასევე უშედეგო იყო „პანათინაიკოსის" იერიშებიც. ბერძნები გოლთან ყველაზე ახლოს 69-ე წუთზე იყვნენ, როცა ესპანელებმა მარჯვენა ფლანგზე წესები დაარღვიეს, კარაგუნისის ჯარიმიდან დარტყმულმა ბურთმა კი ხარიხა შეაზანზარა და „ვალენსიაც" აშკარა გოლს გადაურჩა.

საბოლოოდ მატჩი უგოლოდ დასრულდა, რამაც მასპინძლები კუმაყოფილო დატოვა. მიზეზი ცხადია — ბერძნული კლუბების კოზირი ხომ საკუთარი კედლებია. ათენში „პანათინაიკოსისა" თუ პირეოსში „ოლიმპიაკოსის" დამარცხება უძნელესი საქმეა. „პანათინაიკოსმაც" ძირითადად საშინაო შეხვედრებში მოპოვებული ქულების წყალობით გაალწია ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე. „ჩვენ კვალს აუცილებლად დავტოვებთ, რამდენიმე გრანდს გავამწარებთ" — ეს სიტყვები ათენური კლუბის თავკაცმა ანგელოს ანასტასიადისმა პირველ ტურში „მანჩესტერთან" 1:3 წაგების მერე თქვა. „ვალენსიასთან" ბერძნებს არაფერი გამოუვიდათ. ახლა რიგში ისევ „იუნაიტედი" დგას.

**მანო ოქროპირიძე**

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 20.02 | 3:1 | 13.03 | 5:1 | 6 |
| 2 | ვალენსია | 14.02 | | 13.03 | 2:0 | 2:0 | 4 |
| 3 | პანათინაიკოსი | 7.03 | 0:0 | | 20.02 | 1:3 | 1 |
| 4 | შტურმი | 0:2 | 7.03 | 14.02 | | 0:4 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. B ჯგუფი



REUTERS

გალათასარაი — პარი სენ ჟერმენი 1:0. თურქ დავალა უმითს ხელფასი არ მისცეს, თუმცა გოლი მაინც გაიტანა

### გალათასარაი 1:0 პარი სენ ჟერმენი

**1:0 დავალა უმითი (51პ)**
**გალათასარაი:** ტაფარელი, ბიულენთი, ფათიჰი, კაპონე, ჰაქან უნსალი (ვედათი 73), ოკანი, სუათი (ფარუკი 81), ემრე (დავალა უმითი 34), ერგუნი, ჟარდელი, ჰასან შაში
**მწვრთნელი:** მირჩა ლუჩესკუ
**პარი სენ ჟერმენი:** ლეტიზი, ელ კარკური, რაბესანდრატანა, დისტინი (ალჟერინო 85), დიუკრო, დალმა (ანელკა 71), ლუქსენი, ე. სისე, იანოვსკი, რობერი, ლერუა (კრისტიანი 77)
**მწვრთნელი:** ლუის ფერნანდესი
**მსაჯი:** რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)
**23 000 მაყურებელი**

**შეცვლაზე** შესულმა დავალა უმითმა მეორე ტაიმში გატანილი პენალტით „გალათასარაის" ჯგუფში პირველი გამარჯვება მოუტანა. უმითმა დაშავებული ემრე ბელოზოღლუ შეცვალა, ხოლო თერთმეტმეტრიანი პარიზელთა მაროკოელ ტატალ ელ კარკურისგან სტამბოლელთა ბრაზილიელ მარიო ჟარდელის წაქცევას მოჰყვა. უძლური იყო მეკარე ლიონელ ლეტიზი — მან მიმართულებაც ვერ გამოიცნო.

„პარი სენ ჟერმენისთვის" ეს პირველი მატჩი იყო ახალი მეთაურის, ლუის ფერნანდესის მისვლის შემდეგ. ბილბაოს „ატლეტიკის" თბილისის გავლით ჩემპიონთა ლიგაში გამყვანმა მწვრთნელმა მატჩამდე ორი დღით ადრე პოსტზე ფილიპ ბერჟერო შეცვალა და უმოკლეს დროში ვერაფერს გახდა — სენ ჟერმენის უბნელებმა ისევ წააგეს — ისევ, რადგან აქამდე ზედიზედ რვა შეხვედრა არ მოუგიათ. „იმედგაცრუებული ვარ — თქვა პრესკონფერენციაზე ფერნანდესმა — მთელი 90 წუთი ვიბრძოდით, მონდომება არ დაგვიკლია და მაინც წავაგეთ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ახალგაზრდული გუნდი ვართ და უკეთ თამაში შეგვიძლია. მოკლედ, ყველაფერი წინ გვაქვს".

არაერთხელ გვითქვამს, რომ „ლიდსს" მეტად ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს. ახლა ფერნანდესიც ასაკზე ალაპარაკდა და შევადაროთ: „მილანის" წინააღმდეგ მოთამაშე ლიდსელთა საშუალო ასაკი 25,1 წელი იყო. მაშინ, როცა „გალათასთან" მებრძოლი პარიზელები საშუალოდ 23,6 წლისანი იყვნენ. ამიტომ მწვრთნელის განცხადება, ამ ბიჭებს ყველაფერი წინ აქვთო, სამართლიანი უნდა იყოს. აქვე გავიხსენოთ, რომ „პარი სენ ჟერმენი" რა ხანია ვერ ახერხებს მინდორზე გამთამაშებელ ჯეი-ჯეი ოკოჩასა და ნიკოლა ანელკას შეწყვილებას. მიზეზი მათი ტრავმებია. თუმცა, ყველასდა გასაოცრად, მწვრთნელმა ანელკა ბოლო ოცი წუთი მაინც ათამაშა. შეგახსენებთ, რომ ადრე გავრცელებული ცნობით, ყოფილ რეალელს ტრავმა წლის ბოლომდე ვერ უნდა მოეშუშებინა.

ანელკასა და ბრაზილიელი კრისტიანის (რომელიც ასევე შეცვლაზე შევიდა) ყველა მცდელობა ანგარიშის გათანაბრებისა უშედეგოდ დასრულდა. ფრანგთაგან საუკეთესო მომენტები ლორან ლერუას ჰქონდა, რომელსაც 64-ე წუთზე პოლონელმა არბიტრმა რიხარდ ვოიჩიკმა გოლი არ ჩაუთვალა — იქამდე ლერუამ კლაუდიო ტაფარელთან ორთაბრძოლისას წესები დაარღვია.

აღსანიშნავია სტუმართა მეკარე ლიონელ ლეტიზის კარგი გარჯა. მან რამდენჯერმე იხსნა გუნდი მორიგი გოლისგან — ერმეს და ჰასან შაშის სახიფათო საჯარიმოები, კაპონეს თავური, ისევ შაშის გარღვევები — ლეტიზის ბლომად ოფლის ღვრა მოხდა.

სტუმრად ფრე (თან „მილანთან"), ხოლო შინ მოგება — „გალათასარაი" კარგ ხასიათზე მიდის არდადეგებზე. აი, „პარი სენ ჟერმენს" კი დასასვენებლად არ სცალია, მან ორ მატჩში დაკარგული ექვსი ქულა როგორმე თებერვალ-მარტში უნდა აინაზღაუროს.

### დეპორტივო 0:1 მილანი

**0:1 ჰელვეგი (45)**
**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, დონატო, ვიქტორ სანჩესი (ფერნანდო 67), ემერსონი (სკალონი 79), ჯალმინია, მაურო სილვა, ტურუ ფლორესი (მაკაი 56), დიეგო ტრისტანი
**მწვრთნელი:** ხავიერ ირურეტა
**მილანი:** აბიატი, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი (გულიელმინპიეტრო 90), გატუზო, ამბროზინი, კოკო, ბობანი (ჯუნტი 66), შევჩენკო, ხოსე მარი (სერჟინიო 80)
**მწვრთნელი:** ალბერტო ძაკერონი
**მსაჯი:** გრემ პოლი (ინგლისი)
**35 000 მაყურებელი**

**რისი** წყალობით მოუგო „მილანმა" „დეპორტივოს"?

ხავიერ ირერუტა, „დეპორტივოს" მწვრთნელი: „მილანს" ევროტურნირებზე მონაწილეობის უდიდესი გამოცდილება აქვს და კარგად იცის, როგორ ჩაატაროს ამ დონის მატჩები. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი გამოცდილება არა გვაქვს, მის შესაძენად კი წლებია საჭირო. ტაიმის მიწურულს ოდნავ მოვადუნეთ ყურადღება და უმალ გაგვიტანეს. სწორედ ეს არის უმაღლესი კლასი".

ალბერტო ძაკერონი, „მილანის" მწვრთნელი: „წინასწარ ვიცოდი, როგორც ითამაშებდა „დეპორტივო". ის შეკრული და მტკიცე ხასიათის გუნდია, თუმც ჩვენ ასეთ გუნდშიც შეგვიძლია სუსტი წერტილების პოვნა".

პირველი ტაიმის წამატებულ დროში „მილანის" დანიელმა ნახევარმცველმა თომას ჰელვეგმა „დეპორტივოს" დაუმარცხებელი სვლა შეწყვიტა. კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ ბურთი ანდრეი შევჩენკომ მკერდით მიიღო, მაგრამ დამუშავება არ დასცალდა — მას მასპინძელი მცველი შეეჯახა და ორივე წაიქცა. ამით ისარგებლა ჰელვეგმა, ბურთი რამდენიმე ლაკორუნიელს შორის გააძვრინა. ხოსე ფრანსისკო მოლინაც უძლური იყო — დარტყმის მომენტში ის ბურთს ვერ ხედავდა.

თავში გამოცდილება ვახსენეთ და ამ საკითხს მივუბრუნდეთ. ესპანეთის ჩემპიონებმა კარგად დაიწყეს და გამუდმებით უტევდნენ, თუმცა იერიშები ნაკლებ სახიფათო იყო, რადგან მილანური დაცვა საჯარიმოს სიღრმეში შეღწევის საშუალებას არ აძლევდა და დეპორტივოელებიც შორეული დარტყმებით კმაყოფილდებოდნენ. „მილანი" შეტევაზე ძალიან იშვიათად გადადიოდა — შეცდომას ელოდა. მასპინძლებმა ნელ-ნელა დაკარგეს მოთმინება და უკვე ნახსენები გოლიც გაუშვეს. გავიხსენოთ, რას ამბობდა გალისიელთა კაპიტანი მაურო სილვა მატჩის წინ: „მეტოქის დაუფასებლობა არ ივარგებს. ხომ იცით, როგორი ტაქტიკით თამაშობენ იტალიელები, ჩინებულად იცავენ თავს და მოწინააღმდეგის შეცდომას ელოდებიან". დიახ, მათ ეს იცოდნენ, მაგრამ ცოდნა ვერ გამოიყენეს — კლასის ამბავია.

და ერთი საკითხიც. მე-20 წუთზე მავანმა ლაკორუნიელმა ქომაგმა მინდორზე დროშის ტარი ისროლა და კრისტიან აბიატის კეფაში გაარტყა. მილანელ მეკარეს დახმარება აღმოუჩინეს და ამანაც თამაშის გაგრძელება შეძლო. მსროლელის ვინაობა დაუდგენელია, თუმცა „დეპორტივოს" ხელმძღვანელობა ამბობს, სტადიონზე დამონტაჟებული კამერების ჩანაწერებს ვნახავთ და დამნაშავეს აუცილებლად აღმოვაჩენთო. იპოვიან თუ ვერა, „დეპორტივოს" უეფადან ჯარიმა მაინც არ ასცდება.

**გიორგი დარჯანია**

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილანი | | 2:2 | 13.03 | 14.02 | 3:2 | 4 |
| 2 | გალათასარაი | 7.03 | | 14.02 | 1:0 | 3:2 | 4 |
| 3 | დეპორტივო | 0:1 | 20.02 | | 7.03 | 3:2 | 3 |
| 4 | ასკ | 20.02 | 13.03 | 1:3 | | 1:4 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას იტყვის ლორანტი?

## დღეს უეფა „მიუნხენ 1860“ — „პარმას“ მატჩზე იმსჯელებს



ვერნერ ლორანტის ბედი ხვალინდელ მატჩზე ჰკიდია

**დღეს** უეფას სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის საგანგებო სხდომა შედგება, რომელზეც სამშაბათს „მიუნხენ 1860“ — „პარმას“ უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩზე იმსჯელებენ. სადისციპლინო კომიტეტმა შეიძლება იშვიათი გადაწყვეტილება მიიღოს და შეხვედრა, რომელიც „პარმამ“ 2:0 მოიგო, გადაათამაშოს. მიუნხენელები სწორედ ამას ითხოვენ.

„თუ დამტკიცდება, რომ მსაჯმა ტექნიკური შეცდომები მართლაც დაუშვა, ძალიან დიდი შანსია, მატჩი თავიდან გაიმართოს“ — განაცხადა გუშინ უეფას პრეს-სამსახურის უფროსმა თომას ჯორდანომ.

სამშაბათს, როგორც კი თამაში დასრულდა, „მიუნხენ 1860“-ის წარმომადგენელი მატჩის კომისარს მიადგა და 78-ე წუთზე მომხდარი ფაქტის ოქმში დაფიქსირება მოსთხოვა. წესების დარღვევა იმდენად აშკარა იყო, კომისარი წინააღმდეგი არ წავიდა, დღეს კი ნიონს ეწვევა და დისციპლინარებს ყველაფერს დაწვრილებით მოუყვება.

შეხვედრის 78-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა ჩრდილოირლანდიელმა არბიტრმა ლესლი ირვინმა იტალიელ ფაბიო კანავაროს უხეშობა არ აპატია, მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და გააძევა. ვიდრე კანავარო მოედანს დატოვებდა, „პარმას“ თავკაცმა ალბერტო მალესანიმ სათადარიგოთა სკამიდან სასწრაფოდ ანტონიო ბენარივო მოიხმო და ამოროზოს ნაცვლად შეუშვა. ირვინმა თამაში გააგრძელა, ის კი ვერ შეამჩნია, რომ ამოროზოს მინდორი ჯერ არ დაეტოვებინა. იგი რვა წამის შემდეგ გავიდა მოედნიდან. ეს ყველაფერი ტელეკამერებსაც დაუფიქსირებიათ (გაუჭირდებოდათ, თუ რა?).

მიუნხენელებმაც ერთი ამბავი ატეხეს — არიქა, წესები დაირღვაო — ოფიციალური პროტესტი დაწერეს და უეფაშიც აფრინეს, ასეთი რამ სად გაგონილაო.

„ფაქტია, კანონი დაირღვა. რა მნიშვნელობა აქვს, ერთი წამი იყო ფეხბურთელი მინდორზე, ორი თუ მთელი თამაში. ჩვენ ძალიან კარგი შანსი გვაქვს, გადათამაშების უფლება მოვიპოვოთ“ — იმედოვნებს მიუნხენელთა სპორტული დირექტორი დაუფნერი.

ისე, თითქმის ანალოგიური რამ 1999 წელსაც მოხდა. მაშინ „ბარსელონა“ სტოკჰოლმში თამაშობდა და შვედებსაც იგივე შეემთხვათ, რაც ახლა იტალიელებს. მაშინ „ბარსას“ გადათამაშება არ დაუნიშნეს, რადგან უეფამ ჩათვალა, მსაჯს ტექნიკური შეცდომა არ მოსვლიაო. ალბათ, თავადაც ხვდებით, ტექნიკური შეცდომა გადათამაშებას ითვალისწინებს, რასაც უეფა კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ვიდრე უეფა ამ საქმეს გაარჩევდეს, „მიუნხენში“ დიდი არეულობაა. კლუბის პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც ვილდმოზერმა „პარმასთან“ მარცხის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ერთი წელიც და ჩემი თანამდებობა სხვისთვის დამითმიაო. 2001 წლის ნოემბერში „მიუნხენში“ საპრეზიდენტო არჩევნებია და როგორც ჩანს, ვილდმოზერს მასში მონაწილეობა აღარ სურს, თუმცა ვინ იცის, ეგებ გადაწყვეტილება მთავარ მწვრთნელ ვერნერ ლორანტის სიტყვებმა შეაცვლევინოს.

„ვილდმოზერი თუ წავა, აღარც მე გავჩერდები“ — თქვა ლორანტმა, რომელსაც „ლომებთან“ კონტრაქტი 2003 წლის ივნისამდე აქვს, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, მანამდე გააჩერონ. აგერ უკვე ორთვენახევარია, „მიუნხენ 1860“-ს შინაურ ასპარეზზე მატჩი არ მოუგია. ქომაგებშიც უკმაყოფილება დღითი დღე იზრდებოდა, „პარმასთან“ წაგებამ კი ისინი მოთმინებიდან გამოიყვანა და — ლორანტ, წაეთრიეო — გაჰკიოდნენ სტადიონზე. ხვალ „ჰანზასთან“ ბუნდესლიგის მორიგ ტურშიც მწვრთნელის მისამართით პროტესტის გამოხატვას აპირებენ. უკვე ცნობილია, რომ ხვალინდელ შეხვედრაში წარუმატებლობა ლორანტს გუნდიდან წასვლად დაუჯდება. „ვატყობ, გუნდში ცვლილებების დრო დადგა“ — თქვა კიდეც სამშაბათს ვილდმოზერმა. ლორანტს ფაქტობრივად წყალი აქვს შემდგარი. ეს კი...

„ვილდმოზერი არ უნდა წავიდეს, მასზე უკეთესი პრეზიდენტი წარმოუდგენელია, „მიუნხენმა“ იგი უნდა შეინარჩუნოს“ — აცხადებს ლორანტი.

ხვალ „ჰანზასთან“ თუ ვერ მოიგო, ვნახოთ, მერე რას იტყვის.

**ვანო ოქროპირიძე**

## ბელგია

### თასის მერვედფინალი

**ანტვერპენი ¼3 სენტ ტრუიდენი**

## ბულგარეთი

### თასის მერვედფინალი.

საპასუხო მატჩები

**ბოტევი (პლოვდივი) — ბეროე (სტარა ზაგორა) 2:1 (2:1); ლევსკი (სოფია) — დუნავი (რუსე) 3:0 (1:0); მეტალურგი (პერნიკი) —ველბაჟდი (კიუსტენდილი) 1:1 (3:0); პირინი (ბლაგოევგრადი) — სპარტაკი (ვარნა) 4:1 (0:2); ლოვეჩი — სვილენგრადი 8:0 (3:2); სპარტაკი (პლევენი) — ჩერნო მორე (ვარნა) 4:0 (3:1); ლოკომოტივი (სოფია) — მებარი (პაზარჯიკი) 3:0 (1:3); ცსკა (სოფია) — ნეფტოხიმიკი (ბურგასი) 3:1 (0:2)**

## მექსიკა

### ჩემპიონატის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩები

**ნეკაქსა — სანტოს ლაგუნა 2:2 (1:2); კრუზ აზული — ატლასი 0:2 (1:0); ტოლუკა — ამერიკა 2:4 (2:0); პაჩუკა — მორელია 1:2 (0:0)**

### ჩემპიონატის ნახევარფინალი

პირველი მატჩები

**ატლასი — ტოლუკა 3:3; მორელია — სანტოს ლაგუნა წუხელ გვიან გაიმართა**

## არგენტინა

**გადადებული მატჩები: ინდეპენდიენტე — ბოკა ხუნიორსი 3:0; რივერ პლეიტი — ნიუელს ოლდ ბოიზი 2:0; ლანუსი — რასინგი 4:2; ურაკანი — ბელგრანო 2:1**

**გაგიგიათ,** ფეხბურთელს 31 წუთი ეთამაშოს, წითელი ბარათი არ მიეღოს და დარჩენილ დროში თამაშის უფლება არ ჰქონოდეს? არგენტინაში ასეთი რამეც ხდება. თუმცა ჯერ სხვა ამბები ვთქვათ.

ოთხი გამოტოვებული მატჩიც გაიმართა და არგენტინაში მე-17 ტური დასრულდა. ჩემპიონატის პირველი ეტაპის, აპერტურას დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი.

თექვსმეტმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა ტოიოტას თასის მფლობელმა „ბოკა ხუნიორსმა“, რომელიც გასვლაზე „ინდეპენდიენტესთან“ დამარცხდა. „რეალის“ მძლეველთა უსიამოვნება ადრევე დაიწყო, როცა სებასტიან ბატალიამ მუხლი იტკინა და მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. მალე კაპიტანმა ხორხე ბერმუდესმაც დაიშავა ფეხი და ისიც შესაცვლელი შეიქნა. ბუენოსაირესელთა პრობლემები არ დასრულებულა — მსაჯმა მეორე ყვითლის გამო ანტონიო ბარიხიო და ანიბალ მატელენი გააძევა და თუმცა მათ გზას ინდეპენდიენტელი ლივიო პიეტროც გაუდგა, „ბოკა“ მაინც უმცირესობაში იყო.

სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს ურუგვაელ თავდამსხმელ დიეგო ფორლანს, რომლის ყოველი იერიში უაღრესად სახიფათო იყო. მან ორი გოლიც გაიტანა — მე-17 და 89-ე წუთებზე. წამატებულ დროში ფრანსისკო გერერომ მესამეც შეაგდო. „ბოკას“ წაფორხილება აპერტურას მოგების შანსს აძლევს „რივერ პლეიტს“, რომელმაც თავის მხრივ „ოლდ ბოიზი“ დაამარცხა.

საინტერესოა, რომ ეს შეხვედრა ნოემბერში დაიწყო და 31-ე წუთზე კოკისპირული წვიმის გამო შეწყდა. დარჩენილი 59 წუთი გუნდებმა ასეთი სისტემით ითამაშეს: 30 წუთი — პირველი ტაიმი და 29 წუთი — მეორე ტაიმი. „რივერ პლეიტს“ ერთი გოლი მატჩის შეწყვეტამდე ჰქონდა გატანილი. იმ გოლის ავტორმა არიელ ორტეგამ სხვა თამაშში დისკვალიფიკაცია მიიღო და ამჯერად არ უთამაშია. „რივერმა“ ერთს ერთიც მიუმატა და ახლა „ბოკას“ სამი ქულით ჩამორჩება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 17 | 11 | 5 | 1 | 33:17 | 38 |
| რივერ პლეიტი | 17 | 10 | 6 | 1 | 38:20 | 36 |
| ხიმნასია | 17 | 10 | 4 | 3 | 34:27 | 34 |
| ტალერესი | 17 | 10 | 3 | 4 | 29:20 | 33 |
| სან ლორენსო | 17 | 9 | 3 | 5 | 31:17 | 30 |
| ველესი | 17 | 7 | 7 | 3 | 22:15 | 28 |
| ესტუდიანტესი | 17 | 7 | 7 | 3 | 22:16 | 28 |
| კოლონი | 17 | 7 | 5 | 5 | 27:18 | 26 |
| ურაკანი | 17 | 6 | 7 | 4 | 23:18 | 25 |
| უნიონი | 17 | 5 | 7 | 5 | 19:18 | 22 |
| ჩაკარიტა | 17 | 6 | 3 | 8 | 14:23 | 21 |
| ოლდ ბოიზი | 17 | 4 | 8 | 5 | 15:21 | 20 |
| ინდეპენდიენტე | 17 | 5 | 4 | 8 | 20:21 | 19 |
| როსარიო | 17 | 4 | 6 | 7 | 23:30 | 18 |
| ლანუსი | 17 | 4 | 5 | 8 | 21:24 | 17 |
| ბელგრანო | 17 | 2 | 8 | 7 | 19:26 | 14 |
| არგ. ხუნიორსი | 17 | 2 | 8 | 7 | 14:24 | 14 |
| ლოს ანდესი | 17 | 3 | 3 | 11 | 18:40 | 12 |
| რასინგი | 17 | 1 | 8 | 8 | 12:27 | 11 |
| ალმაგრო | 17 | 0 | 7 | 10 | 13:28 | 7 |

## ფეხბურთის რუკაზე



**ესპანელი** **ნახევარმცველი გუტი მადრიდის „რეალმა“ 5,3 ათასი დოლარით დააჯარიმა. მიზეზი ისაა, რომ პრიმერადივიზიონის ამასწინანდელი მატჩისას „ვილიარეალის“ ქომაგებს მან უხამსად მიმართა, რაც ვიდეოფირზეც გამოჩნდა. მადრიდელთა განცხადებით, ეს „სამეფო კლუბის“ იმიჯის შელახვაა. როგორც ამბობენ, ამ ეპიზოდის ხილვის შემდეგ „რეალის“ პრეზიდენტი ერთობ აღშფოთებულა.**

**ირლანდიელი** სტივ სტონტონი „ლივერპულიდან“ „ასტონ ვილაში“ გადავიდა. 31 წლის მცველმა „ენფილდ როუდზე“ ორი სეზონი დაჰყო და თავის ყოფილ გუნდში თავისუფალი აგენტის სტატუსით დაბრუნდა. „ლივერპულში“ მან 50 შეხვედრა ჩაატარა, ბოლოს კი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და განათხოვრებით „კრისტალ პალასში“ თამაშობდა. სტონტონი „ასტონ ვილას“ ღირსებას 1991-98 წლებში იცავდა და სულ 256 მატჩი გამართა, ირლანდიის ნაკრებში კი 85-ჯერ ითამაშა.

**არგენტინელი ფორვარდი ხუან ედუარდო ესნაიდერი მალე, ალბათ, „იუვენტუსიდან“ „სარაგოსაში“ გადაბარგდება, სადაც მას ადრეც უთამაშია და 94-95 წლების სეზონში თასების თასიც მოუგია. ფეხბურთელი ტურინული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და „დელე ალპიდან“ წასვლას აპირებს. ტრანსფერი 15 დეკემბრის შემდეგ განხორციელდება, ესპანელები კი იტალიელებს მილიონ დოლარს გადაუხდიან.**

**რუმინეთის** ნაკრების ყოფილი მოთამაშე ილიე დუმიტრესკუ მომავალი ექვსი თვის განმავლობაში პირველდივიზიონელ „ოცელულს“ უთავკაცებს. რუმინეთში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელმა სათამაშო კარიერა შარშან დაასრულა. „ჩემი მიზანია, გუნდი უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნას გადავარჩინო“ — განაცხადა 32 წლის დუმიტრესკუმ, რომელსაც ნაკრებში ჩატარებულ 62 შეხვედრაში 20 გოლი გაუტანია. 1987-93 წლებში იგი „სტიაუაში“ თამაშობდა, შემდეგ — „ტოტენჰემში“, იქიდან კი „ვესტ ჰემში“ გადავიდა. იცავდა ესპანური „სევილიასა“ და მექსიკური „ატლასის“ ღირსებებსაც.

**იუგოსლავიელმა ფორვარდმა პრედრაგ მიატოვიჩმა განაცხადა, „ფიორენტინადან“ მალე წავალო. მოპატიჟეებიც ჰყავს — „ასტონ ვილა“ და „მიდლსბრო“. შეგახსენებთ, რომ მიატოვიჩი „რეალში“ თამაშობდა და ორი წლის წინ ჩემპიონთა თასს დაეუფლა, თანაც ფინალში „იუვენტუსს“ ერთადერთი გადამწყვეტი გოლი გაუტანა. შემდეგ იგი ფლორენციაში გადავიდა, თუმცა წლეულს, გუნდში მწვრთნელად ფატიჰ თერიმის მისვლის შემდეგ, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და წასვლაც ამიტომ გადაწყვიტა.**

**რუმინელი** კოსმინ კონტრა ევროკავშირის მოქალაქეობის მიღებას ითხოვს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ასეთივე ულტიმატუმი წამოაყენა რუსმა ვალერი კარპინმა და მისი მოთხოვნა დააკმაყოფილეს. „კონტრას სურს, „ალავესში“ ევროკავშირელის სტატუსით ითამაშოს. საქმის განხილვის პროცესი უკვე დაიწყო, ჩვენ ფეხბურთელს სრულიად ვუჭერთ მხარს“ — განაცხადა ესპანური კლუბის წარმომადგენელმა.

**ინგლისურ „ლივერპულს“ „ბარსელონადან“ გაბრი გარსიას გადაბირება მოუწადინებია. ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ და ამიტომაც არ გამორიცხავენ, მან „კამპ ნოუ“ დატოვოს. აღსანიშნავია, რომ გაბრის ყიდვა რამდენიმე ესპანურ კლუბსაც სურს. გაბრი 20-წლამდელთა ნაკრებებს შორის მსოფლიოს ჩემპიონია. ესპანელმა ამ წარმატებას შარშან მიაღწია.**

**ინგლისელ** ნახევარმცველ პოლ გესქოინს ოპერაცია უნდა გაუკეთონ, რის გამოც იგი ალბათ ოთხ კვირას ვერ ითამაშებს. არადა, 33 წლის ფეხბურთელს ტრავმის გამო გასულ სეზონში „მიდლსბროშიც“ ბევრი გაუცდა. შეგახსენებთ, რომ „ევერტონს“ ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ფორვარდი ფრენსის ჯეფერსიც აკლია. იგი სავარაუდოდ ორ თვეს ვერ ითამაშებს.

**არგენტინელ ფორვარდ კლაუდიო ლოპესს „ლაციოს“ ექიმებმა ახლახან ხელახალი გამოკვლევა ჩაუტარეს. მათი ცნობით, ფეხბურთელი თამაშს სავარაუდოდ თებერვალში დაიწყებს.**

**ბრაზილიელი** ვამპეტა იტალიაში სატრანსფერო სეზონის გახსნის შემდეგ „ინტერიდან“ წავა. მილანური კლუბის განცხადებით, იგი ახალ კლუბს უკვე ეძებს. „ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში ისეთ წინადადებას მივიღებთ, რომელიც კლუბსაც და ფეხბურთელსაც დააინტერესებს“ — იუწყება „ინტერის“ წარმომადგენელი. შეგახსენებთ, რომ 26 წლის ვამპეტა „სან სიროზე“ აგვისტოში ბრაზილიური „კორინთიანსიდან“ გადავიდა, თუმცა ახლა ძირითად შემადგენლობაში არ თამაშობს.

**სლოვენიელი ზორან პავლოვიჩი მალე ალბათ ზაგრების „დინამოდან“ „რეალ სოსიედადში“ გადავა და ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. „კლუბისგან თანხმობა მივიღე. რამდენიმე დღეში სან სებასტიანში ჩავალ და პირობებს შევათანხმებ“ — განაცხადა ნახევარმცველმა, რომელმაც სლოვენიის ნაკრებში ევრო 2000-ზეც ითამაშა. თუ ტრანსფერი განხორციელდა, იგი პრიმერადივიზიონში მეორე სლოვენიელი იქნება. შეგახსენებთ, რომ „ვალენსიაში“ მისი თანამემამულე ზლატკო ზაჰოვიჩი ირიცხება.**

**არგენტინელმა** ფორვარდმა კარლოს მარინელიმ 25 ნოემბერს „მიდლსბროში“ „ბრედფორდის“ წინააღმდეგ სადებიუტო მატჩი ჩაატარა, თუმცა მეორე ტაიმში მოედნიდან გააძევეს. გუნდის მენეჯერის ბრაიან რობსონის განცხადებით, ფეხბურთელი მას მერე დეპრესიაშია და წინა კვირას „ვესტ ჰემთან“ ამიტომაც ვერ ითამაშა. არადა, წითელი ბარათის გამო არგენტინელს ახლა სამი ტურის გამოტოვება ისედაც მოუწევს. მარინელი „მიდლსბრომ“ 1 მილიონ გირვანქად „ბოკა ხუნიორსიდან“ შეიძინა და აქამდე პრემიერლიგელთა სარეზერვო გუნდში ირიცხებოდა.

**ჩრდილოირლანდიელი ნახევარმცველი ნილ ლენონი „ლესტერიდან“ ალბათ, „სელტიკში“ გადავა. 29 წლის ფეხბურთელი გლაზგოში ჩავა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის. პრემიერლიგელები თავიდან მის გაყიდვას არ აპირებდნენ, თუმც საბოლოოდ 8,5 მილიონი დოლარის აღება ამჯობინეს. „თუ „სელტიკში“ ჩავირიცხები, მოხარული ვიქნები. ვიმედოვნებ, რომ სამედიცინო შემოწმება პრობლემებს არ შემიქმნის“ — განაცხადა ჩრდილოირლანდიელმა, რომელიც „სელტიკთან“ ალბათ, ოთხწლინახევრიან კონტრაქტს გააფორმებს. გლაზგოურ გუნდში იგი თავისი ყოფილი თავკაცის მარტინ ონილის ხელმძღვანელობით ითამაშებს.**

**ფრანგმა** ფორვარდმა ფლორიან მორისმა ტრავმა მოიშუშა და „მარსელს“ მალე დაუბრუნდება. „ვარჯიში განვაახლე და რამდენიმე კვირაში ძირითად შემადგენლობაში გამოვჩნდები. გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს და როგორც ყველამ, მეც უნდა დავამტკიცო, რომ ძირითადში სტაბილურად მოხვედრას ვიმსახურებ“ — განაცხადა 26 წლის მორისმა, რომელმაც ტრავმა სეზონის დაწყებისთანავე, პირველივე ტურში მიიღო და მას შემდეგ არ უთამაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არსენსა და არსენალს შეფა გაარჩევს

**ლონდონის** „არსენალის“ ფრანგ მწვრთნელ არსენ ვენგერს უახლოეს მომავალში უეფა საქმეს გაურჩევს. ამის საფუძველი ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას „მეთოფეთა“ სარდალმა თავისი საქციელით, უფრო სწორად, უსაქციელობით მისცა.

გასულ სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩში „არსენალი“ მიუნხენის „ბაიერნს“ დაუპირისპირდა. შეხვედრის მსვლელობისას ვენგერი აზარტში შესულა და შეგირდებისთვის მითითებების მიცემისას რამდენჯერმე ტექნიკური ზონა (მწვრთნელთათვის მიჩენილი ალაგი) დაუტოვებია, მეოთხე მსაჯის, იტალიელი ამილიო პელეგრინოს არაერთგზის გაფრთხილება არად ჩაუგდია და ბოლოს დამუქრებია კიდეც, თავს თუ არ დამანებებ, რამეს გამომტყუებო.

ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, ვენგერი აქეთ გამოსტყუებს უეფას სადისციპლინო კომიტეტს პატარა სასჯელს და სავარაუდოდ, რამდენიმე ათასი შვეიცარიული ფრანკით შეითხელებს ჯიბეს.

სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ ვენგერი მსაჯებთან კონფლიქტში ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამაც ამხილა და ერთობ მკაცრადაც დასაჯა — 12-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა, რომელსაც ფრანგი ნელ-ნელა იხდის, თუმც განაჩენის გასაჩივრება და დისკვალიფიკაციის შემცირება განუზრახავს.

უეფას სადისციპლინო კომიტეტის წინაშე თავის მართლება „არსენალის“ ხელმძღვანელობასაც მოუწევს. მოგეხსენებათ, ზემოაღნიშნული „არსენალი“ — „ბაიერნის“ მატჩი 25 წუთის დაგვიანებით დაიწყო, რაც ლონდონელებმა ტექნიკური პრობლემებით ახსნეს, თუმცა უეფას ეს პრობლემები ნაკლებად აინტერესებს.

# კაიზერ ფრანცმა ბექემი აქო და აქო

**მომავალ** ორშაბათს რომში გალა-წარმოდგენაა დაგეგმილი. იტალიის დედაქალაქში მსოფლიოს წლის საუკეთესო მოთამაშე უნდა გამოვლინდეს. გამოკითხვა ფიფას ეგიდით ტარდება, უძლიერეს ფეხბურთელებს კი ნაკრებების მწვრთნელები ასახელებენ.

ახლახან გაზეთი „დეილი მეილი“ ფრანც ბეკენბაუერის აზრით დაინტერესდა, თუმცა იგი ახლა მწვრთნელი არ არის. კაიზერ ფრანცის პასუხი ასეთი იყო: „გერმანელი ვარ და ჩემი აზრი ეგებ უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ვთვლი, რომ მსოფლიოში საუკეთესო მოთამაშე დევიდ ბექემია. მე რომ ხმის მიცემის უფლება მქონდეს, ინგლისელს ავირჩევდი. ამჟამად ბევრი კარგი ფეხბურთელია. მათ შორის რომელიმეს გამორჩევა ძნელია, მაგრამ ბექემი უბრალოდ ყველაზე მომხიბვლელად თამაშობს და მეტად ნიჭიერია“.

ბეკენბაუერი, რომელსაც სათამაშო და სამწვრთნელო კარიერის მანძილზე ორი მსოფლიოს ჩემპიონატი მოუგია, ამჟამად მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტია. ლეგენდარული მცველი ბექემის საქებრად იქვე



ფრანც ბეკენბაუერი

დასძენს: „ზინედინ ზიდანი და რივალდო ბრწყინვალედ თამაშობენ, მაგრამ ბექემი მათ სჯობს. მარტო შესაძლებლობას არ ვგულისხმობ. დევიდი სტაბილურიცაა და დღითიდღე უმატებს, მისი ჩაწოდებები და დარტყმები კი უნაკლოა. სანამ იგი ითამაშებს, ინგლისის ნაკრებს წარმატების და პროგრესის დიდი შანსი აქვს“.

# ინასიო წავიდა, ინასიო დარჩა

**განა** დიდი დრო გავიდა — გუშინ ვწერდით, რომ ლისაბონის „სპორტინგმა“ აუგუსტო ინასიო მწვრთნელობიდან გაანთავისუფლა. ისიც ვთქვით, რომ ინასიოს წინა სეზონში „სპორტინგის“ გაჩემპიონება დაუვიწყეს (ლისაბონური კლუბი ამას 18 წელი ელოდა) და ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა და „ბენფიკასთან“ 0:3 წაგება არ აპატიეს.

რაკიღა მწვრთნელი მოხსნეს, ახალიც უნდა დაენიშნათ. ჰოდა, ასეც მოიქცნენ — „სპორტინგის“ ახალი თავკაცი... აუგუსტო ინასიო გახდა.

ქომაგებმა კლუბის პრეზიდენტის ლუიშ დუკეს გადაწყვეტილება არ მოიწონეს. მართალია, ინასიომ ამ სეზონში ევროსარბიელზე ვერაფერს მიაღწია, მაგრამ მოხსნა მაინც ნაადრევიაო და მისი დაბრუნება მოითხოვეს. ქომაგებს ფეხბურთელებიც შეუერთდნენ — ყველაზე ცნობილმა სპორტინგელმა პიტერ შმაიხელმა თქვა, ინასიოს გათავისუფლების შესახებ რომ მითხრეს, გაოგნებული დავრჩი, მიზეზი ვერ გავიგეო.

ჰოდა, ლუიშ დუკეც იძულებული გახდა, აუგუსტო ინასიო დაებრუნებინა. შეგახსენებთ, რომ „სპორტინგს“ მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატად „ბენფიკიდან“ წასული ჟოზე მაურინიო ეგულებოდა.

# აზია — მთა მანჩესტერი — მუჰამედი



ტაილანდში ბექემი ბუდაცაა

**ქართულმა** კლუბებმა და ნაკრებმა იკითხონ, აგრერიგად რომ უჭირთ სპარინგ-პარტნიორების მოძიება, თორემ „მანჩესტერ იუნაიტედს“ რა უჭირს, ერთი წლით ადგენს ამხანაგური მატჩების გრაფიკს.

სახელოვანი კლუბის თავმჯდომარემ პიტერ კენიონმა განაცხადა, რომ „მანჩესტერი“ მომავალ ზაფხულს აზიაში გამართავს ტურნეს. სტუმრობას ორი მიზანი ექნება: ერთი, რომ კლუბი 2001-2002 წლების სეზონისთვის უკეთ მოემზადება და მეორეც, ტურნე აზიური ბაზრის ათვისებაში ანუ ფულის მოხვეჭაში დაეხმარება. მოკლედ, ერთი გადაფრენით ორ კურდღელს დაიჭერენ — უკეთესი რა უნდა იყოს.

კენიონი ამბობს: „მანჩესტერს“ მთელ მსოფლიოში მილიონობით ქომაგი ჰყავს. ცხადია, მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ახერხებს „ოლდ ტრეფორდზე“ მოხვედრას, რის გამოც თავს ვალდებულად ვთვლით, თავად ვიმოგზაუროთ და ჩვენი თამაში ვაჩვენოთ.“

მარტივი გათვლაა: „მანჩესტერ იუნაიტედი“ მხოლოდ ფეხბურთი როდია. კლუბის სავაჭრო ობიექტებს, სადაც მისი სიმბოლიკით დამშვენებული საქონლის შეძენა შეიძლება, უზარმაზარი მოგება მოაქვს. ჰოდა, რა გასკვირია, თუ მავან სინგაპურელ ფეხბურთის მოყვარულს „მანჩესტერის“ თამაშის ცოცხლად ნახვის შემდეგ ბექემის თუ შერინგემის მაისურის ყიდვის სურვილი გაუჩნდება.

სინგაპური ვახსენეთ და დავუმატოთ, რომ ინგლისელები ამ ქვეყნის გარდა მალაიზიასა და ტაილანდსაც ეწვევიან. „მანჩესტერი“ სინგაპურში ბოლოს 1995 წელს, მალაიზიაში 1997-ში, ხოლო ტაილანდში გასულ წელს არის ნამყოფი.

ჯერ გაურკვეველია, ამ ქვეყნების რომელი კლუბები შეხვდებიან ინგლისელ სტუმრებს. ამ საკითხს „მანჩესტერი“ იქაურ ფეხბურთის ფედერაციებთან შეათანხმებს.



ჯო კოული თავისი მწვრთნელის შვილის, ჯეიმი რედნაპისა და მეორე ლივერპულელის, სტივენ ტომპსონის გარემოცვაში

# ინგლისის მხსნელი

## რომელსაც ერიკსონი არ იცნობს

**ლონდონურმა „ვესტ ჰემმა“ მიმდინარე სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო, ერთ ხანს მე-19 ადგილზეც იყო. ქომაგები, ცხადია, აღშფოთდნენ, ფეხბურთელებს კრიტიკას ა[...] ჰკლებენ, განსაკუთრებით კი ყმაწვილ ჯო კოულს ხვდებოდ[...] არადა, რა ბრალი მიუძღოდა ამ ბიჭს? წარუმატებლობაში ყველაზე ნაკლებმად ის იყო დამნაშავე. თუმცა მეორე მხრი[...] ქომაგებიც მართალნი არიან — კარგი ფეხბურთელისგა[ნ] განსაკუთრებით ბევრს ითხოვე[ნ]**

**— რიო ფერდინანდი „ვესტ ჰემიდან“ წავიდა. თქვენ შემდეგი ხომ არ ხართ?**

— ფანებს შეუძლიათ მშვიდათ იყვნენ, გუნდის დატოვებას არ ვაპირებ. არც რიოს ვადარებ თავს. ის უმაღლესი კლასის ფეხბურთელია და მსოფლიოს ნებისმიერ კლუბს ადვილად შეეწყობა, ამიტომაც იყო მასზე ამხელა მოთხოვნა. ცხადია, მისმა წასვლამ ყველას გული დაგვწყვიტა, თუმცა არ ვამტყუნებთ — კაცს უკეთესი პირობები შესთავაზეს და აბა, რა უნდა ექნა. მე კი ჯერ ბევრი რამ მაქვს სასწავლი და ჰარი რედნაპი ის კაცია, რომელიც ამას შემძლებს.

**— თქვენ ინგლისური ფეხბურთის მხსნელს გიწოდებენ...**

— აშკარად გადამეტებული ნათქვამია. ჩვენში უამრავი კარგი ფეხბურთელია და მხსნელის ეპითეტი მათ უფრო ეკუთვნით, თუმცა ვგრძნობ, რომ თავადაც შემიძლია დიდი შედეგის მიღწევა. საერთოდ, 15 წლიდან ყურადღების ცენტრში ვიმყოფებოდი და შევეჩვიე. მწვრთნელი სულ მეუბნება, ფრთხილად იყავი, თავში არ აგივარდესო, მაგრამ, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ის კაცი არ ვარ, ქებამ გამადიდგულოს.

**— ჩემპიონატის სტარტზე „ვესტ ჰემის“ ასეთ ცუდ თამაშს რით ახსნით?**

— რა თქმა უნდა, სისულელეა იმის მტკიცება, რომ კარგად ვთამაშობდით და უბრალოდ ბედი არ გვწყალობდა. ასე ვიტყოდი: მეტოქე კი არ გვჯაბნიდა, ჩვენ ვერ ვპოულობდით საკუთარ თამაშს, თორემ ახლა ხომ ხედავთ, როგორ წავიწიეთ წინ. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ერთმანეთისთვის პასების წესიერად მიცემას ვერ ვახერხებდით. აი, ჩვენ გვყავს პაოლო დ[ი] კანიო, რომელმაც ბურთი თუ მიიღ[ო], აუცილებლად რამეს გააჩერხებს. არა[და], მთელი მატჩი ისე მიილეოდა, ორ[ი-] სამ ზუსტ პასს თუ მივაწვდიდით.

**— ხალხი პოლ გესქოინს გადარებ[თ]. გსიამოვნებთ?**

— ჰო, ასეთი რამ ჩემთვის ხშირად უთქვამთ. გაზა ჩემთვის გმირია და შე[უძ]ლებელია, გმირს შეგადარონ და არ გესიამოვნოს. ჩემი ოცნებაა, ნაკრებისთვის ისეთსავე ძალას წარმოვადგენდე, როგორიც ის იყო. ვფიქრობ, ადრე თუ გვიან ამას შევძლებ. ისე, ძალიან მინდა, გერმანია — ინგლისის თამაშზე გა[...] მომიძახონ.

**— ახლახან სვენ გორან ერიკსონმა თქვა, რომ თქვენზე არაფერი სმენია. ნეტავ, მართლა ასეა?**

— შესაძლოა, სმენია, შესაძლოა — არა, წარმოდგენა არ მაქვს. მე ერთი რამ ვიცი, სეზონი ძალიან ძლიერად უნდა ჩავატარო, რათა ივნისამდე ერი[]კსონის ყურადღება და ნდობა მოვიპოვო. ახალი მწვრთნელი ყოველთვის ცდილობს ნაკრების გადახალისებას და ასეთ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

**— „ვესტ ჰემი“ უეფას თასზე გავა?**

— ჩვენზეა დამოკიდებული. ისეთი შემადგენლობა გვყავს, წესით უნდა შევძლოთ. დი კანიოს და ფრედი კანოუს ნებისმიერი თამაშის შემობრუნება ძალუძთ. ბრწყინვალე ახალგაზრდა ფეხბურთელებიც გვყავს — ფრენკ ლამპარდი და მაიკლ კარიკი. ამასთანავე ნაიჯელ უინტერბერნისა და სტიუარტ პირსის დარი გამოცდილების მქონე ხალხი ბევრ გუნდს არ ჰყავს. მოკლედ, ბევრის მიღწევა შეგვიძლია.

**თარგმნა გიორგი დარჯანია**

# ვისთვის იმღერებს ესპანური თიხა?

## დევისის თასის ფინალი

**ესპანეთი — ავსტრალია**

დღეს ბარსელონაში ჩოგბურთელთა ახალი ათასწლეულის პირველი (ან თუ გნებავთ ძველი ათასწლეულის უკანასკნელი) გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — დევისის თასის ფინალი დაიწყება. ჯერჯერობით ხელცარიელი ესპანელები 27-გზის ჩემპიონ ავსტრალიას უმასპინძლებენ.

გუშინ გამართულმა კენჭისყრამ მოთამაშეები ასე დააწყვილა:

**პარასკევი. 8 დეკემბერი**

**ერთეულები**

**ალბერტ კოსტა — ლეიტონ ჰიუიტი; ხუან კარლოს ფერერო — პატრიკ რაფტერი**

**შაბათი. 9 დეკემბერი**

**წყვილები**

**ხუან ბალსელსი და ალექს კორეჩა — მარკ ვუდფორდი და სენდონ სტოლი**

**კვირა. 10 დეკემბერი**

**ერთეულები**

**ფერერო — ჰიუიტი; კოსტა — რაფტერი**

თუ კენჭისყრის შედეგებს გადახედეთ და პირველ დღეს ესპანელთა შემადგენლობაში ალექს კორეჩას არყოფნა მოგხვდათ თვალში, ცხადია — ესპანელთა კაპიტნის ხავიერ დუარტეს მიერ გუნდის ლიდერის მხოლოდ წყვილებში გამწესებამ ბევრი გააოცა.

„რა თქმა უნდა, ველოდით, რომ კორეჩა თავიდანვე ითამაშებდა. ალბათ, მას წყვილების მატჩის წინ დაასვენებენ და მერე კვირას, რიგით მეოთხე ან მეხუთე შეხვედრაში გამოიყვანენ, როგორც საქმე მოითხოვს. მაგრამ ჩვენ შევეცდებით, მანამდე მივაღწიოთ საწადელს" — თავი დაიმშვიდა ავსტრალიელთა კაპიტანმა ჯონ ნიუკომბმა.

დუარტეს, რომელიც კორეჩას პირადი მწვრთნელია თავისი გადაწყვეტილების ასახსნელად ბევრი არ უფიქრია, უბრალოდ, ასე მივიჩნიეთ საჭიროდო. გულში წყენა არც შეგირდს ჩაუდვია: „საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ჩვენ ხომ ყველანი ერთი გუნდის წევრები ვართ. მზად ვარ, ისე გამოვადგე ნაკრებს, როგორც შემიძლია, ეს მხოლოდ წყვილებში იქნება, თუ კვირას ერთეულებშიც, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან გამახარებს".

აქამდე არაერთი ძლიერი ჩოგბურთელის პატრონ ესპანეთს დევისის თასი არასოდეს მოუგია. გუნდი ფინალშიც სულ ორჯერ გასულა და ორჯერვე სწორედ ავსტრალიელებთან დამარცხებულა 60-იან წლებში. თუმცა ის მატჩები მელბურნში, თანაც ევროპელთათვის მოუხერხებელ ბალახის კორტზე გაიმართა, ახლა კი მასპინძლებს საყვარელი თიხნარის საფარი და „პალაუ სანტ ხორდის" 16-ათასიანი ტრიბუნები უმაგრებთ გულს, რის გამოც სამართლიანად ითვლებიან ფავორიტებად.

„სასიამოვნოა ფავორიტის როლში ყოფნა, თუ ზეწოლას ვგრძნობთ, ისევ იმიტომ, რომ ვიცით, მოგების კარგი შანსი გვაქვს — აღნიშნა კორეჩამ. მელბურნს აქ ყოფნა მირჩევნია. ავსტრალიაში ბალახზე რომ ვთამაშობდეთ, ზეწოლას ვერ ვიგრძნოდით, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მოგების ნაკლები შესაძლებლობა გვექნებოდა. თიხნარზე, თანაც ბარსელონაში ჩვენ უფრო ძლიერები ვიქნებით, მთავარია, ეს კორტზეც დავამტკიცოთ".

ავსტრალიელები თავს არ იტყუებენ და გაცილებით მძიმე ფინალს ელიან, ვიდრე შარშან, საფრანგეთში. ლეიტონ ჰიუიტს და პატრიკ რაფტერს თიხნარი გულზე დიდად არ ეხატებათ, ნიუკომბის მთავარ იმედადაც წყვილები და დიდი გამოცდილება რჩება: „დევისის თასზე უცნაური რამეები შეიძლება მოხდეს, მაგრამ გამოცდილება აუცილებლად დაგვეხმარება. ესპანეთის დამარცხება, თანაც ასეთ საფარზე, ძალიან ძნელია, თუმც საბრძოლველად მზად ვართ".

ოზები თავს არ დაზოგავენ, რომ თავიანთ კაპიტანს ამ რანგში ბოლო შეხვედრა არ ჩააშხამონ — გაისად ნიუკომბი და მისი მარჯვენა ხელი, მწვრთნელი ტონი როუჩი გუნდიდან მიდიან, უფროსი „ვუდის" — მარკ ვუდფორდისთვის კი ეს საერთოდ უკანასკნელი მატჩია პროფესიულ კარიერაში.

**ავთანდილ სვანიძე**




დევისის თასთან: ხუან ბალსელსი, ალექს კორეჩა, ხუან კარლოს ფერერო, ალბერტ კოსტა, ხავიერ დუარტე, ჯონ ნიუკომბი, ლეიტონ ჰიუიტი, პატრიკ რაფტერი, სენდონ სტოლი და მარკ ვუდფორდი

### გზა ფინალისკენ

| | | |
|---|---|---|
| **ესპანეთი** | | |
| მერვედფინალი | იტალია | 4:1 |
| მეოთხედფინალი | რუსეთი | 4:1 |
| ნახევარფინალი | აშშ | 5:0 |
| **ავსტრალია** | | |
| მერვედფინალი | შვეიცარია | 3:2 |
| მეოთხედფინალი | გერმანია | 3:2 |
| ნახევარფინალი | ბრაზილია | 5:0 |

ცურვა

# რეკორდსმენები რეკორდებს არ ანუხებენ

**მელბურნში** ზაფხული ძალას იკრებს, ტემპერატურა მატულობს და ოთხშაბათს მოცურავენი მომრავლდნენ. ისინი მსოფლიოს თასის მეხუთე ეტაპზე გაეჯიბრნენ ერთმანეთს. წინა ეტაპებზე ჭეშმარიტად კარგი სპორტსმენების ნაკლებობა იყო, მაგრამ მაინც სამშობლოში ვართო და სასტარტო ბლოკებზე ზედიზედ შედგნენ გრანტ ჰეკეტი, მეთიუ უოლში და მაიკლ კლიმი, ოლიმპიურ ჩემპიონობასა და მსოფლიოს რეკორდებთან ფრიად შინაურად მყოფი ხალხი. თავ-თავიანთი წილი გაცურვა სამივემ მოიგო. ჰეკეტი 200 მეტრზე თავისუფალ სტილში გამოვიდა („მოკლე" წყალში), გვარიანი კროლით იცურა და იან ტორპის მსოფლიოს რეკორდს 3,5 წამით ჩამორჩა, მაგრამ მაინც პირველი იყო. არც სხვებს ჰქონიათ წარმატება რეკორდებთან ჭიდილში. კლიმს გულით სურდა, 50 მეტრზე ბატერფლაიში თავისივე მიღწევა დაემხო, მაგრამ 0,21 წამი დააკლდა. უელში გულაღმა 200 მეტრზე გაცურდა. ოქტომბერში, იქვე, მან მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, რომელსაც გუშინწინ 3 წამით გადაამეტა. სანუგეშო უელშს რა სჭირს, მაგრამ ის უნდა აღინიშნოს, რომ ცოტა ადრე მან 50 მეტრზე მოიგო, უფრო გვიან — 100 მეტრზე გულაღმა ცურვაც.

ხმაურიანი შედეგებით მწირ ეტაპზე სხვებიც გამოირჩნენ. ერთზე მეტი გაცურვა მოიგეს მასპინძლებმა რებეკა კრიდმა, ჯიან რონიმ და სარა ჯეინ დერსიმ, აგრეთვე კანადელმა მორგან კნაბემ და ჩინელმა ლუო სუე ჯუანმა.

**დავით გულუა**



მაიკლ კლიმი

### მსოფლიოს თასი.

მეხუთე ეტაპი. მელბურნი. 5-7 დეკემბერი

**ქალები**

**100 მ. თავისუფალი. რებეკა კრიდი (ავსტრალია) 55,40; 800 მ. თავისუფალი. სარა-ჯეინ დერსი (ავსტრალია) 8:33,66; 200 მ. გულაღმა. კელი ტაკერი (ავსტრალია) 2:09,97; 50 მ. ბრასი. ლუო სუენ ჯუანი (ჩინეთი) 1:06,18; 50 მ. ბატერფლაი. დიან ბუი დიუიე (საფრანგეთი) 27,65; 400 მ. შერეული. მეგან მაკმაჰონი (ავსტრალია) 4:42,87; 50 მ. თავისუფალი. კრიდი 25,83; 400 მ. თავისუფალი. დერსი 4:08,90; 100 მ. გულაღმა. ჯიან რონი (ავსტრალია) 1:00,58; 200 მ. ბრასი. სუე ჯუანი 2:23,51; 100 მ. ბატერფლაი. ლი ჯინი (ჩინეთი) 1:00,45; 100 მ. შერეული. ემი ბალცერაკი (აშშ) 1:02,09; 200 მ. ბრასი. სუე ჯუანი 2:23,51; 200 მ. ბატერფლაი. ნიკოლ ჰანტერი (ავსტრალია) 2:11,38; 200 მ. შერეული. ლორი მუნცი (ავსტრალია) 2:13,12**

**კაცები**

**100 მ. თავისუფალი. მაიკლ კლიმი (ავსტრალია) 47,98; 400 მ. თავისუფალი. გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) 3:42,49; 50 მ. გულაღმა. მეტ უოლში (ავსტრალია) 24,17; 50 მ. ბრასი. მორგან კნაბე (კანადა) 27,97; 200 მ. ბატერფლაი. გრეგ შოუ (ავსტრალია) 1:56,60; 100 მ. შერეული. რობერტ ვან დერ ზანტი (ავსტრალია) 55,17; 200 მ. თავისუფალი. ჰეკეტი 1:44,78; 200 მ. გულაღმა. უელში 1:54,76; 100 მ. ბრასი. კნაბე 1:00,37; 50 მ. ბატერფლაი. კლიმი 23,32; 200 მ. შერეული. გრანტ მაკგრეგორი (ავსტრალია) 1:59,35; 50 მ. თავისუფალი. ჯეისონ ლეზაკი (აშშ) 21,99; 1500 მ. თავისუფალი. ოლივიე სამინადინი (საფრანგეთი) 15:33,35; 100 მ. გულაღმა. უელში 51,89; 200 მ. ბრასი. ფაბიო ფარბეგოლი (იტალია) 2:09,03; 100 მ. ბატერფლაი. ადამ პაინი (ავსტრალია) 52,09; 400 მ. შერეული. მაკგრეგორი 4:10,16.**

ჭადრაკი

# კასპაროვი და მგრაშლი საკითხი

**„ლას ვეგასისგან** განსხვავებით, ფიდეს ამჟამინდელ ნოკაუტ — პირველობაზე უმაღლესი კლასის ჭადრაკს თამაშობენ".

გარი კასპაროვმა ეს სიტყვები დელიში მიმდინარე მსოფლიოს პირველობის ვაჟთა ნაწილზე თქვა, თორემ ქალთა ჭადრაკს ზედაც რომ არ უყურებს, ცნობილია. გაკვრით შეხედა მხოლოდ გუშინწინ და ისიც ირონიულად: სკრიპჩენკო-ლოტიეს მეოთხედფინალში გასვლა მისი მეუღლის, ჟოელ ლოტიეს კრამნიკთან თანამშრომლობით მიღებულ გამოცდილებას მიაწერა. ფრანგი დიდოსტატი ლონდონის მატჩში კრამნიკის სეკუნდანტი იყო.

ექსჩემპიონის ირონია კირსან ილუმჟინოვსაც ერგო, როდესაც კასპაროვმა თავისი ბანაკის მიერ წამოტივტივებული „ებრაული თემა" გააგრძელა. „ყველაფერი მზადაა დიდი შოუსთვის — კასპაროვი მეოთხედფინალში ალექსეი შიროვისა და ბორის გელფანდის შეხვედრას გულისხმობს, რომელიც ცენტრალურად ითვლება — შიროვის მრავალი ქომაგიდან კირსან ილუმჟინოვი უეჭველად ერთ-ერთი იქნება, რადგან თუ შიროვმა წააგო, ფიდეს კოშმარი — ებრაელი მოჭადრაკე ფინალში რეალობად იქცევა". თავად ფიდე ჯერ არც ცუდს ამბობს და არც კარგს, მაგრამ პრობლემა მართლა იარსებებს, თუ ისრაელის მოქალაქე ფინალში გავა და თეირანში წასასვლელი შეიქნა — ისრაელი თავის მოქალაქეებს მტრულად განწყობილ ირანში ჩასვლას უკრძალავს. მაგრამ ეს ვარაუდებია, გელფანდმა შიროვის ბარიერი უნდა გადალახოს და არც მერე ექნება დალხინებული ცხოვრება. თუ ყველაფერი სცენარით წარიმართა, აწყვეტილი ალექსანდრ მოროზევიჩი ერგება მეოთხედფინალის მეტოქედ. მოროზევიჩი დელიში მაგრად თამაშობს, მაგრამ კასპაროვმა მესამე რაუნდის მიმოხილვაში იგი გამოტოვა, თუმცა მთლიანად ფავორიტებისადმი კეთილად იყო განწყობილი. აქო ვიშვანათან ანანდი. კარგად მოიხსენია ალექსანდრ ხალიფმანი, ლას ვეგასში ფიდეს ჩემპიონი შემთხვევით არ გამხდარაო და მისგან დამარცხებულ პეტერ ლეკოსაც „კრამნიკის კვალზე მდგარი" უწოდა, „ლეკო ჩემპიონობისთვის მწიფდება" — თქვა კასპაროვმა მეთექვსმეტედფინალიდან გავარდნილი მადიარის შესახებ.

მერვედფინალის პირველი ტური გუშინწინ გაიმართა და შედეგების მიხედვით უინტერესო იყო. მხოლოდ რუსმა ალექსანდრ დრეევმა წააღლიტა ქულა ვესელინ ტოპალოვს, 7 დანარჩენი პარტია კი ზავით დასრულდა. ანანდმა თავის ტაქტიკას მისდია, მაჩეიხას შავებით სწრაფად გაუთანაბრა პოზიცია და პოლონელს ბევრი აღარ გაუჯანჯლებია, ნახევარ ქულას დასჯერდა. მეორე პარტიაში მას ანანდის წნეხის გაძლება მოუწევდა.

ორივე ცენტრალური პარტია დაძაბული იყო. ყველაზე მთავარში შიროვმა და გელფანდმა საინტერესოდ იომეს, მაგრამ მეტოქის გასალები ერთმაც ვერ იპოვა, ისევე როგორც პიოტრ სვიდლერისა და მაიკლ ადამსის პარტიაში.

**დავით გულუა**

### გუშინ

ძირითადი ჭადრაკის წყვილმა პარტიებმა კაცებში სამი მეოთხედფინალისტისა და ქალთა 2 ნახევარფინალისტის გამოსავლენად იკმარა. დანარჩენები ურთიერთობას სწრაფ ჭადრაკში, ან სულაც ბლიცებში გაარკვევენ. შემდგომ ეტაპზე გასულები მთავრული შრიფტით გამოვსახეთ.

**ვაჟები. მერვედფინალი**

**ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ბარტოლომეი მაციეხა (პოლონეთი) 1,5:0,5; ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) — რაფაელ ლეიტაო (ბრაზილია) 1,5:0,5; პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 1:1; ალექსანდრ დრეევი (რუსეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 1:1; ვლადისლავ ტკაჩიევი (საფრანგეთი) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) 1,5:0,5; იან ელვესტი (ესტონეთი) — ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) 1:1; ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ბორის გელფანდი (ისრაელი) 1:1; ევგენი ბარეევი (რუსეთი) — ბორის გულკო (აშშ) 1:1**

**ქალები. მეოთხედფინალი**

**სიე ჟუნი (ჩინეთი) — ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) 1,5:0,5; ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) — ჟოაკინ პენგი (ჰოლანდია) 1,5:0,5; კანინგ ცინი (ჩინეთი) — კორინა პეპტანი (რუმინეთი) 1:1; ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — ალმირა სკრიპჩენკო-ლოტიე (მოლდოვა) 1:1**

# სორელს ფინალი მოეწონა

## ნაკრების ფრანგი მწვრთნელი ყოჩებმა გააკვირვეს

*ეროვნული ჩემპიონატის ფინალურ მატჩს საქართველოს შვიდკაცა და ეროვნული ნაკრებების მთავარი მწვრთნელი, ფრანგი კლოდ სორელიც ადევნებდა თვალს და დროდადრო საკმაოდ უბის წიგნაკში რაღაცას ინიშნავდა. სორელი ნახევარფინალურ შეხვედრასაც დაესწრო და მაშინ გვითხრა: ნაკრებისთვის კანდიდატების შესარჩევად ჩამოვედიო. გეხსომებათ, იანვრის ბოლოს არგენტინის ქალაქი მარ დე პლატა საშვიდკაცო მსოფლიოს თასს უმასპინძლებს, იქ ჩვენებურებიც ითამაშებენ, თებერვლის დამდეგიდან კი ეროვნული ნაკრები ევროპის ერთვნებათა თასის გათამაშებაში ჩაებმება. იქამდე კი არცთუ ისე დიდი დრო დარჩა. ფინალური მატჩის შემდეგ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ბორჯღალოსანთა ფრანგი თავკაცი მატჩისეულ კომენტარზე ჩვეული თავაზიანობით დაგვთანხმდა და არც ნაკრებების სამომავლო გეგმებზე დაგვამადლა ორიოდ სიტყვა*

— ძალიან დაძაბული შეხვედრა გამოდგა, ბოლო წუთამდე გამარჯვებულის ვინაობა უცნობი იყო. ყოჩებმა სიურპრიზი შემომთავაზეს. მათგან ასეთ თამაშს ნამდვილად არ ველოდი. ფინალის წინ უდავო ფავორიტად „ლოკომოტივი I“ მიმაჩნდა, მაგრამ მატჩის მსვლელობისას აზრი შემეცვალა. „ყოჩებმა“ ტოლი არაფერში დაუდო მეტოქეს, უპირატესობაც ეპყრა ხელთ და, ვფიქრობ, უნდა გაემარჯვა კიდეც.

**— ყოჩითა უპირატესობას რითი ხსნით?**

— განსაკუთრებით დერეფანში გაისარჯნენ კარგად, აუტებში აჯობეს მეტოქეს, რაც ბურთის უფრო მეტ ხანს კონტროლში დაეხმარათ. რკინიგზელებმა კი სათანადოდ ვერ გამოიყენეს თავიანთი ძლიერი მხარეები. მათი საკმაოდ მობილური შერკინება დღეს სუსტად გამოიყურებოდა, წინა ხაზის მოთამაშეებმაც ვერ ითამაშეს ჩვეულად, შეხვედრის ბედი კი უკანახაზელებმა გადაწყვიტეს, რაც ძირითადად



გაიოზ ქირიასაძის ფოტო

კახა ალანიასა და გიორგი ბუგიანიშვილის ჩინებული თამაშის დამსახურებაა.

**— მაჯობაზე რას გვეტყვით?**

— ნოდარ რობიტაშვილი ამ მატჩს მაღალ დონეზე მოემსახურა, იყო უმნიშვნელო შეცდომები, მაგრამ ისეთი არა, შეხვედრის შედეგზე რომ მოეხდინა გავლენა.

**— ნაკრებისთვის კანდიდატები თუ შეარჩიეთ?**

— რამდენიმე მორაგბემ დამამახსოვრა თავი. თუმცა, ვისზეც ადრე მქონდა კარგი წარმოდგენა, მათ დღესაც დაამტკიცეს, რომ მაღალი დონის მორაგბეები არიან. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში.

**— უახლოეს მომავალში ნაკრებში ცვლილებები თუ მოხდება?**

— არა, განსაკუთრებული ცვლილებები არ იქნება, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეებიდან ერთს, მაქსიმუმ ორს ვუხმობ გუნდში.

**— კონკრეტულად ხომ ვერ დაგვისახელებთ მათ გვარებს?**

— არ მინდა, წინასწარ რაიმე განვაცხადო.

**— იანვარში შვიდკაცა ნაკრები მსოფლიოს თასზე ითამაშებს...**

— ამ ტურნირისთვის საფრანგეთში მოვემზადებით. კანდიდატები იქ შეიკრიბებიან და უელსისა და ინგლისის გუნდებთან ერთად ვივარჯიშებთ. ვფიქრობ, ეს ძალიან წაგვადგება. დაგეგმილი გვაქვს მაროკოს ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრაც. ეს იქნება ოფიციალური ამხანაგური მატჩი. მაროკოს ნაკრები აფრიკის თასზე ასპარეზობს და როგორც კი დროს გამონახავს, ერთმანეთს გავეჯიბრებით.

**ბაჩო სვანიძე**

# დიდი შავი მომავლებზე ფიქრობს

ევროპული ტურნედან შინ დაბრუნებული ახალზელანდიელი მორაგბეები დაღლილობაზე წუწუნებენ. „ოლ ბლექსისა“ და „კრაისტჩერჩის კაპიტანი ტოდ ბლეკედერი ამბობს: სეზონი ძალიან გრძელი იყო, რაც ცუდად მოქმედებს მორაგბეთა, განსაკუთრებით ნაკრების წევრთა ჯანმრთელობაზეო.

ტოდ ბლეკედერმა და დანარჩენმა „შავებმა“ სეზონი იანვარში დაიწყეს ზე 12-ის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი მატჩებით. ბოლო შეხვედრა კი ორიოდ კვირის წინ გამართეს, როცა იტალიაში „სკუადრა აძურა“ დაამარცხეს ტესტში. ახალზელანდიურ გაზეთ „The Press“-თან საუბარში ბლეკედერმა აღნიშნა, რომ თავს გამოფიტულად გრძნობდა. მისი თქმით, იგი უკვე გამოწრთობილია და ასეთ დატვირთვას ასე თუ ისე მაინც გაუძლებს, მაგრამ ახალგაზრდების, მაგალითად, გრეგ სომერვილის შემდგომი კარიერით საკმაოდ შეფიქრიანებულია. ახალი ზელანდიის კაპიტნის მოსაზრებას სამხრეთაფრიკელ და ავსტრალიელ მორაგბეთა უმეტესობაც იზიარებს, ისევე როგორც ზოგიერთი მწვრთნელი.

„ჩვენ 22 წლის ბრწყინვალე მორკინალი გვყავს, რომელიც შერკინების ერთ-ერთი მთავარი კაცია. გამიხარდება, თუ იგი უმაღლეს დონეზე კიდევ ათ წელს ითამაშებს, მაგრამ ასეთი მძიმე დატვირთვებით ეს თითქმის წარმოუდგენელია“ — განაცხადა ბლეკედერმა სომერვილის შესახებ, რომელმაც წლეულს ზე 12-ზე, ახალი ზელანდიის პროვინციათა ჩემპიონატსა და ევროპულ ტურნეში ჯამში 30 მატჩი ითამაშა.

„აუცილებლად რაღაც უნდა შეიცვალოს, რათა ნაკრებში გამოძახებული მორაგბეები ტესტების დროს შედარებით დასვენებულები და საუკეთესო ფორმაში იყვნენ. დღეს ძალიან ბევრი მატჩის ჩატარება უწევთ, კალენდარი უზომოდაა გადატვირთული“ — კვერი დაუკრა თავის კაპიტანს ახალი ზელანდიის მთავარმა მწვრთნელმა უეინ სმიტმა.

ბლეკედერი და სმიტი ამ წუწუნ-წუწუნში იყვნენ, როცა სამხრეთული რაგბის მამებმა მათ სიურპრიზი მოუმზადეს. ოთხშაბათს ავსტრალიურ პერტში ახალზელანდიელი და სამხრეთაფრიკელი რაგბის ჩინოსნები მასპინძლებთან ერთად შეიყარნენ და დაადგინეს, რომ ამიერიდან ზე 12 აღარ იარსებებს. მის ნაცვლად კი დაიბადება ზე 14. ორი დამატებითი გუნდი კიდევ ორი ზედმეტი თამაშის გამართვას ნიშნავს. ერთი გუნდი ავსტრალიური იქნება და პერტში ან მელბურნში დაიდებს ბინას, მეორეს კი, სავარაუდოდ, სამხრეთაფრიკული ბლომფონტეინი გამოიყვანს. ასე რომ, ამიერიდან სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრეს საკლუბო ტურნირში ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკას ხუთ-ხუთი წარმომადგენელი ეყოლებათ, მსოფლიოს ჩემპიონ ავსტრალიას კი — ოთხი.

დაბოლოს, 30 მატჩი „შავებს“ ეჩვენებათ გადატვირთულ კალენდრად, თორემ ფრანგული „სტად ფრანსში“ ანდა „ტულუზში“ მოთამაშე „მამლებს“ წლეულს უკვე 50-მდე მატჩი დაუგროვდათ!

**გაიოზ თალაკვაძე**



ტოდ ბლეკედერი: დავიღალე!

# უნავოდ დარჩენილი ნიჩბოსნები ძველ პრეზიდენტს ირჩევენ

**გუშინ** კიდევ ერთი თითქმის არარსებული სპორტის სახეობის — ნიჩბოსნობისა და ბაიდარა-კანოეს წარმომადგენლებმა გამართეს ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა. თითქოს საკუთარი გაჭირვება არ ეყოფოდათ, შეკრებილები არც ქვეყანაში მძვინვარე ენერგოკრიზისმა დაინდო. თუ ადრე მსგავსი სხდომებისთვის მასპინძლად ქცეულ სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში შუქი მაინც ენთო, ამათ ეს სიკეთეც მოაკლდათ და მომხსენებლები ჩაბნელებული ტრიბუნის ნაცვლად ფანჯარასთან მიდიოდნენ.

...არც ბაზები, არც ინვენტარი, არც ტურნირები და პერსპექტივა — ასეთია ამ სახეობის დღევანდელი მდგომარეობა. როგორც ფედერაციის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, სპორტსმენების განკარგულებაში 70-იან წლებში ნაყიდი, დღეს ვარჯიშისთვის, ფაქტობრივად, უვარგისი ინვენტარია. დეპარტამენტისეული მიზერული დაფინანსება კი ის ფულია, რომელიც ბიუჯეტსაც აკლდება და ამათთვისაც ზღვაში წვეთია. მართალია, ხანდახან ერთი-ორი სპორტსმენის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაგზავნას ახერხებენ, მაგრამ მათი შედეგები ზუსტად ისევე ჩამორჩება უცხოელებისას, როგორც პირობები. უმწეოდ და უსასოოდ დარჩენილ სახეობას მცხეთის სანიჩბოსნო ბაზაზე გაჩენილი ხანძარიც რისხვად დასტყდომია თავს და იქაურობა ერთიანად შეუმუსრავს (სკამი რომ სკამია, ისიც არ დაგვრჩაო, დაიწუწუნა იქაურმა გამომსვლელმა). ცეცხლის ალი არა, მაგრამ ბიზნესმენთა მსუნაგი თვალი მისწვდენია ბაზალეთის ბაზას. იქ ისრაელის მოქალაქე ქართველ ებრაელს მშენებლობები წამოუწყია, 14 მილიონი დოლარი უკვე ჩაუდვია ამ საქმეში და ერთი ამდენის დახარჯვას კიდევ აპირებს, სპორტული ბაზა კი მისი თვალთახედვის არეში ხელსაყრელი მდებარეობისა და კარგი პლაჟის გამო მოხვედრილა. გამოითქვა იმედი, ხანძარს თუ ვერა, ბიუროკრატიზმს მაინც მოვერევითო.

ყრილობაზე ის ძველი ქონებაც მოიკითხეს, რომელიც „პერესტროიკის“ გარიჟრაჟზე მაშინდელ სპორკომიტეტს ფედერაციისთვის შეუძენია, დღეს კი არსად ჩანს. მისი გაქრობა ფედერაციის იმდროინდელ ხელმძღვანელობას დაბრალდა, რომელმაც თურმე რამდენიმე წლის წინ ყურიც არ უგდო სპორტსმენთა თხოვნას და თურქეთში შეჯიბრზე ჩასულმა ნავები იქვე გაყიდა, ხოლო 200 დოლარად გაყიდული ავტობუსი ახლაც დადის თბილისის ქუჩებში. ამ ქონებაზე დავა თურმე დღემდე სასამართლოში ირჩევა.

თურმე ერთი ნავი შარშან სალიცენზიო ტურნირიდან მომავალ სპორტსმენებს პოლონეთში დაუტოვებიათ, რადგან სახელმწიფოს მისი ჩამოტანის და მერე ისევ ტურნირებზე გაგზავნის საშუალება არ ჰქონდა. თუ ახლა სპორტსმენებს შეჯიბრზე გაუშვებენ, პოლონელებს უნდა სთხოვონ, თავიანთ ბარგთან ერთად ის ნავიც ჩაუტანონ. სხვათა შორის, ამას წინათ რუსებს უთქვამთ მათთვის, ჩვენ წავუღებთ ამ ნავს ქართველებს, ერთ დროს ძმები ვიყავით, ამას როგორ დავამადლით (როგორც აწუხებთ ჩვენი გაჭირვება, იოლი მისახვედრია). საბედნიეროდ, წინდახედულ პოლონელებს (თვითონაც რომ კარგად იცნობენ რუსებს) შორს დაუჭერიათ, მობარებულია, პატრონს ჩვენვე ჩავაბარებთო.

ბავშვები ხშირად მეკითხებიან, რომ ვთოხნიდეთ, მიწას მაინც დააჩნდებოდა ჩვენი ნაშრომი, ამ წყალში ნიჩბებს რომ ვუსვამთ, რატომ და რისთვისო, თქვა ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ოთარ ხომერიკმა. მან პრიორიტეტად ბავშვთა სპორტის განვითარება და ლიდერთათვის შედარებით უკეთესი პირობების შექმნა დაასახელა.

გაყინულ დარბაზში შეკრებილ 40-მდე დამსწრეს შორის სრული თანხმობა სუფევდა, ამიტომ ფედერაციის მუშაობაც სწრაფად შეაფასეს დამაკმაყოფილებლად და არჩევნებშიც ერთსულოვანნი იყვნენ. ხელმძღვანელ თანამდებობაზე ისევ ძველი ხალხი დატოვეს, რაზეც ხუმრობდნენ, კი არ ავირჩიეთ, ვადები გავუგრძელეთო. პრეზიდენტი ისევ ბეჟან ხურციძეა, საპატიო პრეზიდენტი — არმიელი გენერალი ჯონი ფირცხალაიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი — გივი ნიკურაძე (მოგვიანებით ალმასკომი მეორესაც აირჩევს), გენერალური მდივანი — გენადი პატარაია.

მოგეხსენებათ, ხურციძე სეოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატია არჩილ გოგელიასა და ლევან თედიაშვილთან ერთად. როგორც მან განგვიმარტა, თუ ჯანო ბაგრატიონი არჩევნებში კენჭს იყრის, მაშინ კანდიდატურას მის სასარგებლოდ მოხსნის.

ამით ყრილობამ მუშაობა დაამთავრა, თუმცა ერთი კითხვა მაინც პასუხგაუცემელი დარჩა — ვის სჭირდება ფედერაცია, რომლის სპორტსმენებისთვისაც თანამედროვე სპორტული ინვენტარი იმდენად უცხოა, რომ...

**ირაკლი თავაძე**

აფროსნობა

# ვინ სად დააყენებს?





**ჰავანის** ფართო ბოლაზიდან „ტაიმს კლიპერის“ იახტები პირველ დეკემბერს გავიდნენ. მეორე და მესამე ეტაპებს შორის მათი ანტრაქტი „BT ჩელენჯის“ გაწელილ პაუზაზე ბევრად მოკლე გამოდგა. „ჩელენჯერები“ ბუენოს აირესში გაცილებით ადრე ჩავიდნენ და ახლაც იქ დგანან, ხოლო „კლიპერები“ საცაა პანამის არხში შევლენ. მესამე ეტაპად სპრინტი დაიგეგმა, ჰავანიდან პანამამდე. იახტებმა შემოუარეს კუბის დასავლეთ სანაპიროს და მკვეთრად სამხრეთით ჩაცურდნენ. ქარი გუშინწინდელამდე მეტად ხელსაყრელად ქროდა და რეგატა მანძილს სწრაფად ყლაპავდა; სტარტის მესამე დღეს მარცხნივ დარჩა ბრიტანეთის დიდი ექსიმპერიის ნაგლეჯი, კაიმანის კუნძულები და ხუთში შკიპერები უკვე პაწია რიფოვანი კუნძულების რაიონში იცავდნენ სიფრთხილეს, რომელთაგან ერთი კოლუმბიისა და ამერიკის ზიარი საკუთრება ყოფილა (რონკადორი ჰქვია). წინ „ბრისტოლია“, იმას კი ფეხდაფეხ „ლივერპული“ მისდევს. მერსისაიდელები წინა ორივე ეტაპისა და საერთო ჩათვლის მაჩანჩალობას უკვე უკადრისობენ. ლიდერთა დუეტი ერთმანეთის თვალსაწიერზე მიცურავს და შკიპერები წათვლემის ნებას არ იძლევიან: ერთი იალქნის სწორად ან ცუდად დაყენებამ შეიძლება ეტაპის ბედი გადაწყვიტოს. არც დანარჩენი „კლიპერები“ არიან უიმედოდ, „პორტსმუთი“ და „ლონდონი“ გვერდიგვერდ მიცურავენ და ერთმანეთში კავშირის ვერბალური საშუალებებითაც იოლად გადიან, „ჯერსი“, „პლიმუთი“ და „გლაზგო“ გარკვეულ შანსებს ინარჩუნებენ და წყალს მხოლოდ იორკშირული „ლიდსი“ წაუღია. თუ იგი პანამაში ბოლოს არ შევიდა, გასაკვირი იქნება.

**დავით გულუა**

| რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000» III ეტაპი. ჰავანა — პანამა 6 დეკემბრის ვითარება | | |
|---|---|---|
| 1. „ბრისტოლი“ | 244 | 0 |
| 2. „ლივერპული“ | 246 | 2 |
| 3. „პორტსმუთი“ | 265 | 21 |
| 4. „ლონდონი“ | 265 | 21 |
| 5. „ჯერსი“ | 268 | 24 |
| 6. „პლიმუთი“ | 276 | 32 |
| 7. „გლაზგო“ | 279 | 35 |
| 8. „ლიდსი“ | 342 | 98 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან.*

## მთის თხილამურობა

# ცრემლი თოვლზე




რეგინა კავანიუ

**ემოციებით** უაღრესად დატვირთული იყო ქალთა მსოფლიოს თასის სუპერგიგანტის ეტაპი, რომელიც ატლანტიკის გაღმიდან ჩამოსულმა სამთოელებმა ფრანგულ ვალ დიზერში გამართეს. შინაური კედლების ფაქტორი ფრანგებს სასიკეთოდ წაადგათ. რეგინა კავანიუმ ორი მეორე ადგილის შემდეგ პოდიუმის სათავე დააჭაშნიკა, კაროლ მონტილე კი მესამე იყო მიქაელა დორფ მაისტერის შემდეგ.

მე-7 ადგილი დაიკავა ავსტრიელმა ალექსანდრა მაიზნიცერმა, 23-ე შვედმა პერნილა ვიბერგმა და 34-ე ამერიკელმა პიკაბო სტრიტმა. სამთოთხილამურობის სამივე ვარსკვლავს გუშინწინ რეაბილიტაციის დღე ჰქონდა და რადგან ფინიშამდე ტკივილისა და წვალების გარეშე მისრიალდნენ, შვების ცრემლებიც ალალად ღვარეს. სტრიტი ვიბერგს ჩაეხუტა და ერთად იტირეს. „ასე მგონია, დებიუტი მქონდა — თქვა სტრიტმა, რომელიც ორი წლის წინათ, შვეიცარიულ კრანსმონტანაში, სწრაფდაშვებისას საშინელმა დაცემამ დიდი ხნით გააქრო სამთოთხილამურობიდან — თავს უადგილოდ ვგრძნობდი, მაგრამ როგორც კი სტარტზე შევდექი და ფოტოკამერებმა მომაჭყიტეს, გავიფიქრე, ასეთი რაღაც ადრეც ხომ მინახავს მეთქი. ფინიშამდე ნორმალურად მისვლის მეტი არაფერი მსურდა. იმ დღეს ეს ჩემი ერთადერთი მიზანი იყო. მისი დარი აზრები ჰქონია მეორე ოლიმპიურ ჩემპიონ ვიბერგსაც, ხოლო 99 წლის მსოფლიოს თასის პატრონსა და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონს, ალექსანდრა მაიზნიცერს სხვაგვარად განუსჯია, სჯობს, ქულების დაგროვებას დაბრუნებისთანავე მივყო ხელიო და აკი ასეც მოიქცა.

კავანიუს გამარჯვება ლოგიკური იყო. ფრანგი საერთო ჩათვლაში მეორეა და ავსტრიელთა სამთოსათხილამურო დიქტატის დასამხობად დიდი ძალაა. კანადაში ორმა მეორე ადგილმა ფრანგის რიგიან ფორმაში ყოფნა დაადასტურა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ: ჯერჯერობით ავსტრიელები მოწოდების სიმაღლეზე ჭეშმარიტად ვერ დგანან. ქვემორე ცხრილები ამის დასტურია. ნუთუ მათი დრო მიდის?

**დავით გულუა**

### მსოფლიო თასი

ვალ დიზერი. საფრანგეთი.
მეცხრე ეტაპი. სუპერგიგანტი

ქალები
1 რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) 1.28,72 წთ
2 მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 1.29,19
3 კაროლ მონტილე (საფრანგეთი) 1.29,26
4 იზოლდე კოსტნერი (იტალია) 1.29,42
5 კორინ რეი ბელეტი (შვეიცარია) 1.29,55

#### სუპერგიგანტის საერთო ჩათვლა

1 კავანიუ 260 ქულა
2 დორფმაისტერი 192
3 რენატა გოეჩლი (ავსტრია) 154
4 მარტინა ერტლი (გერმანია) 150
5 რეი ბელეტი 141

#### საერთო ჩათვლა

1 ერტლი 460 ქულა
2 კავანიუ 424
3 დორფმაისტერი 296
4 კოსტნერი 285
5 გოეჩლი 256

## ველორბოლა

# ვირანკი დაისვენებს. განაჩენის წინ



რიშარ ვირანკი

**შვეიცარიის** ველოსპორტის ფედერაციამ დღეს რიშარ ვირანკის წინააღმდეგ პროცესი უნდა წამოიწყოს, რაც ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მოთხოვნაა. ფრანგმა მრბოლმა, რომელიც ჟენევის მახლობლად ცხოვრობს და შვეიცარიულ ფედერაციაშიც ამიტომ მიიღო მრბოლის ლიცენზია, ოქტომბერში „ფესტინას საქმის" დროს აღიარა დოპინგის ხმარება. იგი აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში 1998 წლის „ტურ დე ფრანსის" დროს ამხილეს, მაგრამ თანაგუნდელებისგან განსხვავებით, დოპინგს არ ვიყენებო, გაიძახოდა. ჰოდა, ახლა, როცა დანარჩენ ფესტინელებს დისკვალიფიკაციები მოხდილი აქვთ, ვირანკს 6-დან 12 თვემდე უქმობა ელის.

მოსალოდნელი სასჯელის მიუხედავად, 31 წლის მრბოლი კარიერის დასრულებაზე წამითაც არ ფიქრობს. ფრანგების ერთ-ერთმა უსაყვარლესმა სპორტსმენმა ძველ პროფესიონალ ერიკ ბუაიერს მიმართა, რომელიც ახლა მრბოლთა აგენტია და ვირანკისთვის უკვე ახალ გუნდსაც ეძებს. „ფესტინას" ყოფილი ლიდერი წლეულს იტალიურ „პოლტიში" გამოდიოდა, მაგრამ ამ გუნდმა არსებობა შეწყვიტა. მერე იგი თითქოს იტალიურსავე „ალეზიაში" უნდა გადასულიყო, მაგრამ ლილში გამართულმა სასამართლო პროცესმა („ფესტინას" საქმე) გეგმები აურია. ახლა ბუაიერი ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ, დანიურ და ჰოლანდიურ გუნდებს სთავაზობს ვირანკის თავს, ხოლო თუ რა გამოვა აქედან, ცოტა ხანში გავიგებთ.

„ამჟამად რიშარი შინ ისვენებს და მოსალოდნელ დისკვალიფიკაციაზე საუბარი არ სურს, სანამ ყველაფერი ოფიციალურად არ გაირკვევა" — თქვა ფრანგი მრბოლის ბედით დაკავებულმა ბუაიერმა.

**გაგი გურული**

## ოლიმპიზმი

# ოლიმპიური ჩირაღდნით 25 მილიონ დოლარს დაწვავენ

**სიდნეის** ოლიმპიური ჩირაღდნის ოთხთვიან ოდისეას, ეპოპეასა და მასთან დაკავშირებულ ციებ-ცხელებას 15 სექტემბერს დაესვა წერტილი, როცა მისგან ავსტრალიელმა აბორიგენმა კეტი ფრიმენმა მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე წყალზე ვეება ცეცხლი აავიზგიზა.

და აი, ახალი, სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის ციებ-ცხელებაც ახლოვდება. 2002 წელს გასამართი ამ თამაშების ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა, როგორც იუწყებიან, იქნება ყველაზე გრანდიოზული მათ შორის, რომელიც აშშ-ში გამართულა.

საჩირაღდნო ესტაფეტა 65 დღეს გაგრძელდება, ხოლო მისი მარშრუტი ამერიკის 50-დან 46 შტატში გაივლის. ესტაფეტა დაიწყება 1996 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქ ატლანტაში, მერე კი 21 700 კილომეტრს გადალახავს ყველა სატრანსპორტო საშუალებით, დაწყებული თვითმფრინავითა და დამთავრებული ცხენით, მარხილებში შებმული ირმებითა თუ ძაღლებით, ბოლოს ჩირაღდანი იუტას შტატის ტერიტორიაზე, რომლის დედაქალაქიც სოლტ-ლეიკ-სიტია, დიდი კანიონის გავლით შეაღწევს.

რაც შეეხება მეჩირაღდნეთა არმიას, იგი 11 500 კაცს მიითვლის.

ოლიმპიური ჩირაღდნის სამოგზაურო პროექტი დაჯდება 25 მილიონი დოლარი, რაც თბილისის მთელ შრომისუნარიან მოსახლეობას, ალბათ 250-ლარიან ხელფასად, ერთ თვეს ეყოფოდა.

ამ თანხის გაღებას სპონსორები აპირებენ.

**ავთანდილ ჭყიშელი**

## ჰოკეი

# ფინიქსური სამაია: ასრულებენ...

6 დეკემბერი

**კოლუმბუსი — ანაჰაიმი 5:2**

3:0 1:2 1:0

1:0 სანდერსონი 2 '58 (8); 2:0 ჰაინცი 9 '12 (7); 3:0 სელივანოვი 12 '12 (1); 4:0 მიუარდი 23 '10(3); 4:1 ლეკლერკი 29 '01(10); 4:2 კალენი 35 '56(5); 5:2 ჰაინცი 56 '59(8)

**ფილადელფია — ტამპა 6:3**

1:0 2:1 3:2

1:0 განიე 13 '06 (10); 2:0 უილიამსი 22 '22 (6); 2:1 კუბინა 34 '40 (7); 3:1 ლეკლერი 35 '58 (3); 3:2 ლეკავალიე 42 '42 (14); 5:3 მოდინი 49 '40 (13); 4:3 ლეკლერი 56 '20 (4); 5:3 რენბაიმი 56 '37 (4); 6:3 ლეკლერი 57 '36 (5)

**დეტროიტი — ტორონტო 0:3**

0:2 0:0 0:1

0:1 სუნდინი 3 '39 (9); 0:2 სუნდინი 15 '10 (10); 0:3 პერო 42 '18 (7)

**პიტსბურგი — ბოსტონი 2:3**

1:0 1:1 0:2

1:0 ბერნეკი 16 '32 (4); 1:1 დ. ჰორდი 32 '32 (3); 2:1 კოვალიოვი 38 '32 (16); 2:2 გერინი 43 '27 (17); 2:3 გერინი 44 '43 (18)

**ფინიქსი — ვანკუვერი 1:1**

1:0 0:0 0:1 0:0

1:0 დოუნი 11 '42 (9); 1:1 მორისონი 42 '29 (6)

**სან ხოსე — დალასი 2:2**

2:2 0:0 0:0 0:0

1:0 მარლო 2 '38 (13); 1:1 სიდორი 11 '35 (2); 2:1 სუტერი 12 '27 (3); 2:2 ლეჰტინენი 18 '35 (6);

**ატლანტა — კაროლინა 3:5**

1:0 1:3 1:2

1:0 ფერარო 2 '26 (11); 1:1 ოზოლინში 21 '12 (4); 1:2 კაპანენი 23 '06 (6); 2:2 ოდეტი 26 '43 (11); 2:3 ვესტლუნდი 28 '01 (2); 2:4 კაპანენი 44 '28 (7); 3:4 კაბერლე 47 '11 (2); 3:5 კარპა 49 '58 (2)

**ფლორიდა — აილენდერსი 1:4**

0:0 1:3 0:1

0:1 მაკოლტი 22 '08 (1); 0:2 ჰამრლიკი 23 '01 (9); 0:3 ისბისტერი 30 '13 (11); 1:3 პ. ბურე 30 '50 (17); 1:4 პერიში 59 '11 (7)

**ედმონტონი — ნეშვილი 4:0**

1:0 1:0 2:0

1:0 მორო 1 '55 (1); 2:0 კარტერი 35 '09 (5); 3:0 რ. სმიტი 54 '45 (13); 4:0 რ. სმიტი 57 '16 (14)

**რეინჯერსი — ვაშინგტონი 3:2**

2:1 1:0 0:1

1:0 მესიე 9 '18 (12); 1:1 გონჩარი 14 '45 (4); 2:1 ნედვედი 15 '56 (9); 3:1 იორკი 38 '36 (8); 3:2 დალინი 52 '33 (8)

როგორც იქნა, ფინიქსის ქომაგები ეღირსნენ გუნდში კლოდ ლემიეს ხილვას. კლუბის ძველი და ახალი მესვეურების გაჭიანურებულმა კონფლიქტმა ვარსკვლავი ამდენ ხანს უსაქმოდ დატოვა, მაგრამ გუნდის ახალმა მფლობელმა სტივ ელმანმა ყველაფერი მოაგვარა, ფინანსურ გაუგებრობას წერტილი დაუსვა და ლემიესთან კონტრაქტიც გააფორმა. ჰოკეისტი უკვე პირველ სამეულში, კეიტ ტკაჩუკთან და ჯერემი რენიკთან დააყენეს, თუმცა კლოდი ჯერჯერობით ჩვეულ ფორმაში ვერაა. ამიტომაც იყო, რომ ფინიქსის შეტევებს სიმწვავე აკლდა, მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა და ქულაც უფრო მეკარე შონ ბურკის წყალობით შეიმატა. მიუხედავად ამისა, ლემიე მაინც გახარებული იყო: „თავს კარგად ვგრძნობ. მერწმუნეთ, სულ მალე ჩვენი ტრიო სხვაგვარად ათამაშდება".

დღის მეორე ცენტრალურ მატჩში თასის ფინალისტმა დალასმა გამარჯვებისთვის ყველაფერი იღონა, მაგრამ სან ხოსეს დაცვასა და დებიუტანტ ევგენი ნაბოკოვს ვერაფერი დააკლო. სტუმრები ორჯერ მდევრის როლში იყვნენ, ხოლო ძირითადი დროის მიწურულსა და ოვერტაიმში მხოლოდ ედ ბელფორის ოსტატობამ იხსნა ტეხასელები წაგებისგან.

რეინჯერსმა კი ვაშინგტონს უმძიმეს ბრძოლაში მოუგო. აღსანიშნავია, რომ ლიგის ყველაზე უკომპრომისო გუნდმა სამივე შაიბა რიცხვმრავლობაში შეაგდო. სამჯერვე ასისტენტები ბრაიან ლიჩი და ტეორენ ფლერი იყვნენ, თანაც ლიჩმა თავისი საკარიერო მონაგარი 817 ქულამდე გაზარდა.

უქმეებზე ტამპასთან დასანანი მარცხის შემდეგ დეტროიტი, როგორც ჩანს, გონს ვერ მოსულა. ის თამაში „წითელფრთიანებმა" 0:3 წააგეს. ახლაც, სანამ მასპინძლები ცდილობდნენ თავდაჯერება დაებრუნებინათ, ტორონტოელთა კაპიტანმა მათს სუნდინმა ორჯერ საუცხოო გოლით დაასრულა პარტნიორთა არანაკლებ ლამაზი კომბინაციები. შემდეგ კი, სტუმართა დაცვამ მისთვის უჩვეულოდ მობილიზებულად და ყურადღებით ითამაშა და მეკარე კერტის ჯოზეფმაც იოლად მიითვალა კარიერაში 30-ე შათაუტი.

კაროლინელმა ვეტერანმა რონ ფრენსისმა კლუბში თავისი მე-900 მატჩი კარიერაში 1100-ე პასით აღნიშნა, რომელიც სანდის ოზოლინშმა გოლად აქცია. სწორედ ამ შაიბის წყალობით შეიტანეს გარდატეხა თამაშში „ქარიშხლებმა".

ფლორიდის მეკარე ჯონ ვანბისბრუკს კი, რომელიც ტრავმის მოშუშების შემდეგ ბრწყინვალედ ათამაშდა, ამჯერად პარტნიორებიც დაეხმარნენ და პაველ ბურეს მორიგი გოლის მიუხედავად, მასპინძლებმა ქულა დაკარგეს. ამჟამად ბურე ერთადერთია, ვინც „პანტერების" ქომაგებს არ აწბილებს, იგი სულ ერთი შაიბით ჩამორჩება ბომბარდირთა ლიდერებს.

**სამველ ლარიბიანი**




დალასელი იარი ლეჰტინენის ამ გოლის მერე ანგარიში გათანაბრდა

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტორონტო | 28 | 15 | 4 | 2 | 7 | 91:63 | 36 |
| ოტავა | 27 | 15 | 4 | 0 | 8 | 86:65 | 34 |
| ბუფალო | 25 | 14 | 2 | 1 | 8 | 70:63 | 31 |
| ბოსტონი | 28 | 9 | 3 | 2 | 14 | 68:97 | 23 |
| მონრეალი | 28 | 9 | 3 | 0 | 16 | 71:85 | 21 |
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 26 | 13 | 5 | 0 | 8 | 89:64 | 31 |
| პიტსბურგი | 27 | 13 | 3 | 1 | 10 | 79:73 | 30 |
| რეინჯერსი | 28 | 14 | 0 | 0 | 14 | 93:98 | 28 |
| ფილადელფია | 27 | 12 | 4 | 0 | 11 | 70:74 | 28 |
| აილენდერსი | 26 | 8 | 4 | 2 | 12 | 61:72 | 22 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| კაროლინა | 26 | 11 | 3 | 1 | 11 | 63:72 | 26 |
| ვაშინგტონი | 27 | 9 | 6 | 1 | 11 | 64:72 | 25 |
| ატლანტა | 26 | 8 | 6 | 1 | 11 | 71:85 | 23 |
| ტამპა | 26 | 9 | 2 | 2 | 13 | 77:96 | 22 |
| ფლორიდა | 26 | 5 | 5 | 4 | 12 | 54:74 | 19 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 25 | 18 | 3 | 0 | 4 | 83:46 | 39 |
| დეტროიტი | 29 | 16 | 1 | 2 | 10 | 86:78 | 35 |
| ნეშვილი | 28 | 10 | 5 | 1 | 12 | 65:73 | 26 |
| ჩიკაგო | 27 | 10 | 2 | 2 | 13 | 69:78 | 24 |
| კოლუმბუსი | 28 | 8 | 1 | 1 | 18 | 55:90 | 18 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| კოლორადო | 27 | 19 | 3 | 0 | 5 | 86:60 | 41 |
| ვანკუვერი | 29 | 15 | 4 | 2 | 8 | 100:79 | 36 |
| ედმონტონი | 30 | 15 | 4 | 0 | 11 | 87:78 | 34 |
| კალგარი | 29 | 6 | 6 | 4 | 13 | 58:87 | 22 |
| მინესოტა | 27 | 7 | 4 | 1 | 15 | 54:71 | 19 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 25 | 16 | 4 | 0 | 5 | 78:51 | 36 |
| დალასი | 26 | 14 | 4 | 1 | 7 | 72:54 | 33 |
| ფინიქსი | 28 | 13 | 7 | 0 | 8 | 73:64 | 33 |
| ლოს ანჯელესი | 27 | 12 | 6 | 0 | 9 | 91:81 | 30 |
| ანაჰაიმი | 30 | 9 | 4 | 3 | 14 | 74:95 | 25 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

## გერმანია. ბუნდესლიგა. მე-16 ტური

### 8 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 001 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1,8 | 3,0 | 4,2 |

### 9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 002 | მიუნხენ 1860-ჰანზა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 18.30 | 003 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.30 | 004 | შალკე-შტუტგარტი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-უნტერჰახინგი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 23.15 | 006 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

### 10 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 007 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 20.30 | 008 | ვერდერი-კიოლნი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.30 | 009 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

## გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-16 ტური

### 8 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 010 | დუისბურგი-ზაარბრიუკენი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 22.00 | 011 | როიტლინგენი-ულმი | 1,65 | 3,1 | 5,3 |

### 9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 012 | არმინია-ქემნიცი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 013 | კიკერსი-ოსნაბრიუკი | 1,65 | 3,2 | 4,4 |

### 10 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | ნიურნბერგი-ალემანია | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 015 | ნიურნბერგი-ალემანია 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 016 | მიონხენგლადბახი-ფიურტი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 18.00 | 017 | ვალდჰოფი-ობერჰაუზენი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 018 | ალენი-მაინცი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

### 11 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 019 | ჰანოვერი-ზანქტ პაული | 1,8 | 3,1 | 4,0 |

## ინგლისი. პრემიერლიგა. მე-17 ტური

### 9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 020 | არსენალი-ნიუკასლი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 19.00 | 021 | ბრედფორდი-ტოტენჰემი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 022 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 4,4 | 3,0 | 1,65 |
| 19.00 | 023 | ჩელსი-დერბი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 024 | ჩელსი-დერბი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 025 | სიტი-ევერტონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 026 | საუთჰემპტონი-ლიდსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 027 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 028 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 2,2 | 3,0 | 3,1 |

### 10 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 029 | ლივერპული-იფსვიჩი | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 030 | ქოვენთრი-ლესტერი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

## ინგლისი. I დივიზიონი. 22-ე ტური

### 9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 031 | ბარნსლი-შეფილდი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 032 | ბირმინგემი-უიმბლდონი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 033 | ბლექბერნი-ქუინზ პარკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 034 | ბოლტონი-ქრიუ | 1,45 | 3,2 | 7,5 |
| 19.00 | 035 | კრისტალ პალასი-უოტფორდი | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 19.00 | 036 | ჰადერსფილდი-ვულვერჰემპტონი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 19.00 | 037 | ნორვიჩი-ჯილინგემი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 038 | ნოტინგემი-პორტსმუთი | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 039 | პრესტონი-ბარნლი | 1,85 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 040 | უენსდი-სტოკპორტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 041 | ტრანმერი-გრიმსბი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 042 | ვესტ ბრომვიჩი-ფულემი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

## ინგლისი. III დივიზიონი

### 9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 043 | ჩესტერფილდი-ექსეტერი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 044 | როჩდეილი-პლიმუთი | 1,55 | 3,1 | 6,0 |

## საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-20 ტური

### 9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 045 | პსჟ-მეცი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 23.00 | 046 | ლიონი-ბასტია | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 047 | ტულუზი-ლანსი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.00 | 048 | გენგამი-მონაკო | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 049 | სტრასბური-რენი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 23.00 | 050 | ლილი-სედანი | 2,2 | 2,8 | 3,2 |
| 23.00 | 051 | ოსერი-ტრუა | 1,75 | 2,9 | 4,7 |

### 10 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 052 | მარსელი-ნანტი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.45 | 053 | ბორდო-სენტ ეტიენი | 1,5 | 3,2 | 7,5 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი. 23-ე ტური

### 8 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 054 | სოშო-ნიორი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### 9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 055 | მონპელიე-აიაჩო | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 23.00 | 056 | ვასკეალი-ბოვუა | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 23.00 | 057 | ლორიანი-კაენი | 1,45 | 3,2 | 7,5 |
| 23.00 | 058 | ანჟე-შატორუ | 2,8 | 2,7 | 2,5 |
| 23.00 | 059 | ლავალი-კრეტეი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 23.00 | 060 | კანი-ლე მანი | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| 23.00 | 061 | ლე ავრი-მარტიგი | 1,55 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 062 | ნანსი-ნიცა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 063 | გენიონი-ნიმი | 1,75 | 2,8 | 4,7 |

## იტალია. სერია A. მე-10 ტური

### 9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 064 | რეჯინა-ვერონა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 23.30 | 065 | ბრეშა-ნაპოლი | 2,1 | 2,7 | 3,6 |

### 10 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 066 | ატალანტა-პერუჯა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 18.00 | 067 | ბარი-ბოლონია | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 068 | იუვენტუსი-პარმა | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 18.00 | 069 | მილანი-ლეჩე | 1,4 | 3,1 | 8,0 |
| 18.00 | 070 | რომა-უდინეზე | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 18.00 | 071 | ვიჩენცა-ლაციო | 3,5 | 2,8 | 2,1 |
| 23.30 | 072 | ფიორენტინა-ინტერი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

## იტალია. სერია B. მე-15 ტური

### 8 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 073 | კალიარი-ტორინო | 1,6 | 2,8 | 6,5 |

### 10 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 074 | კიევო-მონცა | 1,5 | 3,1 | 8,0 |
| 18.00 | 075 | კროტონე-სიენა | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 076 | პიაჩენცა-ჯენოა | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 077 | პისტოიეზე-ვენეცია | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 078 | რავენა-ჩიტადელა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 079 | სალერნიტანა-ემპოლი | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 18.00 | 080 | ტერნანა-პესკარა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 18.00 | 081 | ტრევიზო-ანკონა | 2,3 | 2,6 | 3,3 |

### 11 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 082 | სამპდორია-კოზენცა | 1,8 | 2,7 | 4,7 |

## იტალია. სერია C1/ა. მე-14 ტური

### 10 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 083 | არეცო-სპეცია | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 17.30 | 084 | კარარეზე-ჩეზენა | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 17.30 | 085 | კომო-ალძანო | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 17.30 | 086 | ლივორნო-ლუკეზე | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 17.30 | 087 | ლუმეცანე-ბრეშელო | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 17.30 | 088 | მოდენა-პიზა | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 17.30 | 089 | რეჯანა-ალესანდრია | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 17.30 | 090 | სპალ-ლეკო | 1,8 | 2,5 | 5,0 |
| 17.30 | 091 | ვარეზე-ალბინოლეფე | 2,3 | 2,4 | 3,4 |

## იტალია. სერია C1/ბ. მე-14 ტური

### 8 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 092 | აკილა-დი სანგრო | 1,8 | 2,6 | 5,0 |

### 9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 093 | ლოდიჯანი-ასკოლი | 2,4 | 2,4 | 3,3 |

### 10 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 094 | ატლეტიკო-პეზარო | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 17.30 | 095 | აველინო-ვიტერბეზე | 1,8 | 2,6 | 5,3 |
| 17.30 | 096 | ბენევენტო-ნოჩერინა | 2,3 | 2,4 | 3,4 |
| 17.30 | 097 | ფერმანა-ჯულიანოვა | 1,8 | 2,6 | 5,3 |
| 17.30 | 098 | პალერმო-მესინა | 1,65 | 2,6 | 6,5 |
| 17.30 | 099 | ტორესი-კატანია | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 17.30 | 100 | სავოია-ფ. ანდრია | 1,3 | 3,8 | 8,0 |

## ესპანეთი. I დივიზიონი. მე-14 ტური

### 9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 101 | ნუმანსია-სარაგოსა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 24.00 | 102 | ვალენსია-სოსიედადი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 103 | ვალენსია-სოსიედადი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 01.00 | 104 | ლას პალმასი-ვილიარეალი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

### 10 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 105 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 20.00 | 106 | ბილბაო-ოვიედო | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 20.00 | 107 | რასინგი-ალავესი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 108 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 109 | რეალი-სელტა | 1,45 | 3,3 | 8,0 |
| 20.00 | 110 | მალიორკა-ოსასუნა | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| 23.00 | 111 | დეპორტივო-რაიო ვალეკანო | 1,5 | 3,3 | 7,0 |

## ესპანეთი. II დივიზიონი. მე-16 ტური

### 9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 112 | ესტრემადურა-ელჩე | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 21.00 | 113 | ეიბარი-ტენერიფე | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 21.00 | 114 | ლეიდა-ბადახოსი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 21.00 | 115 | ხეტაფე-ხაენი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.30 | 116 | სალამანკა-კორდობა | 1,9 | 2,9 | 4,0 |

### 10 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 117 | სევილია-ატლეტიკო | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 15.00 | 118 | ლეგანესი-ფეროლი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 20.00 | 119 | მურსია-უნივერსიდადი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.00 | 120 | ალბასეტე-ბეტისი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 121 | სპორტინგი-კომპოსტელა | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 122 | ლევანტე-უელვა | 2,2 | 2,9 | 3,0 |

## პორტუგალია. I ლიგა. მე-14 ტური

### 8 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 123 | ჟილ ვისენტე-ბოავიშტა | 4,4 | 3,0 | 1,7 |

### 9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 124 | გიმარაეში-ფერეირა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 125 | სპორტინგი-ბელენენსეში | 1,5 | 3,4 | 6,5 |

### 10 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 126 | ფარენსე-კამპომაიორენსე | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.00 | 127 | ავეში-ლეირია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 128 | მარიტიმუ-ბრაგა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 129 | სალგეირუში-ამადორა | 1,45 | 3,0 | 7,0 |
| 23.00 | 130 | ალვერკა-ბენფიკა | 3,5 | 3,0 | 2,0 |

### 11 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.30 | 131 | პორტუ-ბეირა მარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 132 | პორტუ-ბეირა მარი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. II ლიგა. მე-14 ტური** | | | |
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 133 | ოვარენსე-სეტუბალი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 134 | ლეცა-ფელგეირაში | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 19.00 | 135 | იმორტალი-ნასიონალი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 19.00 | 136 | ვარზიმი-სანტა კლარა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 137 | ფრეამუნდე-რიუ ავე | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 138 | ლამაში-მაია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.30 | 139 | პენაფიელი-ესპინიუ | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 140 | აკადემიკა-შავეში | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 20.00 | 141 | მარკუ-ნავალი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | |
| 22.30 | 142 | როდა-ტილბურგი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 22.30 | 143 | გრააფსხაპი-გრონინგენი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 22.30 | 144 | სიტარდი-სპარტა | 2,4 | 3,3 | 2,3 |
| 23.00 | 145 | ალკმაარი-ნაიმეგენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 16.00 | 146 | ფეიენოორდი-აიაქსი | 1,8 | 3,1 | 3,6 |
| 17.30 | 147 | ვიტესი-ჰერენვენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 148 | ვიტესი-ჰერენვენი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 17.30 | 149 | უტრეხტი-ბრედა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-16 ტური** | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 150 | ვეენდამი-ვოლენდამი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 151 | დორდრეხტი-ოსი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.00 | 152 | ჰერაკლესი-კამბური | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.00 | 153 | ვენლო-ექსელსიორი | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 154 | ტელსტარი-დენ ბოსხი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **11 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 155 | ზვოლე-იგლსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 156 | მაასტრიხტი-დენ ჰააგი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 157 | ჰელმონდი-ჰაარლემი | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 23.00 | 158 | ეინდჰოვენი-ემენი | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. მე-16 ტური** | | | |
| | | **8 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 159 | სტანდარდი-მუსკრონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | | **9 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 160 | ლუვიე-გენტი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 23.00 | 161 | ბეერსხოტი-გენკი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 162 | მეხელენი-ანდერლეხტი | 5,0 | 3,4 | 1,55 |
| 23.00 | 163 | სენტ ტრუიდენი-შარლერუა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 164 | ვესტერლო-ბევერენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 165 | ბრიუგე-ლიერსი | 1,3 | 3,5 | 8,0 |
| 18.00 | 166 | აალსტი-ანტვერპენი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 18.00 | 167 | ჰარელბეკე-ლოკერენი | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. მე-16 ტური** | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | |
| 22.30 | 168 | დესელი-სტრომბეკი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.00 | 169 | ჰეკელგემი-გეელი | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| 23.00 | 170 | მაასლანდი-რუზელარე | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 171 | დაინცე-მონსი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.00 | 172 | ლომელი-ლიეჟი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 173 | ჰეუსდენი-დენდერლეუ | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 174 | ტურნჰაუტი-ინგელმუნსტერი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.30 | 175 | მოლენბეკი-სერკლი | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 176 | ტინენი-ოსტენდე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **საბერძნეთი. მე-10 ტური** | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 177 | იონიკოსი-ოფი | 1,6 | 3,2 | 4,7 |
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 178 | პანაჰაიკი-პანიონიოსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 179 | პანილიაკოსი-ეთნიკოსი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 180 | აეკ-არისი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 19.00 | 181 | კალამატა-იანინა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.00 | 182 | პანათინაიკოსი-ათინაიკოსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 183 | პანათინაიკოსი-ათინაიკოსი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 21.00 | 184 | პაოკ-ირაკლისი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **11 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 185 | ქსანთი-ოლიმპიაკოსი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| | | **ჩეხეთი** | | | |
| | | **11 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 186 | სლავია-სიგმა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| | | **თურქეთი. მე-16 ტური** | | | |
| | | **8 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 187 | დენიზლი-ტრაბზონი | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| | | **9 დეკემბერი** | | | |
| 15.30 | 188 | სამსუნი-ადანა | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 16.00 | 189 | ისთანბული-ანთალია | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 16.00 | 190 | ქოჯაელი-რიზე | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 191 | ბურსა-ფენერბაჰჩე | 4,7 | 3,1 | 1,65 |
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 15.00 | 192 | იეთფა-ბეშიქთაში | 6,5 | 3,4 | 1,4 |
| 15.00 | 193 | ერზურუმი-ანკარაგიუჯიუ | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 15.30 | 194 | გენჩლერბირლიგი-იოზგათი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 195 | გალათასარაი-გაზიანთეფი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | | **შოტლანდია. მე-20 ტური** | | | |
| | | **9 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 196 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 197 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 198 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 199 | კილმარნოკი-ჰართსი | 1,8 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 200 | სენტ ჯონსტონი-სენტ მირენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 201 | რეინჯერსი-მოზერუელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 202 | რეინჯერსი-მოზერუელი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 22.05 | 203 | დანდი-სელტიკი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. მე-22 ტური** | | | |
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 204 | ლუცერნი-ლუგანო | 3,0 | 3,1 | 2,0 |
| 19.15 | 205 | ბაზელი-ლოზანა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.15 | 206 | გრასჰოპერი-ციურიხი | 1,55 | 3,3 | 5,0 |
| 19.15 | 207 | ქსამაქსი-სიონი | 2,4 | 3,1 | 2,5 |
| 19.15 | 208 | სერვეტი-სენტ გალენი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.15 | 209 | ივერდონი-არაუ | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | **ინგლისი. თასის II ეტაპი** | | | |
| | | **8 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 210 | უოლსოლი-ბარნეტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | **9 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 211 | კარდიფი-ჩელტენემი | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 212 | დარლინგტონი-ლუტონი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 213 | კიდერმინსტერი-კარლაილი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 214 | როტერჰემი-ნორთჰემპტონი | 1,65 | 3,1 | 4,4 |
| 19.00 | 215 | სკანთორპი-ბრაიტონი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 216 | იორკი-რედინგი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 17.00 | 217 | მილუოლი-უიკომბი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 218 | პიტერბრო-ოლდემი | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| | | **კალათბურთი** | | | |
| | | **8 დეკემბერი** | | | |
| 04.30 | 801 | ბოსტონი-ინდიანა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 04.30 | 802 | შარლოტი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 04.30 | 803 | მაიამი-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 804 | ნიუ ჯერსი-ფინიქსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 05.00 | 805 | დალასი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.00 | 806 | პორტლენდი-ფილადელფია | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.30 | 807 | გოლდენ სტეიტი-ტორონტო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 07.30 | 808 | ლეიკერსი-სიეტლი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 809 | საკრამენტო-ჰიუსტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | | **9 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 810 | ინდიანა-შარლოტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 811 | კლივლენდი-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 812 | ნიუ იორკი-დენვერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 813 | მინესოტა-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.30 | 814 | მილუოკი-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.30 | 815 | სან ანტონიო-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 06.00 | 816 | იუტა-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.00 | 817 | პორტლენდი-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.00 | 818 | სიეტლი-ჰიუსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 07.00 | 819 | ვანკუვერი-ფილადელფია | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 00.30 | 820 | ტორონტო-ფინიქსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 03.00 | 821 | ბოსტონი-დენვერი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 04.30 | 822 | ნიუ ჯერსი-დალასი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 06.00 | 823 | საკრამენტო-მაიამი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 06.30 | 824 | ლეიკერსი-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | | **11 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 825 | ფილადელფია-მინესოტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 826 | ჩიკაგო-ფინიქსი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 06.00 | 827 | იუტა-სან ანტონიო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 07.00 | 828 | ვანკუვერი-ჰიუსტონი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 07.30 | 829 | კლიპერსი-ორლანდო | 2,1 | 12,0 | 1,45 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **8 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 901 | ოტავა-მონრეალი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 902 | რეინჯერსი-ბუფალო | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 903 | ატლანტა-ფლორიდა | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 904 | ტამპა ბეი-კოლორადო | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 905 | დეტროიტი-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 906 | კოლუმბუსი-ბოსტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 907 | მინესოტა-ანაჰაიმი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 07.30 | 908 | სან ხოსე-ვანკუვერი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| | | **9 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 909 | ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.00 | 910 | აილენდერსი-ატლანტა | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 911 | ბოსტონი-რეინჯერსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 912 | ტორონტო-პიტსბურგი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 913 | მონრეალი-ოტავა | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 04.30 | 914 | ფლორიდა-კოლორადო | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 05.00 | 915 | სენტ ლუისი-ჩიკაგო | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 06.00 | 916 | კალგარი-კაროლინა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.00 | 917 | ედმონტონი-ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 918 | მინესოტა-ნეშვილი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 919 | ფილადელფია-აილენდერსი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.00 | 920 | დეტროიტი-პიტსბურგი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 05.00 | 921 | ჩიკაგო-სენტ ლუისი | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 05.00 | 922 | ანაჰაიმი-დალასი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 06.00 | 923 | ფინიქსი-კოლუმბუსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 07.00 | 924 | ვანკუვერი-ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| | | **11 დეკემბერი** | | | |
| 04.30 | 925 | ნიუ ჯერსი-ატლანტა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 06.00 | 926 | კოლორადო-ტამპა ბეი | 1,35 | 4,0 | 5,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
XIII ტურის საუკეთესო მოთამაშე

დავით აკოლაშვილი
დინამო



თსუ-სთან გამარჯვების შემდეგ „დინამომ“ კიდევ ერთ კონკურენტს, „შევარდენს“ სძლია და საავიაციო ქარხნის გუნდთან პირველ წრეში დამარცხებისთვის (71:79) რევანშის აღება შეძლო. ვინც სტუდენტებთან შეხვედრაში დინამოელი დავით აკოლაშვილის კარგი თამაში შემთხვევითობას მიაწერა, პასუხიც მიიღო — „შევარდენთან“ აკოლაშვილმა კიდევ ერთხელ დაიდო ლომის წილი „დინამოს“ გამარჯვებაში.

თსუ-სთან ექვს ზუსტ სამქულიანს დათომ ამჯერად ერთიც დაუმატა, სულ კი ოცდაათი ქულა გააკეთა. მაგრამ ქულაც არის და ქულაც. აკოლაშვილის მიერ ნასროლი ბურთები სწორედ მაშინ აღწევდა მიზანს, როცა „დინამოს“ ყველაზე მეტად უჭირდა და თანაგუნდელებს გამარჯვების რწმენას უნარჩუნებდა.

ასე იყო პირველ მეოთხედის ბოლო წამებზე, როცა დათოს სამქულიანმა ექვსქულიანი სხვაობა სამამდე დაიყვანა — 21:24. მეორე მეოთხედში აკოლაშვილმა კიდევ ისახელა თავი: მისმა სამქულიანმა ამჯერად ანგარიში გაათანაბრა — 26:26. ათი ქულით დაწინაურებულ „შევარდენს“ წესით არც მეორე მეოთხედის მოგება უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ აკოლაშვილმა თავის სეხნია თორთლაძესთან ერთად ყველაფერი გააკეთა, რათა „დინამოს“ ეს მეოთხედი მოეგო (24:22). ტაიმის გადასარჩენად კი საქართველოს პირველ ჩემპიონებს სულ რაღაც ერთი ქულა დააკლდათ — 45:46.

დინამოელი დავით აკოლაშვილი ვერის ბაღში შეკრებილ საზოგადოებას ყველაზე დიდ სიურპრიზს მეოთხე მეოთხედში უმზადებდა. ამ დროისთვის 14 ქულით — 65:51 უგებდა მეტოქეს „შევარდენი“ და „დინამოს“ მიერ მატჩის გადარჩენას ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივარიც ეჭვის თვალით უყურებდა. როგორც მატჩის მსვლელობამ გვიჩვენა, სხვაგვარად ფიქრობდა ტურის საუკეთესო მოთამაშე: თორთლაძესთან ერთად მან შორეულ ტყორცნებით ჯერ 5 ქულამდე შეამცირა ანგარიში, ხოლო მერე საჯარიმოებით სულაც გაათანაბრა — 70:70.

საფინალო სირენამდე 10 წამით ადრე დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ვერის ბაღის გაყინულ დარბაზში ბუზს რა უნდოდა, თორემ მის გაფრენასაც კი გაიგონებდით. აკოლაშვილმა ბურთიანად გადაკვეთა მთელი მოედანი, რამდენიმე მეტოქე უკან მოიტოვა, შეიჭრა მეტოქის ფარის ქვეშ და მარჯვენა ფრთიდან აუღელვებლად ჩაუშვა ბურთი კალათში. სამარისებური სიჩუმე ტაშის გრიალმა შეცვალა. მაშინ, როცა თვით მრავლისმნახველი ლევან მოსეშვილიც კი ვერ ფარავდა ემოციებს, მატჩის გმირი დავით აკოლაშვილი ოლიმპიური სიმშვიდით უყურებდა თანაგუნდელთა ზეიმს.

ამპლუით მსროლელი დავით აკოლაშვილი მიმდინარე ჩემპიონატში პირველი კალათბურთელია, რომელიც მეორედ გახდა ტურის საუკეთესო მოთამაშე.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# რემიქსი 1962–2000

## ჯემისონმა და ბრაიანტმა ჩემბერლენი და ბეილორი გაიმეორეს

6 დეკემბერი

**გოლდენ სტეიტი 125:122 ლეიკერსი**
(ძირითადი დრო 107:107)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (51 ქულა, 13 მოხსნა), ჰიუზი (24)
ლეიკერსი: ბრაიანტი (51), ონილი (25 ქულა, 10 მოხსნა, 6 დაფარება)

**სიეტლი 99:112 დეტროიტი**
სიეტლი: პეიტონი (29)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (41)

**შარლოტი 91:88 ინდიანა**
შარლოტი: ვესლი (32), მაშბურნი (26)
ინდიანა: მილერი (23), როუზი (12)

**მაიამი 95:78 დენვერი**
მაიამი: გრინი (16 ქულა, 11 მოხსნა)
დენვერი: მაკდაიესი (15)

**დალასი 94:85 ნიუ იორკი**
დალასი: ფინლი (21)
ნიუ იორკი: კემბი (18 ქულა, 16 მოხსნა), ჰიუსტონი (17)

**პორტლენდი 95:88 ტორონტო**
პორტლენდი: სტუდემაიერი (21), ვოლესი (20 ქულა, 13 მოხსნა)
ტორონტო: დევისი (18 ქულა, 11 მოხსნა), ვილიამსონი (17)

**ვაშინგტონი 88:93 კლიპერსი**
ვაშინგტონი: ლოპესი (15)
კლიპერსი: ოდომი (20 ქულა, 10 მოხსნა), მეჯიტი (18)

**ნიუ ჯერსი 87:109 მილუოკი**
ნიუ ჯერსი: დუგლასი (18), მარტინი (17), ვილიამსი (17)
მილუოკი: ალენი (30), რობინსონი (27)

**ჩიკაგო 88:92 კლივლენდი**
ჩიკაგო: მერსერი (34), არტესტი (20)
კლივლენდი: ვეზერსპუნი (23), მილერი (20 ქულა, 14 პასი, 7 მოხსნა)

„გოლდენ სტეიტის“ შინაურ სარბიელ „ოკლენდ ინ არენაში“ მოგროვილი 19 ათასი გულშემატკივარი ისტორიული მატჩის მომსწრე შეიქნა. ასეთი ხალხმრავლობა ამ დარბაზს კარგა ხანია, არ ახსოვს. იმ დღეს კი „ვორიორზი“ ჩემპიონ „ლეიკერსს“ შინ ეგებებოდა და უფრო ამის გამო გაიჭედა სხვა დროს ნახევრად ცარიელი დარბაზი. ქომაგთ ტყუილად არ გადაუყრიათ ფული, მათ ყველაფერი ნახეს, რის ნახვასაც ისურვებდნენ. შეხვედრას არც დაძაბულობა აკლდა, უხვქულიანიც გამოდგა და „ლეიკერსის“ დამარცხებითაც დამთავრდა, რაშიც ლომის წილი მასპინძელთა კერპმა ანტაუნ ჯემისონმა დაიდო.

„დღეს მას საშუალებას არ მივცემ, დამჩრდილოს“ — ამბობდა მატჩის დაწყებამდე „ლეიკერსის“ ყმაწვილი სუპერვარსკვლავი კობი ბრაიანტი გოლდენსტეიტელი ჯემისონის მისამართით. ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინ ოკეანისგაღმა საკალათბურთო სამყარო აალაპარაკა, როცა „სიეტლს“ 51 ქულა ჩაუგდო. მიმდინარე სეზონში მანამდე ამდენი ვერავის მოეგროვებინა, თან მისგან ამას არავინ ელოდა. და აი, დადგა იმ ღირსსახსოვარი (ჯემისონისთვის) შეხვედრის მომდევნო და მან „ლეიკერსსაც“ ზუსტად ამდენივე ქულა მიართვა. ასე რომ, კობი ბრაიანტი შეცდა, თუმც არც ბევრად, მან თავადაც მოაგროვა 51 ქულა, გულში ხინჯად კი ის ჩარჩება, რომ „ლეიკერსს“ მარცხი ოვერტაიმში მის მიერ აცილებულმა სამქულიანმა მოუტანა. ბრაიანტს მანამდე არასდროს გაუკეთებია ერთ შეხვედრაში ამდენი ქულა. წინა კვირაში მან 43 გაახერხა და კარიერის რეკორდიც დაიმყარა, თუმც, როგორც ხედავთ, ამას არ დასჯერდა. მის გუნდს კი ამანაც ვერ უშველა. ჩემპიონმა „ლეიკერსმა“ ასოციაციის ერთ-ერთ უსუსტეს გუნდთან წააგო. ამ შეხვედრის ისტორიული მნიშვნელობა კი ის გახლავთ, რომ ბოლო 38 წლის განმავლობაში ერთ თამაშში ორ კალათბურთელს არ მოუპოვებია ნახევარი ასეული ქულა. ბოლოს ასეთი რამ შორეულ 1962 წელს მოხდა, როცა ფილადელფიელმა უილტ ჩემბერლენმა „ლეიკერსს“ 63 ქულა ჩაუგდო, საპასუხოდ კი მისმა გუნდმა ელჯინ ბეილორისგან 50 მიიღო. სხვათა შორის, დღეს სან ფრანცისკოს ბინადარი „ვორიორზი“ მაშინ ფილადელფიაში სახლობდა, ასე რომ, 6 დეკემბერს ისტორია განმეორდა.

ამ შეხვედრაში ბრაიანტის და ჯემისონის გადამკიდე რაღა გასაკვირია, რომ ვერც ერთი გუნდის დაცვა ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე. ამ ორის მიერ მეტოქის დაცვით ნაგებობებში გამონგრეულ კედელში მათი თანაგუნდელებიც დაძვრებოდნენ და ერთმანეთის კალათს იკლებდნენ. მასპინძლებმა მოახერხეს და თავიდანვე ხელთ იგდეს სათამაშო უპირატესობა, თუმც იგი პირველ ნახევარში რვა ქულას არ გასცილებია. პირველ ტაიმში მოქანცული ჯემისონი მესამე მეოთხედს სათადარიგოთა სკამზე შეეგება და როცა თამაშს დაუბრუნდა, თანაგუნდელთა გაფუჭებული საქმის გამოსწორებას მიჰყო ხელი. ეს თორმეტწუთეული ბრაიანტისა იყო. მან თავის გუნდს ეს მონაკვეთი 35:19 მოაგებინა და ათი ქულით დააწინაურა. თითქოს ყველაფერი გადაწყდა — „ლეიკერსი“ ვიღაც „გოლდენ სტეიტთან“ ამ უპირატესობას არ გაფლანგავდა, თუმც მოტყუვდნენ სტუმრები. ისევ და ისევ ჯემისონმა იყოჩაღა, ბოლო სამ წუთში ექვსი ქულა მიითვალა და ეს მონაკვეთი თავისიანებს 12:3 მოაგებინა. მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე შაკილ ონილმა, რომელიც მანამდე სუფთად უფარებდა მის სივრცეში შემოხეტებულთ, მასპინძელ ვონტეგო კამინგსს დაფარების ნაცვლად ტორი ჩასცხო ხელებში და ამ უკანასკნელმაც ორი საჯარიმოთი გაათანაბრა — 107:107. ვინაიდან დარჩენილ დროში ვერავინ იხეირა, მატჩი დამატებით დროში გაგრძელდა. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ბრაიანტმა ბოლო წამებზე, 125:122 ანგარიშზე, სამქულიანი ააცილა და მატჩის გმირიდან ანტიგმირობამდე ჩამოქვეითდა.

სანფრანცისკოელებისგან განსხვავებით, სიეტლელი გულშემატკივრები იმ დღეს თავიანთი კერპების თამაშის ხარისხით და შედეგით ნამდვილად ვერ დარჩებოდნენ კმაყოფილნი. მათმა „სათაყვანებელმა ზებგერითებმა“ შინ უსახელოდ წააგეს რიგით აღმოსავლელთან, „დეტროიტ პისტონზთან“ და ამ მოვლენამ „სიეტლის“ ახალი მწვრთნელის ნეიტ მაკმილანის გარშემო შექმნილი დადებითი შთაბეჭდილებები კვამლივით გაფანტა. „სიეტლი“ ოდნავადაც არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელმაც ერთი კვირის წინ ერთმანეთის მიყოლებით მიაწვინა გოლიათები — „ლეიკერსი“ და „პორტლენდი“.

ექვს დეკემბერს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოვლენილმა ქულების თქეშმა მაკმილანი და მისი შეგირდებიც შეარყია. ამ ბოლო ხანებში ჩრდილში მოქცეულმა დეტროიტელმა ჯერი სტეკჰაუზმა „სიეტლთან“ თამაშში მოინდომა თავისი ბომბარდირული თვისებების გამომჟღავნება და „სონიქსს“ 41 ქულა დაატეხა თავს. ეს საკმარისი აღმოჩნდა მაკმილანის, როგორც კარგი მწვრთნელის რეპუტაციის შესალახად. „დღეს ჩვენ ვება ნაბიჯი გადავდგით უკან. ჩემი აზრით, დავკარგეთ ყველაფერი, რაც რამდენიმე დღის წინ დიდი ბრძოლით მოვიპოვეთ“ — ამბობდა მატჩის შემდეგ „სიეტლის“ ბებერი ცენტრი პატრიკ იუინგი.

მსაჯი ყველგან მსაჯია და ისევე როგორც ჩვენში, მას არც შორეულ შეერთებულ შტატებში აღმერთებენ. მეტიც, მას ზეალმართულ შუა თითსც უჩვენებენ, რაც ყველა ენაზე ერთსა და იმავე ნიშნავს. თან ამას სჩადიან ისეთი ღირსეული პიროვნებები, როგორებიც მწვრთნელები არიან.

დღეს „შარლოტის“ მწვრთნელს, ახალგაზრდობაში კი დიდ კალათბურთელ პოლ საილასს მსაჯთაგან ბევრი სიმწარე ახსოვს და არასდროს მალავს „ტკბილ გრძნობებს“ მათ მიმართ, თუმც შუა თითი მათთვის აქამდე არ უჩვენებია, ამ დონემდე არ დასულა. და აი, „შარლოტ“ — „ინდიანას“ შეხვედრის მეორე მეოთხედში მსაჯის გადაწყვეტილება დასაშვებზე ხმამაღლა და შეუფერებელი სიტყვებით რომ გაპროტესტა, ტექნიკური ჯარიმა და თამაშიდან გაგდება გამოსტყუა ერთ-ერთ მათგანს. გასახდელისკენ მიმავალმა კი ათასობით კაცის თვალწინ (და თვალსასეიროდ) უკადრებელი იკადრა. ნამატჩევს საილასს აზრადაც არ მოსვლია, ბოდიში მოეხადა. პირიქით, პირი გაალო და მსაჯები გემოზე შეამკო, ბოლოს კი დასძინა, მხოლოდ ჩვენ გვისტვენდნენ და თან არარსებულ ჯარიმებს, ყველაფერს საზღვარი აქვს და მეც ყელში ამომასხაო.

„დალს მავერიქსმა“ შინ „ნიუ იორკი“ დაამარცხა. ეს გამარჯვება მის მწვრთნელ დონ ნელსონისთვის კარიერაში 938-ე იყო, რითაც იგი გაუთანაბრდა 50-60-იანი წლების „ბოსტონის“ ლეგენდარულ თავკაცს რედ აუერბახს. მათზე მეტი მხოლოდ სამ კაცს მოუგია. ერთ თამაშშიც გაიმარჯვებს ნელსონი და აუერბახსაც ჩამოიტოვებს, რაც თავისთავად სასიხარულო ამბავია, თუმც ბედნიერი კაციაო, მაინც არ ითქმის მასზე — რამდენიმე დღის წინ პროსტატის კიბო აღმოაჩნდა.

**ირაკლი ფირუზაშვილი**



სიეტლო — დეტროიტი. ჯერი სტეკჰაუზმა სიეტლელებს ჩაუტენა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| ფილადელფია | 14 | 4 | 77,8 |
| ნიუ იორკი | 12 | 8 | 60,0 |
| მაიამი | 9 | 10 | 47,4 |
| ბოსტონი | 8 | 10 | 44,4 |
| ორლანდო | 8 | 11 | 42,1 |
| ნიუ ჯერსი | 6 | 13 | 31,6 |
| ვაშინგტონი | 4 | 15 | 21,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| კლივლენდი | 11 | 7 | 61,1 |
| შარლოტი | 12 | 8 | 60,0 |
| ტორონტო | 9 | 9 | 50,0 |
| დეტროიტი | 9 | 10 | 47,4 |
| ინდიანა | 8 | 10 | 44,4 |
| მილუოკი | 8 | 10 | 44,4 |
| ატლანტა | 4 | 14 | 22,2 |
| ჩიკაგო | 2 | 16 | 11,1 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 14 | 4 | 77,8 |
| სან ანტონიო | 11 | 6 | 64,7 |
| დალასი | 12 | 8 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 10 | 8 | 55,6 |
| მინესოტა | 10 | 8 | 55,6 |
| დენვერი | 10 | 9 | 52,6 |
| ვანკუვერი | 7 | 11 | 38,9 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 12 | 4 | 75,0 |
| ლეიკერსი | 14 | 6 | 70,0 |
| ფინიქსი | 11 | 5 | 68,8 |
| პორტლენდი | 13 | 7 | 65,0 |
| სიეტლო | 9 | 11 | 45,10 |
| გოლდენ სტეიტი | 6 | 13 | 31,6 |
| კლიპერსი | 6 | 14 | 30,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშკუდიანს მუშკუდიევობა შესთავაზეს
# ბულგარელებმა ქართველ ცენტრს გაბულგარელება დაუპირეს

*ბულგარული „აკადემიკის" ქართველ ცენტრს, დავით მუშკუდიანს სულ ახლახან იქაურებმა თავიანთი მოქალაქეობა შესთავაზეს. ჩვენებურის თამაში ბულგარელებს იმდენად მოსწონთ, პირდაპირ უთქვამთ მუშკუდიანისთვის: ჩვენი ქვეყნის მოქალაქე თუ გახდები, ეროვნულ ნაკრებში გათამაშებთო. ამაზე არ დათანხმებულა დათო, გაბულგარელებაზე უარი უთქვამს, თორემ ახლა უეჭველად დუბაიში იქნებოდა, სადაც ბულგარეთის ნაკრები ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობს...*



დავით მუშკუდიანი

— მსგავსი წინადადებით ადრეც ბევრჯერ მოუმართავთ ჩემთვის ბულგარელებს, მაგრამ მაშინაც უარით გავისტუმრე. ახლა მორიგი მცდელობა იყო, იფიქრეს, აზრი ხომ არ შეიცვალაო და კვლავაც სცადეს ჩემი დაყოლიება. თვის ბოლოს ჩემს პასპორტს ვადა გასდის და გამოცვლას ვაპირებ. ბულგარელებმა კი თავიანთი პასპორტი შემომთავაზეს, რაზეც უკვე მეათმდენედ ვუთხარი მათ უარი. რომ დავთანხმებულიყავი, ნაკრებს დუბაიშიც გავყვებოდი ტურნირზე, რადგან იქაურებს სწორედ ნაკრებისთვის ვჭირდები.

**— ალბათ, მატერიალური პირობების გაუმჯობესებასაც დაგპირდნენ...**

— ცხადია, ამ საკითხზეც ჩამომიგდეს სიტყვა, მაგრამ ვერც ამით მაცდუნეს. საქართველოს ნაკრების გარდა არსად ვაპირებ თამაშს.

**— კონტრაქტის მიხედვით „აკადემიკში" კიდევ რამდენ ხანს უნდა დაჰყოთ?**

— ზუსტად ერთი წლის შემდეგ თავისუფალი ვიქნები, თუმც „აკადემიკის" ხელმძღვანელობა ცოცხალი თავით არ აპირებს ჩემს გაშვებას. ხშირად მთავაზობენ კონტრაქტის გახანგრძლივებას, მაგრამ ამაზეც არ ვთანხმდები.

**— სხვა, უფრო სარფიანი წინადადებები გაქვთ?**

— მიწვევები მრავლად მაქვს, თუმც „აკადემიკი" დიდ ფულს ითხოვს, რაც აფრთხობს ჩემს მოსურნე გუნდებს. ახლაც მეპატიჟებიან თურქები და მაკედონიელები, მაგრამ ჯერჯერობით ჩემი სხვაგან გადასვლა არ ხერხდება. ვნახოთ,ეგებ ახალი წლის შემდეგ შეიცვალოს რამე, თუ „აკადემიკს" კონტრაქტი არ გავუგრძელე, აქაურები ჩემს გაყიდვას შეეცდებიან, რათა მოგება ნახონ.

**— სადღეისოდ რა ვითარებაა ბულგარეთის ჩემპიონატში?**

— ახლა ხანმოკლე შესვენებაა ნაკრების დუბაიში გამგზავრების გამო. ამ თვეში კიდევ სამი მატჩი გველის და მერე საშობაო არდადეგებიც იწყება. ამჟამად „აკადემიკი" მეხუთე ადგილზეა, დარჩენილი სამივე შეხვედრა თუ მოვიგეთ, სამეულში შევაღწევთ.

**— საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— რაც მთავარია, მწვრთნელი მემადლიერება. პრინციპულ თამაშებში ძალიან დიდ ხანს მიწევს მოედანზე ყოფნა, ბოლო ორი მატჩი კი, რომელიც შედარებით სუსტ მეტოქეებთან გვქონდა, სრულად დამასვენა. ახლა ცოტა გაციებული ვარ და ერთი ვარჯიში გავაცდინე კიდეც, სხვა მხრივ არა მიშავს, ვფიქრობ, კარგ სათამაშო ფორმაში ვარ.

**— სიახლე არაფერია გუნდში?**

— ერთი სერბი დავიმატეთ, მაგრამ საახალწლოდ ალბათ გაუშვებენ. მის ნაცვლად შესაძლოა ორი რუსი შეიძინონ, რომელგანაც ერთი აუცილებლად გამთამაშებელი იქნება. ყველაზე მეტად სწორედ ამ რგოლში გვიჭირს.

**— საშობაო არდადეგებს სოფიაში გაატარებთ?**

— არა, 24-ში საქართველოში გამოვემგზავრები და ახალ წელსაც საკუთარ ოჯახში შევხვდები. ბილეთი უკვე შევიძინე, ერთი სული მაქვს, როდის მოვა ეს დრო.

**გიორგი ბიკაშვილი**

## სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 7 დეკემბერი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| სპლიტი 81:61 სიენა | კრკა 89:87 (81:81) მაკაბი |
| ლიეტუვოს რიტასი 91:101 ცეპტერი | პო ორტეზი 79:80 ბაიერი |
| ულქერი 87:79 პანათინაიკოსი | პარტიზანი 89:80 ოსტენდე |
| ალბა 80:77 (68:68) ცსკა | სკავოლინი 91:78 პლანია |

## კორაჩის თასი

ჯგუფური ეტაპი. II ტური. 5-6 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ოპავა (ჩეხეთი) — პროკომი (პოლონეთი) 94:92, რიკო (ჰოლანდია) — პეკაესი (პოლონეთი) 89:68

*სატურნირო მდგომარეობა: ოპავა 4 ქულა, რიკო 3, პეკაესი 3, პროკომი 2*

**B ჯგუფი**

სპარტაკი (რუსეთი) — შახტიორი (რუსეთი) 78:73, ავტოდორი (რუსეთი) — ლოკომოტივი (რუსეთი) 106:87

*სატურნირო მდგომარეობა: ავტოდორი 4 ქულა, სპარტაკი 3, ლოკომოტივი 3, შახტიორი 2*

**C ჯგუფი**

ხიმკი (რუსეთი) — ლევსკი (ბულგარეთი) 80:84, ჟელეზნიკი (იუგოსლავია) — დარუშაფაკა (თურქეთი) 76:85

*სატურნირო მდგომარეობა: დარუშაფაკა 4 ქულა, ჟელეზნიკი 3, ლევსკი 3, ხიმკი 2*

**D ჯგუფი**

ტელეკომი (თურქეთი) — ვოივოდინა (იუგოსლავია) 83:71, ფენერბაჰჩე (თურქეთი) — ჰემოფარმი (იუგოსლავია) 69:55

*სატურნირო მდგომარეობა: ფენერბაჰჩე 4 ქულა, ჰემოფარმი 3, ტელეკომი 3, ვოივოდინა 3*

**E ჯგუფი**

სლობოდა დიტა (ბოსნია) — მონტეკატინი (იტალია) 91:81, მაკაბი (ისრაელი) — ნიარ ისტი (საბერძნეთი) 80:75

*სატურნირო მდგომარეობა: სლობოდა დიტა 4 ქულა, მაკაბი 3, ნიარ ისტი 3, მონტეკატინი 2*

**F ჯგუფი**

ვიოლა (იტალია) — ადეკო (შვეიცარია) 100:73, სოლნოკი (უნგრეთი) — ტრიესტი (იტალია) 97:92

*სატურნირო მდგომარეობა: ვიოლა 4 ქულა, ადეკო 3, სოლნოკი 3, ტრიესტი 2*

**G ჯგუფი**

დიჟონი (საფრანგეთი) — კასერესი (ესპანეთი) 66:52, ბინგოლი (ბელგია) — ტელეკომი (პორტუგალია) 90:96

*სატურნირო მდგომარეობა: ტელეკომი 4 ქულა, დიჟონი 3, კასერესი 3, ბინგოლი 2*

**H ჯგუფი**

უნიკახა (ესპანეთი) — ლე მანი (საფრანგეთი) 84:73, ატლონი (ბელგია) — სტრასბური (საფრანგეთი) 73:65

*სატურნირო მდგომარეობა: ატლონი 4 ქულა, უნიკახა 3, ლე მანი 3, სტრასბური 2*

*მესამე ტური გაიმართება 13 დეკემბერს*

## საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 6 დეკემბერი

**C ჯგუფი**

კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — ტელეკომი (გერმანია) 76:83

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტელეკომი | 6 | 4 | 2 | 522:480 | 10 |
| ცრვენა ზვეზდა | 6 | 4 | 2 | 484:476 | 10 |
| კერავნოსი | 6 | 3 | 3 | 481:509 | 9 |
| რასინგი | 6 | 3 | 3 | 480:485 | 9 |
| სკაგლიი | 6 | 2 | 4 | 497:501 | 8 |
| სან ფერნანდო | 6 | 2 | 4 | 503:516 | 8 |

**D ჯგუფი**

იმოლა (იტალია) — ანტვერპენი (ბელგია) 86:79

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ანვილი | 6 | 5 | 1 | 516:498 | 11 |
| ბორაცი | 6 | 4 | 2 | 545:488 | 10 |
| სლოვაკოფარმა | 6 | 3 | 3 | 509:502 | 9 |
| ანტვერპენი | 6 | 3 | 3 | 500:493 | 9 |
| იმოლა | 6 | 2 | 4 | 514:504 | 8 |
| ლუჰტა | 6 | 1 | 5 | 475:574 | 7 |

*მეშვიდე ტური გაიმართება 12 დეკემბერს*

# ბოისა ოპერაციას გადაურჩა


ვლადიმერ ბოისა

*საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ლიუბლიანის „სლავანის" ფორვარდი ვლადიმერ ბოისა ტრავმის გამო თითქმის თვეა, ვეღარ თამაშობს. მტკივანი მუხლი, ვფიქრობ, საოპერაციო მაქვსო, არაერთხელ უთქვამს მას ჩვენთვის, თუმცა, საბედნიეროდ, სულ ახლახან ექიმებს იგი გაუხარებიათ, უამისოდაც განგკურნავთო. გუშინ ბოისას სლოვენიაში რომ დავუკავშირდით, ცხადია, კარგ ხასიათზე იყო...*

— რაკი ოპერაციას გადავურჩი, რაღა მიჭირს, ყველაზე ცნობილ ექიმებს გავესინჯე და დამამშვიდეს, მუხლის გაჭრა არ დაგჭირდებაო. მითხრეს, რომ კუნთია დაშავებული და ნემსებითაც შეიძლება მორჩენა. ისე, ჩემი ბრალია, აქამდე არ უნდა მიმეყვანა საქმე, ფეხი ზაფხულის აქეთ მაწუხებდა და ყურადღებას არ ვაქცევდი.

**— ვარჯიში დიდი ხნით აგიკრძალეს?**

— ორი კვირით. მირჩიეს, ამ ხნის განმავლობაში შინ ვიყო და დავისვენო. 15-დღიანი მკურნალობის შემდეგ წესით საბოლოოდ უნდა მოვირჩინო ტრავმა, მანამდე კი სასტიკად ამიკრძალეს დატვირთვა. ვნახოთ, ფეხმა თუ აღარ შემაწუხა, ახალ წლამდე იქნებ თამაშიც დავიწყო.

**გიორგი ბიკაშვილი**


რესტორანი მზიანი ღამე





განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე
* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით
კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# თასი და ცოლი

ამ კაცის წინაპარმა დიდი ჯეიმს კუკი შეჭამა, მაგრამ ახლა სხვა დროა: ადამიანის ხორცით პირის ჩატკბარუნებას ჰავაელი თანი გარსია სერფინგში „რიპ კერლ კაპის“ მოგებას და თასის მარჯვენა, მეუღლე რაიანას კი მარცხენა ხელში დაჭერას ამჯობინებს, ჯიბეში კი 10 ათასი დოლარიც ეგულება. რა კარგია ცხოვრება ხანდახან!...





# სარცვალი

ოფლმა გაქლინთა მარკ ვუდფორდის მაისურა ბარსელონ-
ში ავსტრალიის დევისის თასის ნაკრების ცხარე ვარჯიშისას
ვუდფორდი უხერხულად გრძნობდა თავს კაიხნის მანძილზ
სანამ მაისურის გამოცვლა არ გადაწყვიტა. ჩოგბურთელი ვარ-
ჯიშის ბოლომდე კომფორტულად იქნება და რამდენსაც უნდ
ივარჯიშებს.

# ახალი ფორმულა

ფორმულა 1 არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, გაზაფხულზე გაიღვიძებს. ხალხი ვერ ხედავს მქროლავ ბოლიდებს, თორემ მუშაობა წუთით არ წყდება: ახალი სეზონისთვის გაცხოველებული მზადებაა. „ჯორდანს“ ფოტოზე ასახული იაპონელი კაცი, ტაკუმა სატო შეუგულებია თავის იმედად, ყურზე რომ ხელი აუფარებია ანუ მობილურზე ლაპარაკობს, ხოლო არა ყურზე, არამედ ნიკაპზე ხელწავლებული, ფინელი კიმი საიკონენი „ზაუბერის“ ღირსების დასაცავად ემზადება. ორივე პილოტი ახალ მანქანაში ჯდომას ამუღამებს.







# კრიკეტი და პოლიცია

ზიმბაბვეს კრიკეტის ნაკრების კაპიტანი ჰით სტრიკი ჟუ-
რნალისტებში ზის და ჭიკჭიკებს — ბუნებრივი ამბავია, მა-
გრამ ეს პოლიციელები რაღა შუაში არიან, ნაღდად არ ვი-
ცით. მართალია, ამ ბოლო ხანს კრიკეტში ჩაწყობებისა და
კრიმინალის შესახებაც ერთობ ლაპარაკი მიდის, მაგრამ...
საერთოდ, ზიმბაბვეს ნაკრები ინდოეთშია და ხუთმატჩიან
ტესტებს ატარებს. პირველი ორი აფრიკელებმა წააგეს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაб ინაშვილი



**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge